

ყოველთვიური ჟურნალი მენარმეებისა და ფინანსისტებისათვის

№ 9(309) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

ა	უღიტი
ა	ღრიცხვა
ფ	ინანსები
i	ინფო კონსულტანტი

ვლუს

დამოუკიდებელი გამოცემა


იკითხეთ „აფის“ ფურცლებზე – გიორგი ცერცვაძე:
 მსს ფასს-ის კომენტარები:
 მე-13 განყოფილება „მარაგები“

ჟურნალის პარტნიორი –



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: სექტემბერი-2025 **3**

გიორგი ცერცვაძე

მსს ფასს 2015-ის კომენტარები: მე-13 განყოფილება „მარაგები“ **9**

თემურ იობაშვილი

საქართველოს საგარეო ვალს საგანგაშო ნიშნულისთვის არ მიუღწევია **19**

თემურ იობაშვილი

ევროპასთან უვიზო რეჟიმის შეჩერების საფრთხე საქართველოსთვის **23**

ლევან ნატროშვილი

ქართული თხილის წარმატებულ სეზონს, შესაძლოა, დიდი წარუმატებლობა მოჰყვეს **27**

კითხვა-პასუხი

36

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის

43

ფრიდონ კერვალიშვილი

„მშვიდობიანი“ ნეპალი – კიდევ ერთი წითელი ალამი პლანეტაზე **45**

უცხოური ვალუტის კურსები

51

გენერალური დირექტორი: **ფრიდონ ალშიბაია.**

მთავარი რედაქტორი: **გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: **თემურ იობაშვილი** (მთ. რედაქტორის მოადგილე), **მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი** (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), **მაკა ხარაზიშვილი.**

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: **ფრიდონ ალშიბაია** (საბჭოს თავმჯდომარე), **ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოლონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.**

იურისტ-კონსულტანტი: **გიორგი ბოჭორიშვილი.**

გამომცემელი: შპს „აფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: **info@aaf.ge**

ვებგვერდი: **www.aaf.ge**

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და „ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

**12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)
ღირებულებაა 120 ლარი.**

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

**დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.**

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.10.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.

საბადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიასლექსები: სექტემბერი-2025

საქართველოს საბადასახადო კანონმდებლობაში შემთავნილი ცვლილებები

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 30.09.2025-ში მიღებული №248 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში, რომელიც ამოქმედდა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან.

დაკორექტირდა 41² მუხლი – თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსება. გაანგარიშების II ნაწილში არსებულ ცხრილში მონაცემები საქონლის თითოეული მიწოდების შესახებ მე-4 სვეტში აისახება

სასაქონლო ზედნადების ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც გამოიწერება საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით.

გაანგარიშების III ნაწილში არსებულ ცხრილში მონაცემები საქონლის თითოეული მიწოდების შესახებ, მე-4 სვეტში აისახება სასაქონლო ზედნადების ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც საბაჟო ორგანოს წარედგინა მიწოდებული საქონლის ექსპორტის პროცედურაში მოქცევისას.

დაკორექტირდა დანართი №II-09¹, თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშება.

დანართი №II-09¹

თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშება

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია
20-- წლის ----- თვის საანგარიშო პერიოდზე

1	საწარმოს დასახელება:										
2	<table border="1" style="width: 100%; height: 20px;"> <tr> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> <td style="width: 12.5%;"></td> </tr> </table> საიდენტიფიკაციო ნომერი:										
3	მისამართი:										

ნაწილი II. თიზ-ის საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდებისას გადასახადის გაანგარიშება

N	საქონლის მიწოდების თარიღი	საქონლის მიმღები პირის რეკვიზიტები	საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავალი ან უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი	სასაქონლო ზედნადების ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	გადასახდელი თანხა (სვეტ. 3X4%)
	1	2	3	4	5
1.					
2.					
...					
			ჯამი:		ჯამი:

ნაწილი III. საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის მიერ (გარდა თიზ-ის საწარმოსი) თიზ-ის საწარმოსათვის საქონლის მიწოდებისას გადასახადის გაანგარიშება

N	საქონლის მიწოდების თარიღი	საქონლის მიმწოდებელი (გამყიდველი) პირის რეკვიზიტები	მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი		სასაქონლო ზღვანადების ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	გადასახდელი თანხა (სვტ. 3X4%)	
	1	2	3		4	5	
1.							
2.							
...							
			ჯამი:			ჯამი:	

საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტის გაუქმების შესახებ

– შემოსავლების სამსახურის მიერ 22.09.2025-ში მიღებული №20688 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება „საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტის გაუქმების შესახებ“.

ეს მეთოდური მითითება არეგულირებს გადასახადის გადამხდელთა მიერ გადასახადებისა და ჯარიმის 50 პროცენტის ტოლფასი თანხების გადანდის წესებს, ასევე შესაბამისი განცხადების განხილვისა და დასკვნის გამოცემის მეთოდოლოგიას საგადასახადო შემოწმების (მათ შორის საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტის) შედეგად დარიცხული ჯარიმის 50 პროცენტის გაუქმების მიზნით.

მითითებით განსაზღვრულია გადასახადებისა და ჯარიმის 50 პროცენტის გადანდის წესები, მეთოდური მითითების გამოყენების ზოგადი პრინციპები, განცხადების მიღების და განხილვის ეტაპები, შედეგების გაფორმებისა და მათი ასახვის ეტაპები/წესები.

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილის მიზნებისთვის „გადახდა“ ნიშნავს საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოცემული საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული გადასახადების ტოლფასი თანხისა და ჯარიმების 50 პროცენტის ტოლფასი თანხის ბიუჯეტში სრულად გადახდას, რა დროსაც მხედველობაში არ მიიღება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე/გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე არსებული საგადასახადო დავალიანება თუ ზედმეტობა.

საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოცემული საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული

გადასახადების ტოლფასი თანხისა და ჯარიმების 50 პროცენტის ტოლფასი თანხის ბიუჯეტში სრულად გადახდა ფაქტობრივად უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

**მაგალითი №1
ფაქტობრივი გარემოება**

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, გადასახადის გადამხდელს პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე უფიქსირდება საგადასახადო დავალიანება, 50 000 ლარის ოდენობით. ამასთან, ამავე თარიღში გადასახადის გადამხდელს ჩაჰბარდა საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც დარიცხული თანხებია: ძირითადი გადასახადი – 20 000 ლარი, ჯარიმა – 10 000 ლარი, საურავი – 5 000 ლარი.

გადასახადის გადამხდელმა 2024 წლის 10 ოქტომბერს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე (ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000) ჩარიცხა 25 000 ლარი (ძირითადი გადასახადი – სრულად და ჯარიმა – 50%).

შეფასება და შედეგი

საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმის 50 პროცენტის გაუქმების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების შემდეგ ბიუჯეტში გადაიხადოს შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული გადასახადები სრულად, აგრეთვე, ჯარიმების თანხების 50 პროცენტის ტოლფასი თანხა, რა დროსაც, მხედველობაში არ მიიღება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე/გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე არსებული მდგომარეობა.

ამდენად, მოცემული პირობებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელმა დააკმაყოფილა საგადასახადო

კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული თანხების გადახდის პირობა.

მაგალითი №2

ფაქტობრივი გარემოება

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც პირველ მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღეს, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, დავალიანების ნაცვლად, ფიქსირდება ზედმეტობა 50 000 ლარის ოდენობით, ამასთან, საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით სარგებლობის მიზნით, გადასახადის გადამხდელმა მოითხოვა საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული თანხების მიმართ გაბ-ზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის გათვალისწინება.

შეფასება და შედეგი

მოცემულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ არ არის საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოცემული საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული გადასახადების, აგრეთვე, ჯარიმების 50 პროცენტის ტოლფასი თანხების ბიუჯეტში გადახდის პირობა დაკმაყოფილებული, ვინაიდან (მიუხედავად იმისა, რომ პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე ფიქსირდება ზედმეტობა), მიიჩნევა, რომ საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული პირობა, თანხების ბიუჯეტში გადახდის თაობაზე, არ არის შესრულებული.

მაგალითი №3

ფაქტობრივი გარემოება

საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოცემული საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30-ე დღეს, რომელიც დაემთხვა კვირის ბოლო სამუშაო დღეს, პარასკევს, 23:59 საათზე გადასახადის გადამხდელმა ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადაიხადა (საბანკო გადარიცხვის გზით) საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული გადასახადები, აგრეთვე, ჯარიმის 50 პროცენტის ტოლფასი თანხა.

მოცემულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე (ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000) გადახდილი თანხები, აისახა (ჩაირიცხა) მათი გადახდის დღის მომდევნო სამუშაო დღეს – ორშაბათს, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვასვლის შემდეგ.

შეფასება და შედეგი

ვინაიდან საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული გადასახადებისა და ჯარიმის შესაბამისი თანხის ფაქტობრივად გადახდა განხორციელდა ამ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, მიუხედავად აღნიშნული თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე ასახვის თარიღისა, ჩაითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა დაკმაყოფილა საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული პირობა, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის

ვადაში შესაბამისი თანხების ბიუჯეტში გადახდასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება:

– კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნის მიმართ.

– საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოცემულ იმ საგადასახადო მოთხოვნის მიმართ, რომელიც მოიცავს საგადასახადო კოდექსის 280-ე ან/და 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად შეფარდებულ ჯარიმის თანხას.

მაგალითი №4

ფაქტობრივი გარემოება

2024 წლის 30 სექტემბერს გადასახადის გადამხდელს ჩაჰბარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად 2024 წლის 29 ივლისს გამოცემული საგადასახადო მოთხოვნის კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც დარიცხული თანხებია: ძირითადი გადასახადი – 20 000 ლარი, ჯარიმა 10 000 ლარი, საურავი – 5000 ლარი.

გადასახადის გადამხდელმა კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადაიხადა (ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000) 25 000 ლარი (ძირითადი გადასახადი სრულად და ჯარიმა – 50%).

შეფასება და შედეგი

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილი ვრცელდება მხოლოდ საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოცემული იმ საგადასახადო მოთხოვნის მიმართ, რომლითაც გათვალისწინებული თანხებიც საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში არის აღიარებული და არაკორექტირებული საგადასახადო მოთხოვნის მიმართ.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული ჯარიმის (10 000 ლარის) 50 პროცენტი არ დაექვემდებარება გაუქმებას.

მაგალითი №5

ფაქტობრივი გარემოება

2024 წლის 30 სექტემბერს გადასახადის გადამხდელს ჩაჰბარდა საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც დარიცხული თანხებია: ძირითადი გადასახადი – 10 000 ლარი, საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისთვის ჯარიმა – 20 000 ლარი.

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით სარგებლობის მიზნით, გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე

(ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000) გადაიხდა 20 000 ლარი (ძირითადი გადასახადი – სრულად და ჯარიმა – 50%).

შეფასება და შედეგი

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილის მოქმედება არ გავრცელდება საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოცემულ იმ საგადასახადო მოთხოვნის მიმართ, რომელიც მოიცავს საგადასახადო კოდექსის 280-ე ან/და 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად შეფარდებულ ჯარიმის თანხას.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, საგადასახადო მოთხოვნით გადასახადის გადამხდელს ერიცხება ძირითადი გადასახადი და ჯარიმა საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მიუხედავად გადასახადის და ჯარიმის თანხის 50 პროცენტის ტოლფასი თანხის გადახდისა, საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული ჯარიმის 50 პროცენტი არ დაექვემდებარება გაუქმებას.

269-ე მუხლის მე-11 ნაწილის მოქმედება ვრცელდება იმ საგადასახადო მოთხოვნის მიმართ, რომლითაც პირს:

- არ ერიცხება გადასახადი.
- ერიცხება ან მათ შორის ერიცხება მოსაკრებელი.
- ერიცხება ან მათ შორის ერიცხება მიმდინარე გადასახდლები.

მაგალითი №6

ფაქტობრივი გარემოება

2024 წლის 30 სექტემბერს გადასახადის გადამხდელს ჩაჰბარდა საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც ერიცხება მხოლოდ ჯარიმა – 10 000 ლარი.

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით სარგებლობის მიზნით, გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში ბიუჯეტში (ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000) გადაიხდა 5 000 ლარი (ჯარიმის 50%).

შეფასება და შედეგი

საგადასახადო კოდექსის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო მოთხოვნა შესრულებულად ითვლება პირის მიერ საგადასახადო მოთხოვნაში აღნიშნული თანხის გადახდის მომენტიდან. თავის მხრივ, საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება ერთბაშად არ მოიცავდეს გადახდას დაქვემდებარებულ ყველა კომპონენტს – გადასახადს, ჯარიმას და საურავს.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, საგადასახადო მოთხოვნით გადასახადის გადამხდელს ერიცხება მხოლოდ ჯარიმა და არ ერიცხება გადასახადი, ჯარიმის თანხის 50 პროცენტის ტოლფასი თანხის გადახდისას, საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული ჯარიმის 50 პროცენტი დაექვემდებარება გაუქმებას, ვინაიდან სრულდება საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული პირობა, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის

ვადაში შესაბამისი თანხების ბიუჯეტში გადახდასთან დაკავშირებით.

მაგალითი №7

ფაქტობრივი გარემოება

2024 წლის 30 სექტემბერს გადასახადის გადამხდელს ჩაჰბარდა საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც დარიცხული თანხებია: გადასახადი – 15 000 ლარი, მოსაკრებელი – 5 000 ლარი, ჯარიმა – 10 000 ლარი, საურავი – 5 000 ლარი.

გადასახადის გადამხდელმა 2024 წლის 10 ოქტომბერს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე (ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000) ჩარიცხა 25 000 ლარი (გადასახადები და მოსაკრებელი – სრულად და ჯარიმა – 50%).

შეფასება და შედეგი

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმის 50 პროცენტის გაუქმების მიზნით, გადასახადის გადამხდელმა, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების შემდეგ, ბიუჯეტში გადაიხდა შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული გადასახადები და მოსაკრებელი სრულად, აგრეთვე ჯარიმების თანხების 50 პროცენტის ტოლფასი თანხა, ჩაითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა დააკმაყოფილა საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული თანხების გადახდის პირობა.

ინოვაციური სტარტაპის მიერ გაცემული სელფსის მატხიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რომელიც თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან

- მთავრობის მიერ 24.09.2025-ში მიღებულ იქნა №424 დადგენილება, ინოვაციური სტარტაპის სტატუსის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსისა და კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწვევი კომპანიის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესის დამტკიცების, ინოვაციური სტარტაპის მიერ გაცემული ხელფასის მატხიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რომელიც თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან და ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის ხელშემწყობი მექანიზმების თაობაზე.

ამავე თარიღიდან ამოქმედდა ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომლითაც განისაზღვრა „ინოვაციების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ №718-III-XI მპ – 24.06.2025 კანონით გათვალისწინებული ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის, კვლევებისა და განვითარების მომსახურების გამწვევი კომპანიის სტატუსის მქონე პირების საგადასახადო შეღავათების სამართლებრივი საფუძველი.

ცვლილება ითვალისწინებს შემდეგ ხელშემწყობ

მექანიზმებს:

– ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება.

– ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების მე-4 წლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება, ხოლო იმავე პერიოდში ინოვაციური სტარტაპის მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ია.

– ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების მე-7 წლიდან მომდევნო 4 წლის განმავლობაში მის მიერ გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 10%-იანი განაკვეთით იბეგრება, ხოლო იმავე პერიოდში ინოვაციური სტარტაპის მოგების გადასახადის განაკვეთი 10%-ია.

– ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანია უფლებამოსილია წინა ფინანსურ წელს დაგროვილი წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემთხვევაში მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით შეიმციროს მის მიერ წინა ფინანსურ წელს კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობით.

– ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტი უფლებამოსილია მოგების რეინვესტირების შემთხვევაში ისარგებლოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ხელშემწყობი მექანიზმებით.

– კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის მიერ შესაბამისი სტატუსის მოქმედების პერიოდში გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება.

– კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ია.

ინოვაციური სტარტაპის სტატუსი ენიჭება ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სამეწარმეო საზოგადოებას, რომელიც აკმაყოფილებს „ინოვაციების შესახებ“ კანონის 15¹ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:

• ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, შეიმუშავებს ინოვაციურ პროცესს ან/და ეწევა ინოვაციურ მომსახურებას.

• სტატუსის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მოიპოვა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობის

ინვესტიცია ან სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსგან მოიპოვა არანაკლებ 150 000 ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინვესტიციად მიიჩნევა ასევე სხვა ქვეყანაში დაფუძნებული იმ მშობელი კომპანიისგან ანდა შვილობილი კომპანიისგან მიღებული ფინანსური სახსრები, რომელმაც, თავის მხრივ, ეს სახსრები საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან აქსელერატორისგან მიიღო.

• სტატუსის მოპოვების მიზნით, ახორციელებს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების მიერ დაფინანსებულ, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამასთან, მის მიერ მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯები არსებითად ამ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

• სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენიდან სტატუსის მინიჭების მომენტისთვის არ აქვს საგადასახადო დავალიანება, იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და ის არ იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში.

საფინანსო სფეროში შიდანილი ცვლილებები

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 26.09.2025-ში მიღებული №230/04 ბრძანებით დამტკიცდა ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო სისტემების ოპერირებისას პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის წესი.

წესი ვრცელდება ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო სისტემების ოპერირების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა იმ სახელმწიფოებში გადაცემის შემთხვევებზე, რომლებიც არ შედის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში.

წესის მიხედვით, ეროვნული ბანკი ვალდებულია მიიღოს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხო გადაცემისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები.

საგადახდო სისტემების უსაფრთხო, მდგრადი, ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკის, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორის მიერ, საგადახდო სისტემების პროგრამულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მწარმოებელთან ან ტექნიკურ გამართულობაზე პასუხისმგებელ კონტრაქტთან უნდა დაიდოს შესაბამისი ხელშეკრულება ან/და არსებულ ხელშეკრულებაში განხორციელდეს ცვლილება. აღნიშნული ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის უსაფრთხოების მიზნით უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ვალდებულებებს:

– მონაცემთა მიღებისას და დამუშავების სრული

პერიოდის მანძილზე, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის, ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

– მიღებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების მიზნითა და ფარგლებში, ასევე მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, ხოლო მიზნის მიღწევის შემდეგ პერსონალური მონაცემების წაშლას/განადგურებას.

– პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხო გადაცემისთვის საჭირო ყველა ძირითადი კომპონენტის, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების პროცესში, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით (GDPR) და ISO/IEC 27001 საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას.

– პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას, მათ შორის, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირებისთვის მიწოდების დასაშვებობას. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მონაცემები, აუცილებლობის შემთხვევაში, მესამე პირებს შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ ეროვნული ბანკის (საგადახდო სისტემის ოპერატორის) წინასწარი წერილობითი თანხმობით, ასევე, იმ დათქმის გათვალისწინებით, რომ მონაცემთა მიმღები უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებას და მიღებული მონაცემების იმავე მიზნით და პირობებით დამუშავებას და მიზნის მიღწევის შემდეგ მონაცემების წაშლას/განადგურებას.

ცვლილება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესსა და პირობებში

– 15.09.2025-ის მთავრობის №402 დადგენილებით, ცვლილება შევიდა „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ამავე პირის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში.

ცვლილების თანახმად, ლიცენზიის მიღების მიზნით წარდგენილ განცხადებას ლიცენზიის გამცემი განიხილავს მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, აცნობებს განმცხადებელს ამის შესახებ, რომელსაც განესაზღვრება ვადა მისი მოგვარებისთვის არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ოდენობით. ამ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი/ტოპოგრაფიული რუკა (გარდა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით)

ობიექტთან დაკავშირებით მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტი(სა), მისი მომზადებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ეგზავნებათ შესაბამის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო სამართლის სუბიექტებს ლიცენზიის გაცემის შეახებ, რომ დააფიქსირონ მათი მოსაზრება და პოზიცია. პასუხის წარდგენისთვის განსაზღვრულია 5 სამუშაო დღე. თუმცა, თუ წარმოებაში ჩართულ სუბიექტს პოზიციის გამოსახატავად ესაჭიროება მეტი დრო, ამის შესახებ შუალედური შეტყობინებით, შესაბამისი დასაბუთებით, უნდა აცნობოს ლიცენზიის გამცემს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში. დამატებით მოთხოვნილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრულ ვადაში შენიშვნების ან დასაბუთებული უარის წარუდგენლობის შემთხვევაში, საკითხი აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებულად ითვლება და სააგენტო უფლებამოსილია, ამ დადგენილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ვადების ფარგლებში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამოცხადებისათვის/ აუქციონის გამოცხადებაზე უარის გადაწყვეტილებისათვის, ადმინისტრაციული წარმოების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს.

იხილეთ ასევე:

– 25.09.2025-ის მთავრობის №427 დადგენილება, „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ ამავე პირის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 24.09.2025-ის მთავრობის №422 დადგენილება, „ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ 2011 წლის 26 იანვრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 24.09.2025-ის მთავრობის №420 დადგენილება, „საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ამავე პირის 2020 წლის 8 ოქტომბრის №619 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მარიამ აფრასიძე

რუბრიკის სპონსორი -



სპეციალისტის კომენტარი

სპეციალისტის კომენტარი - ამ რუბრიკით ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება პრაქტიკოსი სპეციალისტების კომენტარები სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და სხვადასხვა სახელების შესახებ. ჟურნალში გაუკეთდება კომენტარები როგორც ახლად გამოქვეყნებულ ნორმატიულ დოკუმენტებს, ასევე ადრე მიღებულ იმ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც დღეს აქტუალურია.

რუბრიკას უძღვება შპს აუდიტური კონცერნი „ბოლნისა“-ს გენერალური დირექტორი, „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარი რედაქტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვიორგი ცერცვაძე.

მსს ფასს 2015-ის კომენტარები: მმ-13 განყოფილება „მარაგები“

ბუღალტრულ აღრიცხვაში ერთ-ერთი ყველაზე მთავარ საკითხს (როგორც მნიშვნელობით, ასევე გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით) წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგის) აღრიცხვა: მათი განმარტება, კლასიფიკაცია, შეფასება, თვითღირებულების განსაზღვრა, ჩამოწერის (ხარჯად აღიარების) მეთოდები და სხვა. ამ საკითხებს არეგულირებს მსს ფასს-ის მე-13 განყოფილება „მარაგები“ (ძველი თარგმანის მიხედვით, მისი სახელწოდება იყო „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“. „მარაგები“ და „სასაქონლო-მატერიალური-ფასეულობები“ ერთი და იგივეა, თუმცა სწორი თარგმანია „მარაგი“ ან „მარაგები“). ამ განყოფილების ცოდნასა და სწორად გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ბუღალტრებისთვის, ასევე მენეჯერებისათვის. ეს მსს ფასს-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირად გამოსაყენებელი განყოფილებაა. ჩვენ მას მუხლობრივად განვიხილავთ (მსს ფასს-იდან ამონარიდები ქვემოთ მოყვანილი იქნება დახრილი შრიფტით).

განსახილველი განყოფილების მოქმედების სფერო მის 13.1 ქვეპუნქტში არის აღნიშნული:

„13.1. ეს განყოფილება განსაზღვრავს მარაგის აღიარებისა და შეფასების ძირითად პრინციპებს. მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად“.

განმარტებიდან გამომდინარე, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები განეკუთვნებიან აქტივებს. მათთან დაკავშირებული შემოსავლების მიღებამდე, არ

ხდება მათი ხარჯებად აღიარება. ისინი მიმდინარე ანუ მოკლევადიან აქტივებს წარმოადგენენ, რადგან განიცდიან მუდმივ მოძრაობას (ყიდვა-გაყიდვა, გაცემა, ხარჯვა, ჩამოწერა). ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის წარმოება და რეალიზაცია შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს (მაგალითად, დაძველებისათვის განკუთვნილი ღვინომასალები), არ ცვლის მათი როგორც მიმდინარე აქტივის ხასიათს.

მარაგი მოიცავს იმ შექმნილ საქონელს, რომელიც ინახება ხელმეორედ გაყიდვის მიზნით, მათ შორის, მაგალითად, საცალო ვაჭრობის ქსელის მიერ შექმნილ საქონელს, რომელიც განკუთვნილია ხელმეორედ გაყიდვისათვის, ან მიწას და სხვა ქონებას, რომლებიც ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად. მარაგს მიეკუთვნება მზა პროდუქცია ან საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები, აგრეთვე ის ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის. განსხვავება საქონელსა და მზა პროდუქციას შორის გამოიხატება იმაში, რომ „საქონელი“ შემდგომი გადაყიდვის მიზნით შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებია, ხოლო „მზა პროდუქცია“ - საკუთარი ძალებით შექმნილი (წარმოებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მუხლობრივი კლასიფიკაცია შემდეგია: საქონელი (1610 ანგარიში); ნედლეული და მასალები (1620); დაუმთავრებელი წარმოება (1630); მზა პროდუქცია (1640); სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი (1690) (მაგალითად, შექმნილი და დაწუნებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც დაბრუნებული უნდა იქნეს მიმწოდებლისათვის).

არ არის სწორი გავრცელებული მოსაზრება, თითქოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მხოლოდ მატერიალური ბუნების აქტივებია. ჯერ ერთი,

გამომდინარე საქონლის განმარტებიდან (შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი ქონება), საქონელს შეიძლება ჰქონდეს არამატერიალური სახე (სხვადასხვა უფლებები, პროგრამული უზრუნველყოფა). მაგალითად, თუ საწარმომ შეიძინა რამე ნაწარმოების გამოცემის საავტორო უფლება, ოღონდ არა ამ ნაწარმოების გამოცემისათვის, არამედ ამ საავტორო უფლების სხვა პირზე სარგებლით გადაყიდვის მიზნით, ის გაყიდვამდე აღრიცხული უნდა იყოს სასაქონლო-მატერიალური მარაგის შემაღელვებაში, როგორც საქონელი. იგივე შეიძლება ითქვას მზა პროდუქციაზეც. მაგალითად, თუ საწარმო ავრცელებს საკუთარი ძალებით შექმნილ პროგრამულ პროდუქტს, ის თავისი არსით მზა პროდუქციას წარმოადგენს, თუმცა მისი მატერიალურობა ქალაქდზე დაბეჭდილ ლიცენზიაში შეიძლება ვლინდებოდეს მხოლოდ.

„13.2. წინამდებარე განყოფილება ვრცელდება ყველა სახის მარაგზე, გარდა:

- (ა) დაუთავრებელი მშენებლობისა, რომელიც წარმოიშობა სამშენებლო ხელშეკრულების შესრულებისას, მათ შორის, მასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებებისა (იხ. 23-ე განყოფილება – „ამონაგები“);
- (ბ) ფინანსური ინსტრუმენტებისა (იხ. მე-11 განყოფილება – „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“ და მე-12 განყოფილება – „სხვა ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“); და
- (გ) ბიოლოგიური აქტივებისა, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან ნაყოფის მიღების მომენტში (იხ. 34-ე განყოფილება – „სპეციალიზებული საქმიანობა“).

13.3. წინამდებარე განყოფილება არ გამოიყენება ისეთი მარაგის შეფასებისთვის, რომელსაც ფლობენ:

- (ა) სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები ნაყოფის მიღების შემდგომი გადაშუშავებით მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის და აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულისა და სასარგებლო წიაღისეულის პროდუქტებისთვის, ვინაიდან ეს პროდუქტები ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით; ან
- (ბ) საბირჟო საქონლით მოვაჭრე ბროკერები და დილერები, რომლებიც თავიანთი მარაგის ღირებულებას აფასებენ გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

რეალური ღირებულება (იგივეა რაც სამართლიანი ღირებულება) არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყიდოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი

ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში.

იმისათვის, რომ გარიგებამ განსაზღვროს რეალური ღირებულება, გარიგება უნდა ხორციელდებოდეს საქმის მცოდნე, გარიგების მსურველ პირებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ გარიგებაში შესვლა შეუძლია ნებისმიერ პირს რამე შეზღუდვების გარეშე, ამასთან, სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა შორის არ არსებობს რამე ურთიერთკავშირი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებული გარიგება წარმოადგენს გარიგებას ორ ისეთ მხარეს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, რომლის გავლენითაც გარიგების ფასი ბაზრისათვის არატიპური გაზდებოდა. იგულისხმება, რომ ასეთი გარიგება დაიდება ერთმანეთთან დაუკავშირებელ დამოუკიდებლად მოქმედ მხარეებს შორის.

რას ნიშნავს „საქმის მცოდნე“? ეს ტერმინი გულისხმობს, რომ ორივე გარიგების მსურველი მყიდველი და გამყიდველი საკმარისად არიან ინფორმირებულნი ქონების ბუნებისა და მახასიათებლების შესახებ; იცნობენ მისი გამოყენების ფაქტობრივ და პოტენციურ შესაძლებლობებს და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბაზარზე არსებულ მდგომარეობას; მსურველი მყიდველი მოტივირებულია, მაგრამ იძულებული არ არის იყიდოს; იგი არ არის ზედმეტად მონდომებული და არც ნებისმიერ ფასად ნაღდი მყიდველი; სავარაუდო მყიდველი არ გადაიხდიდა უფრო მაღალ ფასს, ვიდრე ინფორმირებული და შესყიდვის მსურველი პირის მომცველი ბაზარი და გამყიდველი მოითხოვს; მსურველი გამყიდველი არაა ზედმეტად მონდომებული ან იძულებული, ქონება გაყიდოს ნებისმიერ ფასად, ის ასევე არ აპირებს შეჩერდეს ისეთ ფასზე, რომელიც არარეალურია მოცემული ბაზრისათვის; მსურველ გამყიდველს სურს ქონება გაყიდოს არსებული ბაზრის გარემოში ხელმისაწვდომ საუკეთესო ფასად.

(ა) პუნქტში ჩამოთვლილი მარაგის რეალური ღირებულებით (რომელიც მცირდება გაყიდვის მოსალოდნელი დანახარჯებით) აღრიცხვის მაგალითია, როდესაც მარცვლეული კულტურების მოსავალი უკვე აღებულია ან წიაღისეული მადანი უკვე მოპოვებულია, ამასთან აქტიური ბაზარი არსებობს და ამ საქონლის არგაყიდვის რისკი უმნიშვნელოა.

საბირჟო საქონლით მოვაჭრე ბროკერების მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვა ხდება ახლო მომავალში სწრაფი გაყიდვების მიზნით, როცა მოგება მიიღება ფასების ცვალებადობიდან ან მოვაჭრე-ბროკერის მარჯიდან. ამ შემთხვევაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ყიდვა-გაყიდვა ანალოგიური ხდება ბირჟაზე ფასიანი ქალაქდებით ვაჭრობისა.

ზემოაღნიშნული მარაგები არ ექვემდებარება მოცემული სტანდარტის მოთხოვნებს მხოლოდ

შეფასების ნაწილში. მათი თავდაპირველი შეფასების შემდეგ ისინი რეგულირდება მსს ფასს-ის ამ განყოფილების მიხედვით.

„13.4. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები“.

ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებით გასაყიდ ფასს, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი (მოსალოდნელი) დანახარჯების გამოკლებით, ნეტო (წმინდა) გასაყიდ ღირებულებას ან ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულებას უწოდებენ.

განსხვავება გასაყიდ (სარეალიზაციო) ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველი – კონკრეტული საწარმოს სპეციფიკაზე და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ხოლო მეორე – არა. ამ მიზეზის გამო, ნეტო გასაყიდი (სარეალიზაციო) ღირებულება შეიძლება არ უდრიდეს რეალურ ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები. მაგალითად, საწარმოს შეიძლება წინასწარ გაფორმებული ჰქონდეს მისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მთლიანად ან ნაწილობრივ) გარანტირებული გაყიდვების უზრუნველყოფელი კონტრაქტები, იმ დროს, როცა მათი რეალური ღირებულება დაეცა საკონტრაქტო ღირებულებაზე უფრო ქვემოთ.

მაგალითი 1. საანგარიშო წლის ბოლოს საწარმოს აქვს ერთი სახეობის 1000 ცალი მზა პროდუქტი, რომლის თვითღირებულებაა (ერთეულის) 2.30 ლარი. თუმცა, წლის ბოლოს ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე, ამ მზა პროდუქტის (1 ცალის) რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ 2 ლარად დღგ-ის გარეშე (სიმარტივისთვის, რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯები უგულებელგყოთ). იმაგდროულად, საწარმოს შესასრულებელი აქვს ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით 400 ცალი მზა პროდუქტი მომდევნო წლის იანვრის თვეში უნდა მიეწოდოს მყიდველს ფიქსირებულ (გარანტირებულ) ფასად – 2.50 ლარად დღგ-ის გარეშე, რაც მის თვითღირებულებას აღემატება.

მოცემულ შემთხვევაში, ამ 400 ცალი მზა პროდუქტის სარეალიზაციო ღირებულება 2.50 ლარი აღემატება რეალურ ღირებულებასაც და თვითღირებულებასაც, ამიტომ მარაგის ეს ნაწილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვის მიზნით უნდა შეფასდეს 400*2.30 ლარად. მთლიანობაში კი, საწარმოს სასაქონლო-მატერიალური მარაგი წლის ბოლოს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იქნება 400*2.30+600*2=2120 ლარად.

ამგვარად, მარაგების მართებულად ასახვისათვის ბუღალტერს სწორად უნდა ჰქონდეს დაანგარიშებული მათი თვითღირებულება, ერთი მხრივ, და საიმედოდ უნდა იყოს შეფასებული ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება, მეორე მხრივ.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გამოიანგარიშება არა როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგის შესაძლო სარეალიზაციო ფასი, არამედ ეს ფასი რეალიზაციასთან დაკავშირებული კომერციული დანახარჯების გამოკლებით. მოვიყვანოთ ორი მაგალითი ამ ღირებულების განსაზღვრისა:

მაგალითი 2. საწარმო ყიდის თავის პროდუქციას მხოლოდ მის მიერ დაქირავებული ფიზიკური პირების – დისტრიბუტორების მეშვეობით, რომლებიც საწარმოსთან შრომით ურთიერთობებში იმყოფებიან. ისინი იღებენ ხელფასს გაყიდული პროდუქციის ღირებულების 3%-ის ოდენობით. ერთეული პროდუქციის სარეალიზაციო ფასია 100 ლარი დღგ-ის გარეშე. ჩავთვალოთ, რომ ყველა მისი დისტრიბუტორი – დაგროვებითი საბენსიო სქემის მონაწილეა, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო მათთვის დარიცხულ ანაზღაურებაზე არიცხავს საგაღდებულო საბენსიო შენატანებს – 2% -ს („ზემოდან“ არიცხავს ანაზღაურების ოდენობას), ხოლო კიდევ 2% -ს – უკავებს მათ „ხელზე“ ასაღები თანხიდან.

ამ შემთხვევაში ერთეული პროდუქციის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება იქნება $100 \cdot 3 - 0.06 = 96.94$ ლარი, რადგან 3 ლარი – დისტრიბუტორის საკომისიო გასამრჯელოა, ხოლო $3 \cdot 2\% = 0.06$ ლარი – ამ გასამრჯელოზე დარიცხული საგაღდებულო საბენსიო შენატანი.

მაგალითი 3. საკანცელარიო ნივთებით მოვაჭრე თბილისური ფირმა თავისი საქონლის მიწოდებას მყიდველებისთვის ახდენს მათ ოფისებში (ქ. თბილისის ფარგლებში) საკუთარი ავტოტრანსპორტით, რომლის ფასი შესულია საქონლის გასაყიდ ფასში. გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ ტრანსპორტირების დანახარჯები შეადგენს რეალიზაციიდან შემოსავლების (დღგ-ის გარეშე) დაახლოებით 1%-ს. წლის ბოლოს სასაქონლო მარაგის ნაშთის სარეალიზაციო ფასი დღგ-ის გარეშე შეადგენდა 25000 ლარს. ე.ი. მათი ტრანსპორტირებისთვის მოსალოდნელი ხარჯია 250 ლარი.

ამ შემთხვევაში სასაქონლო ნაშთის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება იქნება: $25000 - 250 = 24750$ ლარი.

„მარაგის თვითღირებულება

13.5. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შექმნასა და გადაშეშვებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შექმნის დანახარჯები

13.6. მარაგის შექმნის დანახარჯები მოიცავს: მისი შექმნის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შექმნასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შექმნის დანახარჯების გაანგარიშებაში“.

ამგვარად, შექმნილი საქონლის (მასალების) თვითღირებულება მოიცავს: შესყიდვის ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და საბაჟოზე გაწეულ სხვა ხარჯებს, გარდა იმ გადასახადებისა, რომელიც უკან დაბრუნებადი; მაგალითად, საქონლის იმპორტის დროს საბაჟოზე გადახდილი დღგ, თუ იმპორტიორი საწარმო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია, ექვემდებარება ჩათვლას მომავალ ანგარიშსწორებებში ბიუჯეტთან, ანუ დაბრუნებას სახელმწიფოს მხრიდან, ამიტომ ის არ შეიტანება შექმნილი საქონლის თვითღირებულებაში, ხოლო თუ იმპორტიორი საწარმო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული არ არის, მაშინ საბაჟოზე გადახდილი დღგ შეტანილ უნდა იქნეს იმპორტირებული საქონლის თვითღირებულებაში (ანალოგიური ძალაშია საბაჟოზე გადახდილ აქციზთან მიმართებაშიც, თუ ხდება აქციზური საქონლის მწარმოებლის მიერ აქციზური ნედლეულის იმპორტი); რაც შეეხება შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ შექმნის დანახარჯებში ჩაირთვება მხოლოდ ის შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შექმნილი ფასეულობების მოცემულ ადგილსამყოფელამდე ტრანსპორტირებასთან და მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, საბაჟო საწყობში შენახვის ხარჯები (საქონლის განბაჟებამდე), აგრეთვე საბაჟოდან საწარმოს საწყობამდე ტრანსპორტირების ხარჯები ჩართული უნდა იქნენ საქონლის შექმნის დანახარჯებში, მაგრამ საქონლის შენახვის ხარჯები მზა პროდუქციის საწყობში ან მისი ტრანსპორტირების ხარჯები მზა პროდუქციის ერთი საწყობიდან მეორეში მის თვითღირებულებაზე უკვე აღარ მოქმედებენ.

სხვადასხვა სავაჭრო ფასდათმობები შექმნის

დანახარჯებში არ შეიტანება (ანუ თვითღირებულება უნდა შემცირდეს ფასდათმობის ოდენობით: მაგალითად, თუ 1000 ლარის ღირებულების საქონელი შექმნილი იქნა 2%-იანი ფასდათმობით ნაღდი ანგარიშსწორების გამო, მაშინ მისი თვითღირებულება იქნება 980 ლარი).

პრაქტიკაში არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც საქონლის შესყიდვის დროს სავაჭრო ფასდათმობა განსაზღვრულია მიწოდების სახელშეკრულებო პირობებით, მაგრამ დამოკიდებულია სამომავლო ხდომილებებზე: მაგალითად, წლის განმავლობაში ამ მიწოდებლისგან შესყიდული მარაგის ღირებულებაზე ან წლის განმავლობაში ამ მიწოდებლისათვის გადახდილი თანხის ოდენობაზე. თუ შესაბამისი ხდომილება, რამაც ფასდათმობა გამოიწვია, მოხდა, მაშინ შესყიდული მარაგის თვითღირებულება უნდა დაკორექტირდეს (შემცირდეს) ამ ფასდათმობის თანხით.

რაც შეეხება სავალუტო კურსთაშორის სხვაობებს, რომლებიც წარმოშობილია უცხოურ ვალუტაში გამოწერილი ინვოისებიდან (უცხოელი მიმწოდებლის წინაშე ვალდებულებებისაგან), სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში მათი შეტანა/არშეტანის საკითხი რეგულირდება მსს ფასს-ის 30-ე განყოფილებით „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში“, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს სავალუტო მუხლების გადაფასება. ამ დებულებების გათვალისწინებით, როდესაც ხდება უცხოურ ვალუტაში შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გამოთვლა, მაშინ:

ა) თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საფასური გადახდილია ავანსის სახით, მაშინ მათი თვითღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული უნდა იქნეს ავანსის გადახდის დღეს მოქმედი სავალუტო კურსი (ანუ, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის უცხოურ ვალუტაში გადახდილი ავანსი შემდგომ გადაფასებას არ ექვემდებარება);

ბ) თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საფასური გადახდილი იქნება მათი შექმნის შემდეგ, მაშინ მათი თვითღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული უნდა იქნეს შექმნის დღეს მოქმედი სავალუტო კურსი, ხოლო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვის გამო უცხოურ ვალუტაში წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება შემდგომ გადაფასდება და წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშზე;

გ) თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საფასური ნაწილობრივ გადახდილი იქნა ავანსის სახით, ხოლო ნაწილობრივ გადახდილი იქნება მათი შექმნის (მათზე საკუთრების უფლების მოპოვების) შემდეგ, მაშინ მათი თვითღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული უნდა იქნეს კომბინირებული მიდგომა: ნაწილობრივ გამოიყენება ავანსის გადარიცხვის დღეს მოქმედი სავალუტო კურსი (გადახდილი ღირებულების ნაწილში), ნაწილობრივ კი – შექმნის დღეს მოქმედი

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

სავალუტო კურსი (გადასახდელი ღირებულების ნაწილში).

შექმენის ან წარმოების თვითღირებულებაში არ შეიტანება კრედიტით სარგებლობისათვის დარიცხული პროცენტები (ამით მსს ფასს განსხვავდება ფასს-ების სრული ვერსიისგან, რომელიც უშვებს, რომ ე.წ. „განსაკუთრებული აქტივის“ წარმოების შემთხვევაში, მის თვითღირებულებაში შეიტანება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები).

„13.7. საწარმომ მარავი შეიძლება შეიძინოს გადავადებული ანგარიშსწორების პირობით. ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულება, ფაქტობრივად, შეიცავს ნაგულისხმევ დაფინანსების ელემენტს, როგორცაა, მაგალითად სხვაობა სტანდარტული საკრედიტო პირობებით შესყიდვის ფასსა და გადავადებული ანგარიშსწორების თანხას შორის. ასეთ შემთხვევებში, სხვაობა აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი დაფინანსების პერიოდის განმავლობაში და არ დაემატება მარავის თვითღირებულებას“.

მაგალითი 4. საწარმოს თავისი პროდუქციის წარმოებისათვის მუდმივად ესაჭიროება ნედლეული

„კ-კომპონენტი“. ეს ნედლეული იყიდება ბაზარზე, როგორც წესი, თანხის იმაგდროული გადახდის პირობებით, ან მაქსიმუმ, რამდენიმე დღიანი გადავადებით. მისი გაყიდვა გათავისუფლებულია დღგ-ისაგან.

„კ-კომპონენტის“ მორიგი პარტიის შესყიდვისას, საწარმო მოურიგდა ამ ნედლეულის მიმწოდებელს გადახდის თანხის 1-წლიან გადავადებაზე, რასაც ის დათანხმდა, თუმცა საქონელი მიჰყიდა საწარმოს უფრო მაღალ ფასში, ვიდრე ეს შექმენის თანადროულად გადახდის შემთხვევაში იქნებოდა. გაყიდვის ფასმა შეადგინა 60000 ლარი. სესხით სარგებლობის საშუალო საბაზრო წლიური პროცენტი გაყიდვის მომენტი იყო 20% .

მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს მიერ შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის – „კ-კომპონენტის“ თვითღირებულება იქნება 50000 ლარი, ხოლო დანარჩენი 50000*20%=10000 ლარი აღიარდება საპროცენტო ხარჯად მიმწოდებლის წინაშე არსებული დაგაღიანების მთელი პერიოდის (1 წლის) განმავლობაში.

პრაქტიკაში ხშირია შეცლომები, როდესაც

ბუღალტრები ატარებენ მიმდინარე ხარჯებში იმას, რაც სინამდვილეში საქონლის, მასალების, მზა პროდუქციის თვითღირებულებას უნდა მიეკუთვნოს. მაგალითისათვის, დავეშვათ, საწარმომ მიავიღა მომარაგების განყოფილების მენეჯერი ნელლეულის მიმწოდებელთან. მივლინების ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ მომარაგების უფროსს ადგილზე გაეკონტროლებინა ნელლეულის ხარისხი გადატვირთვისას, მიწოდების წინ. ბევრი ბუღალტერი, დიდი ალბათობით, ამ მივლინების ხარჯს მიაკუთვნებს მიმდინარე პერიოდის გამოსაქვით ხარჯებს, მაშინ, როცა ის სინამდვილეში უნდა დაემატოს მიღებული ნელლეულის თვითღირებულებას.

ასეა თუ ისე, შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების გამოყოფა და შექმნილი მარაგების თვითღირებულების დაანგარიშება გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე მარაგების წარმოების (გადამუშავების) ხარჯების გამოთვლა და მზა პროდუქციის თვითღირებულების სწორი გამოანგარიშება.

„გადამუშავების დანახარჯები“

13.8. მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან, როგორცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნელლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ საშუალო ძალაზე“.

განსხვავება პირდაპირ და ზედნადებ ხარჯებს შორის ისაა, თუ რამდენად პირდაპირ არიან ისინი დაკავშირებულნი საწარმოო პროცესთან. მაგალითად, ღვინის წარმოებაში ჩამოსხმის დროს დახარჯული (გამოყენებული) ღვინომასალა, ბოთლი, ეტიკეტი, საცობი, ჩაჩი, ყუთი, წებო, რომლითაც ეტიკეტი დაეკრო, სკოჩი, რომლითაც ყუთების შეკვრა მოხდა, – პირდაპირი საწარმოო ხარჯებია, ხოლო ფილტრები, რომელშიც ღვინო იფილტრება, ქიმიკატები, რომლითაც დამუშავდა ღვინომასალა ჩამოსხმის წინ, ელექტროენერგია, რომელიც მოხმარებულია წარმოების საამქროს მიერ, – ზედნადები ხარჯები. პირდაპირ ხარჯებს მიეკუთვნება

აგრეთვე ჩამოსხმის განყოფილების მუშათა ხელფასი, მაშინ, როცა მთავარი მეღვინის ან წარმოების სხვა განყოფილებების (მაგალითად, ლაბორატორიის) მუშაკთა ხელფასი ზედნადებ ხარჯებს წარმოადგენენ. ზედნადებ ხარჯს მიეკუთვნება აგრეთვე საწარმოო კორპუსის იჯარა, წარმოების ძირითადი საშუალებების დაზღვევა და სხვა.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. მაგალითად, ეს არის ცვეთა, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯები, აგრეთვე წარმოების მართვისა და ადმინისტრირების ხარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები კი ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად, რაც შეიძლება იყოს როგორც დანახარჯები დამხმარე მასალებზე, ასევე შრომითი დანახარჯები. განსხვავება ცვლად და მუდმივ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს შორის ისაა, დამოკიდებული არიან თუ არა ისინი წარმოების მოცულობის სიდიდის ცვლილებაზე. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში ფილტრები, ქიმიკატები და ელექტროენერგია, ცხადია, ცვლადი ზედნადები ხარჯებია, ხოლო საწარმოო კორპუსის იჯარა – მუდმივი. მთავარი მეღვინის ან ლაბორატორიის მუშაკთა ხელფასები, როგორც წესი, არ არის დამოკიდებული წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე და თვიურ ფიქსირებულ ანაზღაურებას შეადგენენ, ამიტომ ისინი წარმოების მუდმივ ზედნადებ ხარჯებად უნდა განვიხილოთ. რაც შეეხება წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ანარიცხებს (ცვეთას), ის მუდმივი ზედნადები ხარჯია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ცვეთის გამოთვლა ხდება წარმოებულ ერთეულთა (მწარმოებლურობის) მეთოდით – მაშინ ის ცვლადად ზედნადებ ხარჯს წარმოადგენს (ძირითადი საშუალებების ცვეთის მეთოდები განხილულია მსს ფასს-ის მე-17 განყოფილებაში „ძირითადი საშუალებები“). მუდმივი ზედნადები ხარჯები, ცხადია, შეიძლება იცვლებოდნენ, მაგრამ აქ არსებითია ის, რომ მათი ცვლილება ნაკლებად არის ან საერთოდ არ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობის სიდიდეზე.

„საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება“

13.9. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხორციელდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრეს უწოდებენ წარმოების ისეთ დონეს, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე პერიოდის ან სეზონის განმავლობაში, წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გვერდით ტექნოლოგიურად განპირობებული დანაკარგების გათვალისწინებით.

შესაძლებელია წარმოების ფაქტობრივი დონის გამოყენებაც, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების ოდენობა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენის გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების უჩვეულოდ მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა ისეთი ოდენობით უნდა შემცირდეს, რომ არ მოხდეს მარაგის შეფასება თვითღირებულებაზე მეტი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების მიკუთვნიება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით“.

ყველა პირდაპირი საწარმოო ხარჯი უშუალოდ ჩაირთვება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში. ზედნადები საწარმოო ხარჯები ასევე გადანაწილდება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. მათი გადანაწილება ხდება საწარმოო სიმძლავრეების მიხედვით: ცვლადი ზედნადები ხარჯების – საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით, მუდმივი ზედნადები ხარჯები – საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით, თუმცა მუდმივი ზედნადები ხარჯების განაწილებისათვის შეიძლება წარმოების ფაქტობრივი დონის გამოყენებაც, თუ ის არსებითად არ განსხვავდება წარმოების საშუალო სიმძლავრისაგან (და რეალურ პრაქტიკაში ძირითადად ასეც ხდება).

როგორც ეს აღნიშნულია მსს ფასს-ის 13.9 მუხლში, „წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების ოდენობა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენის გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც იქნა გაწეული“.

ნათქვამი განვმარტოთ შემდეგ მაგალითზე:

მაგალითი 5. დაგეგმვა, საწარმოო თვეში საშუალოდ უშვებს 3000 ერთეულ პროდუქციას (ერთი სახეობის), პროდუქციის გამოშვება ხდება თვეში ორჯერ. მაისის თვეში გამოშვებული იქნა 2900 ერთეული, მათ შორის 1-ლ ნახევარში – 1700 ერთეული, ხოლო მე-2 ნახევარში – 1200 ერთეული პროდუქცია. ასეთ შემთხვევაში მაისის 1-ლი ნახევრის ცვლადი ზედნადები ხარჯები მიეკუთვნება 1700 ერთეული პროდუქციის თვითღირებულებას, ხოლო მე-2 ნახევრის – 1200 ერთეულის თვითღირებულებას. ასეთი გადანაწილებისაგან განსხვავებით, მაისის თვის მუდმივი ზედნადები ხარჯები გადანაწილდება ერთეულ პროდუქციაზე თანაბრად მათი სიდიდის 1/2900-ის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ მაისის თვეში მწარმოებლურობა რამე მიზეზების გამო ძალიან დაბალი აღმოჩნდა, ვთქვათ, ნაწარმოები იქნა მხოლოდ 500 ერთეული პროდუქცია, მაშინ პროდუქციის თვითღირებულებას უნდა დაემატოს მაისის მუდმივი ზედნადები ხარჯების 1/6 (500:3000=1/6), დანარჩენი 5/6 კი აღიარებული უნდა იქნეს მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

რაც შეეხება იმას, რომ „საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების უჩვეულოდ მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა ისეთი ოდენობით უნდა შემცირდეს, რომ არ მოხდეს მარაგის შეფასება თვითღირებულებაზე მეტი თანხით“, ეს ფაქტობრივად ზედმეტი დებულებაა, რადგან წარმოების მაღალი დონის შემთხვევაში მუდმივი ზედნადები ხარჯების გადანაწილება წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე თავისთავად განაპირობებს იმას, რომ თითოეულ წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი ზედნადები ხარჯების ხვედრითი წილი მცირეა.

საწარმო უმეტეს შემთხვევაში აწარმოებს არა ერთ, არამედ რამდენიმე სახეობის პროდუქციას. ასეთ შემთხვევაში ზედნადები ხარჯების გადანაწილება წარმოებულ პროდუქციაზე, მართალია, ხდება იმავე პრინციპის შესაბამისად (რაც ზემოთ მოყვანილ მაგალითშია გადმოცემული), მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უფრო რთულდება. გარდა ამისა, ასეთ დროს გადანაწილებას შეიძლება დაეჭვმდებაროს პირდაპირი საწარმოო ხარჯების ნაწილიც (მაგალითად, შრომითი დანახარჯები). მსს ფასს (და არც ფასს-ების სრული ვერსია) არ განსაზღვრავს საწარმოო ხარჯების გადანაწილების რომელიმე ერთ კონკრეტულ წესს. მრავალსახეობიანი პროდუქციის წარმოების დროს საწარმოო ხარჯების სახეობებისდა მიხედვით გადანაწილების დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის ნორმატივები და პროფესიული განსჯა. ამ დროს მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორები: სამომავლო სარგებელი, მიზანი, სამართლიანობა, დამატებითი ხარჯების ატანის შესაძლებლობა თვითღირებულებისათვის და სხვა. გადანაწილების ერთ-ერთ შესაძლო ალგორითმად გამოიყენება თითოეული პროდუქციის შესაბამისი გასაყიდი ფასი, განსაზღვრული ან წარმოების იმ ეტაპზე, როცა უკვე შესაძლებელია პროდუქციის ცალ-ცალკე აღრიცხვა, ან წარმოების საბოლოო ეტაპზე.

მაგალითი 6. საწარმომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აწარმოა ორი სახის ღვინომასალა: 5000 ლიტრი „რქაწითელი“ და 10000 ლიტრი „საფერავი“. პირდაპირი დანახარჯების გადანაწილების შემდეგ „რქაწითლის“ ღვინომასალის თვითღირებულებაა 6000 ლარი,

ხოლო „საფერავის“ ღვინომასალის - 14000 ლარი. გარდა ამისა, ამ ორი სახის პროდუქციაზე გადასანაწილებელია არაპირდაპირი საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომელთა ერთმანეთისაგან გამიჯნული გადანაწილება პროდუქციის სახეების მიხედვით ვერ ხერხდება. მათი ოდენობაა 4000 ლარი. 1 ლიტრი „რქაწითლის“ ღვინომასალის გასაყიდი ფასია 2 ლარი (დღგ-ის გარეშე), ხოლო 1 ლიტრი „საფერავის“ - 3 ლარი (დღგ-ის გარეშე).

მოცემულ შემთხვევაში საწარმომ გადაწყვიტა საწარმოო ზედნადები ხარჯების გადანაწილება წარმოებული პროდუქციის გასაყიდი ფასის მიხედვით. „რქაწითლის“ ღვინომასალის გასაყიდი ფასი დღგ-ის გარეშე შეადგენს $5000 \cdot 2 = 10000$ ლარს, ხოლო „საფერავის“ ღვინომასალის - $10000 \cdot 3 = 30000$ ლარი. მათი პროპორციის გათვალისწინებით, „რქაწითლის“ თვითღირებულებას გადასანაწილებელი საწარმოო ზედნადები ხარჯებიდან დაემატება $1/4$ ანუ 1000 ლარი (სულ გახდება $6000 + 1000 = 7000$), ხოლო „საფერავის“ ღვინომასალას - $3/4$ ანუ 3000 ლარი (სულ გახდება $14000 + 3000 = 17000$ ლარი).

პროდუქციის შესაბამისი გასაყიდი ფასის მიხედვით ზედნადები ხარჯების გადანაწილების ალგორითმს აქვს ის უარყოფითი მხარე, რომ ბუღალტერს მოეთხოვება გადანაწილების მომენტში გასაყიდი ფასების ცოდნა პროდუქციის ყველა სახეობაზე, რაც ყოველთვის შეიძლება არ იყოს მისთვის ხელმისაწვდომი. ამიტომ, მის ნაცვლად, ხშირად იყენებენ პროდუქციის თვითღირებულების (მასზე ზედნადები ხარჯების გადანაწილებამდე) მიხედვით ზედნადები ხარჯების გადანაწილების ალგორითმს.

მაგალითი 7. საწარმომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოო ორი სახის ღვინომასალა: 5000 ლიტრი „რქაწითელი“ და 10000 ლიტრი „საფერავი“. პირდაპირი დანახარჯების გადანაწილების შემდეგ „რქაწითლის“ ღვინომასალის თვითღირებულებაა 6000 ლარი, ხოლო „საფერავის“ ღვინომასალის - 14000 ლარი. გარდა ამისა, ამ ორი სახის პროდუქციაზე გადასანაწილებელია არაპირდაპირი საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომელთა ერთმანეთისაგან გამიჯნული გადანაწილება პროდუქციის სახეების მიხედვით ვერ ხერხდება. მათი ოდენობაა 4000 ლარი. საწარმოს ჯერ არ დაუწყია ღვინომასალების გაყიდვები და ამიტომ არ იცის, რა ფასს დაადებს მათ, ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

მოცემულ შემთხვევაში საწარმომ გადაწყვიტა საწარმოო ზედნადები ხარჯების გადანაწილება პროდუქციის სახეობების თვითღირებულების (მათზე ზედნადები ხარჯების გადანაწილებამდე) მიხედვით. მათი პროპორციის გათვალისწინებით, „რქაწითლის“ თვითღირებულებას გადასანაწილებელი საწარმოო

ზედნადები ხარჯებიდან დაემატება 1200 ლარი $[6000 : (6000 + 14000) \cdot 4000 = 1200]$ და გახდება $6000 + 1200 = 7200$, ხოლო „საფერავის“ ღვინომასალას - 2800 ლარი $[14000 : (6000 + 14000) \cdot 4000 = 2800]$ და გახდება $14000 + 2800 = 16800$ ლარი.

„ერთობლივი პროდუქტებისა და თანმდევი პროდუქციის წარმოება“

13.10. საწარმოო პროცესი შესაძლოა გულისხმობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სახეობის პროდუქციის ერთდროულად წარმოებას. ასე ხდება მაშინ, როდესაც ერთი და იმავე რესურსებიდან ერთობლივად იწარმოება ერთზე მეტი პროდუქცია, ან იწარმოება ძირითადი და თანმდევი პროდუქცია. როდესაც შეუძლებელია თითოეული სახეობის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ნედლეულისა და მასალის, ან გადამუშავების დანახარჯების ცალ-ცალკე განსაზღვრა, მაშინ საწარმომ ამგვარი დანახარჯები სხვადასხვა პროდუქციას უნდა მიაკუთვნოს რაიმე რაციონალური და მუდმივი მეთოდის საფუძველზე. მაგალითად, გადამუშავების დანახარჯების განაწილების საფუძველად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თითოეული პროდუქტის შესაბამისი გასაყიდი ფასი წარმოების იმ ეტაპზე, როცა უკვე შესაძლებელია პროდუქტების ცალ-ცალკე იდენტიფიკაცია, ან წარმოების საბოლოო ეტაპზე. თანმდევი პროდუქციის უმეტესობა არაარსებითი ხასიათისაა. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ თანმდევი პროდუქტები უნდა შეაფასოს გასაყიდი ფასიდან მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით და მიღებული თანხა გამოაკლოს ძირითადი პროდუქციის თვითღირებულებას. აქედან გამომდინარე, ძირითადი პროდუქტის საბალანსო ღირებულება არსებითად არ იქნება განსხვავებული მისი თვითღირებულებისაგან“.

ზოგჯერ საწარმო აწარმოებს ძირითად და თანმდევ არაძირითად პროდუქციას (მაგალითად, წისქვილკომბინატებისთვის ეს არის ფქვილი და ქაჭო). ასეთ შემთხვევებში უმეტესწილად არაძირითადი პროდუქციის ოდენობა შედარებით უმნიშვნელო ოდენობისაა, ამიტომ მათ აღრიცხავენ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით, რომელიც აკლდება საწარმოო ხარჯების მთლიან ოდენობას და დარჩენილი თანხით განისაზღვრება ძირითადი პროდუქციის თვითღირებულება.

მაგალითი 8. თხილის გადამამუშავებელმა ქარხანამ საანგარიშო პერიოდში შექმნილი თხილის პირველადი გადამამუშავების შედეგად მიიღო 3000 კგ გარჩეული თხილი და 1000 კგ თხილის ნაჭუჭი. გარჩეული თხილის გასაყიდი ფასია 2 ლარი (დღგ-ის გარეშე), ხოლო თხილის ნაჭუჭის, რომელსაც მოსახლეობა იყენებს ღუმელში საწვავად, - 0.15 ლარი (დღგ-ის გარეშე). თხილის ნასყიდობის ფასი და გადასანაწილებელი გადამამუშავების ხარჯები

ჯამში შეადგენს 4000 ლარს. თხილის ნაჭუჭის რეალიზაციის ხარჯები ნულია, რადგან გაყიდვები ხდება უშუალოდ ქარხნის ტერიტორიიდან მყიდველთა ხარჯებით.

მოცემულ შემთხვევაში თხილის ნაჭუჭის მარაგი (როგორც თანმდევი მზა პროდუქტი) უნდა აღირიცხოს მისი ნეტო-სარეალიზაციო ფასით ანუ 150 ლარის ღირებულებით. შესაბამისად, გარჩეული თხილის თვითღირებულება იქნება 4000-150=3850 ლარი.

„სხვა დანახარჯები, რომლებიც ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში

13.11. საწარმომ მარაგის თვითღირებულებაში სხვა დანახარჯები უნდა ჩართოს მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც დაკავშირებულია მარაგის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან.

13.12. 12.19(ბ) პუნქტში მითითებულია, რომ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის, ან საწარმოს განკარგულებაში არსებული საბირჟო საქონლის ფასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირებისას, ზოგ შემთხვევაში, ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილება იწვევს ამ საქონლის საბალანსო ღირებულების კორექტირებას.

დანახარჯები, რომლებიც არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში

13.13. ამ პუნქტში განხილულია ისეთი სახის დანახარჯები, რომლებიც არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში. მათი აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯებში, რომელშიც გაწეული იყო:

(ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანაკარგები, სამუშაო ძალისა და სხვა საწარმოო დანახარჯების ზენორმატიული თანხები“;

მაგალითი 9. ავეჯის დამამზადებელ საწარმოს დაუკვეთეს დირექტორის მაგიდის დამზადება ძვირფასი ხისგან. საწარმოს დურგლის შეცდომის გამო, დაკვეთილი მაგიდის ზედაპირი დამზადდა არასწორი ფორმით და შეცდომის გასწორება ვეღარ მოხერხდა. საჭირო გახდა მაგიდის ზედაპირის ხელახალი დამზადება, რის გამოც დამატებით დაინარჯა ხის მასალა, ხოლო დურგალს და მის თანაშემწეს კვირადღეს მოუწიათ მუშაობა, რაც შრომის ხელშეკრულების პირობების მიხედვით, დამატებით აუნაზღაურდა დურგლის თანაშემწეს (დურგალს კი - არა, რადგან ეს მისი შეცდომის გამო მოხდა).

მოცემულ შემთხვევაში, მაგიდის ზედაპირის დამზადებაზე ზედმეტად გახარჯული ხის მასალა და დურგლის თანაშემწის ზეგანაკვეთური მუშაობის გამო დარიცხული ხელფასი არ მიეკუთვნება მარაგის (მაგიდის) თვითღირებულებას.

„13.13(ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომლის გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად“;

მაგალითად, ბოთლის თავსახურავების შენახვის ხარჯები, გაწეული მას შემდეგ, რაც ბოთლის თავსახურავები მიტანილია იმ ადგილას, საიდანაც უნდა მოხდეს მათი გამოყენა წარმოებაში, არ შეიტანება მარაგის თვითღირებულებაში.

განსხვავებით ამისაგან, საბრუნდე სპირტის შენახვის დანახარჯები აუცილებელია სპირტის დაძველებისათვის (ეს პროცესი, როგორც წესი, რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება, შეიძლება 20 წელიც კი იყოს), ანუ მისი წარმოების პროცესის შემადგენელია, ამიტომ ისინი ჩაირთვება საბრუნდე სპირტის თვითღირებულებაში.

„13.13(გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის მარაგის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მის ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან; და

13.13(დ) გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები“.

ზედნადები ადმინისტრაციული და საერთო დანიშნულების ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს მართვასთან ან მთლიანად საწარმოს ყველა რგოლის ფუნქციონირებასთან, მაგალითად: მენეჯმენტისა და საფინანსო-საბუღალტრო განყოფილების თანამშრომელთა ხელფასები, აუდიტის ხარჯები, იურიდიული მომსახურება, საკანცელარიო ხარჯები, კომპიუტერული ხარჯები, სატელეფონო და ინტერნეტის ხარჯები, საბანკო მომსახურება და სხვ.

გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების (ხშირად მათ მოიხსენიებენ სხვა დასახელებითაც: მიწოდების ხარჯები, ან კომერციული ხარჯები, ან საღისტრიბუციო ხარჯები) მაგალითებია: საშუაშაგლო მომსახურება, საკომისიო გასამრჯელო, სარეკლამო ხარჯები, მარკეტინგული ხარჯები, მზა პროდუქციის საწყობის იჯარა და მისი სხვა საექსპლუატაციო ხარჯები, გაყიდვის დეპარტამენტის თანამშრომელთა ხელფასი, დისტრიბუციასთან დაკავშირებული დანახარჯები, იმ მივლინებების ხარჯები, რომელიც განხორციელდა მყიდველების (დამკვეთების) მოძიების ან/და მათთან კონტრაქტების გაფორმების მიზნით, საკონტროლო-საღარიბ აპარატების მომსახურების ხარჯები და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც ისინი იქნა გაწეული. მათი ასახვა მოხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და აისახება შესაბამის მუხლებში: „მიწოდების ხარჯები“ (დ), „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ (გ) და „სხვა საწარმოო ხარჯები“ (ა), (ბ).

„მომსახურების გამწვევ საწარმოთა მარაგის თვითღირებულება“

13.14. როდესაც მომსახურების გამწვევ საწარმოს მარაგი გააჩნია, იგი მათ შეფასებას ახორციელებს წარმოების თვითღირებულებით. მომსახურების გამწვევ საწარმოთა მარაგის თვითღირებულება, ძირითადად, შედგება იმ პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და სხვა დანახარჯებისაგან, რომლებიც დაკავებულნი არიან უშუალოდ მომსახურების გაწევით, მათ შორის, საშუალო მმართველობითი პერსონალის (კონტროლიორები) შრომითი დანახარჯებისა და შესაბამისი ზედნაღები ხარჯებისაგან. საერთო ადმინისტრაციული პერსონალისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და მათთან დაკავშირებული სხვა სახის დანახარჯები არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში. მათი აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც იყო გაწეული. მომსახურების გამწვევი საწარმოს მარაგის თვითღირებულება არ შეიცავს მოგების მარჟას, არც არაპირდაპირ ზედნაღებს ხარჯებს, რომლებიც ხშირად შედის მომსახურების გამწვევი საწარმოს მიერ დადგენილ გასაყიდ ფასში“.

„დაუმთავრებელი მომსახურება“, ანუ მომსახურების სფეროს საწარმოს მიერ გაწეული ის დანახარჯები, რომელთა შესაბამისი შემოსავალი საწარმოს ჯერ არ მიუღია, ასევე მიეკუთვნება მარაგს (დაუმთავრებელი წარმოების ანალოგიურად), მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება მატერიალურ კომპონენტს საერთოდ არ შეიცავდეს.

მაგალითი 10. არქიტექტურულ ფირმას დაუკვეთეს მრავალსართულიანი ბიზნეს-ცენტრის პროექტის შედგენა. არქიტექტურულმა ფირმამ, დამკვეთთან შეთანხმებით, დაიწყო პროექტის შედგენაზე მუშაობა 1 დეკემბერს და დაამთავრა მომდევნო წლის 28 თებერვალს. დეკემბრის თვეში ამ შეკვეთის შესრულებისათვის ფირმამ ისარგებლა გეოლოგიური ფირმის კონსულტაციით, დასჭირდა მშენებლობის ადგილის და მიმდებარე ტერიტორიის ფოტოგადაღება, აგრეთვე პროექტის შედგენაში მონაწილე არქიტექტორს დაარიცხა ხელფასის ნაწილი პროექტის ნაწილობრივად შესრულების პროპორციის მისეფდვით.

ამ შემთხვევაში არქიტექტორის დეკემბრის ხელფასი, გეოლოგიური ფირმის კონსულტაციის ღირებულება და ფოტოგადაღება არქიტექტურულმა ფირმამ ერთად უნდა ასახოს დაუმთავრებელი წარმოების (მომსახურების) ანუ მარაგის შემადგენლობაში (მიუხედავად იმისა, რომ ეს დანახარჯები მატერიალური ბუნების არ არის).

ისეთი მომსახურების სფეროს საწარმოს მაგალითი, რომლისთვისაც დაუმთავრებელი მომსახურების მარაგი შეიძლება მნიშვნელოვანი სიდიდის მატერიალურ

კომპონენტს შეიცავდეს, არის სამშენებლო მომსახურების გამწვევი კომპანია.

„ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება“

13.15. 34-ე განყოფილება მოითხოვს, რომ მარაგი, რომელიც შედგება საწარმოს ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისგან, თავდაპირველი აღიარებისას შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება ნაყოფის მიღების მომენტში შეფასებული გაყიდვის დანახარჯები. წინამდებარე განყოფილების გამოყენების მიზნებისათვის, ეს თანხა მიიჩნევა მარაგის თვითღირებულებად ზემოაღნიშნული თარიღისათვის“.

მაგალითად, ღვინის ქარხანამ საკუთარი ვენახებიდან მიიღო რქაწითლის მოსავალი, რომლის რეალური ღირებულება 0.90 ლარია (გაყიდვის მოსალოდნელი დანახარჯები ჩავთვალოთ 0-ის ტოლად, რადგან ქარხანა ყურძნის გაყიდვას არ აპირებს, მთლიანად საკუთარი ღვინის წარმოებისთვის სჭირდება). მიღებული ყურძენი აისახება ბუღალტრულ აღრიცხვაში აღნიშნულ ფასად და მას შემდეგ ამ მარაგის შემდგომი მოძრაობის აღრიცხვაში ეს ფასი მიიღებს მონაწილეობას, წინამდებარე განყოფილების დებულებების შესაბამისად.

მსს ფასს-ის 34-ე განყოფილება „სპეციალიზებული საქმიანობა“ განმარტავს იმ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი ბიოლოგიური აქტივისათვის შესაძლებელია თვითღირებულების მოდელის გამოყენება.

ამგვარად, შეძენილი ან წარმოებული მარაგის თვითღირებულების სწორად გაანგარიშებისათვის ბუღალტერს უნდა შეეძლოს:

– გაწეული ხარჯების სწორი კლასიფიკაცია საწარმოო, მიწოდებისა და საერთო-ადმინისტრაციულ ხარჯებად;

– საწარმოო ხარჯების გამიჯვნა იმ ხარჯებად, რომლებიც მიეკუთვნებიან პროდუქციის თვითღირებულებას და იმ ხარჯებად, რომელთა აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად;

– პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნებული პირდაპირი და ზედნაღები ხარჯების სწორი გადანაწილება წარმოებული პროდუქციის სახეობებზე.

ის, რაც ამ ბოლო სამ წინადადებაში ასე მოკლედ არის ჩამოყალიბებული, პრაქტიკული მუშაობის დროს არც ისე იოლი განსახორციელებელია და ბუღალტრის საკმაოდ დიდ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას მოითხოვს. ამიტომ მსს ფასს-ით დაშვებულია მარაგის თვითღირებულების მიახლოებით განსაზღვრის მეთოდებიც, რომლებსაც სტატისის მეორე ნაწილში განვიხილავთ.

გიორგი ცერცვაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე შედეგებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

საქართველოს საგარეო ვალს საბანგაუო ნიშნულისთვის არ მიუღწევია

მთავრობა მომავალ წელს ახალი, 500 მილიონიანი ევროობლიგაციის გამოშვებას აპირებს

საქართველოს საგარეო ვალი თითქმის ყოველწლიურად იზრდება. გამონაკლისი აღმოჩნდა გასული წლის ბოლო, როდესაც საგარეო ვალი დაახლოებით 200 მლნ დოლარით შემცირდა წინა წელთან შედარებით. დანარჩენი ბოლო წლების განმავლობაში, საგარეო ვალი მუდამ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საგარეო ვალის უსასრულოდ გაზრდა შეუძლებელია – ქვეყანას კრედიტორები ფულს მანამ ასესხებენ, სანამ დარწმუნებულები არიან, რომ სახელმწიფოს მისი დაფარვა შეუძლია. ამ სტატიაში განვიხილავთ, რა მდგომარეობაა საქართველოში საგარეო ვალდებულებების მიმართ და რომელ სექტორს რამხელა საკრედიტო ტვირთი აწევს.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით თუ ვნახავთ, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა საგარეო ვალმა 25.2 მლრდ აშშ დოლარი (70.7 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2024 წლის მშპ-ის 74.5 პროცენტია.

ცხრილი: საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი ბოლო წლების მიხედვით

წელი	მოცულობა (მლრდ აშშ დოლარი)	მშპ-თან შეფარდება (%)
2018	19.3	62.5
2019	19.8	59.8
2020	22.8	81.5
2021	24.6	78.4
2022	24.9	75.1
2023	25.4	74.8
2024	25.2	74.5

ცხრილშიც ჩანს და წინა წლებში ცნობილი გახდა საგარეო ვალის ყველაზე სწრაფად გაზრდის მიზეზი 2020 წელს. მაშინ, მთავრობამ საგარეო ვალი მკვეთრად გაზარდა – COVID-19-ის პანდემიის ფონზე, ბიუჯეტის დამატებითი რესურსები დასჭირდა. შესაბამისად, მშპ-სთან მიმართებაშიც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 81.5% იყო. 2021-2024 წლებში მართალია საგარეო

ვალი სულ უფრო იზრდებოდა, მაგრამ რადგან მშპ უფრო მეტად გაიზარდა, ეს შეფარდება კლებისკენ წავიდა.

2024 წლის ბოლოს ვალი 494.7 მლნ დოლარით შემცირდა წინა კვარტალთან შედარებით, ძირითადად საკურსო ცვლილებების გამო.

ბოლო მაჩვენებელი, რაც ეროვნულმა ბანკმა სექტემბრის ბოლოს გამოაქვეყნა, ასახავს 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობას.

როგორც სებ-ის ვებგვერდზეა მითითებული, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 26.5 მლრდ აშშ დოლარი (72.3 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ის 75.1 პროცენტია. 2025 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 1.1 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა.

მთლიანი საგარეო ვალი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება.

1. სახელმწიფო საგარეო ვალი;
2. კერძო სექტორის საგარეო ვალი;
3. კომპანიათაშორისი ვალი.

ახლა ვნახოთ, თითოეული კომპონენტი კიდევ რისგან შედგება და რომელს რამდენი აქვს ნასესხები.

სახელმწიფო საგარეო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალი მოიცავს: 1. მთავრობის მიერ აღებულ სესხებს; 2. საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებებს; 3. სახელმწიფო საწარმოების მიერ გამოშვებულ ევრობონდებსა და სესხებს. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფო საგარეო ვალი მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის გასასტუმრებელი. ამიტომ, ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს პირადად ეხება სახელმწიფო ვალის გაზრდაც, მოზიდული ფულის დახარჯვაც და ვალდებულების გასტუმრებაც.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 11.5 მლრდ აშშ დოლარი (31.2 მლრდ ლარი), რაც მშპ-ის 32.4 პროცენტია. აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 8.9 მლრდ აშშ დოლარი (24.3 მლრდ ლარი; მშპ-ის 25.3 პროცენტი);

ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 821.1 მლნ აშშ დოლარი (2.2 მლრდ ლარი; მშპ-ის 2.3 პროცენტი);

სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები,

შესაბამისად, 451.8 მლნ აშშ დოლარი (1.2 მლრდ ლარი; მშპ-ის 1.3 პროცენტი) და 1.3 მლრდ აშშ დოლარი (3.4 მლრდ ლარი; მშპ-ის 3.6 პროცენტი).

ამრძო სექტორის საგარეო ვალი

კერძო სექტორის საგარეო ვალი მოიცავს: 1. საბანკო სექტორის საგარეო ვალს (კომერციული ბანკების მიერ უცხოეთიდან მიღებული სესხები, დეპოზიტები და სხვა ფინანსური ვალდებულებები); 2. სხვა სექტორების საგარეო ვალს (კორპორაციებს, საწარმოებს, მომსახურების სექტორს, რომლებიც უცხოეთიდან იღებენ სესხებს ან ვალდებულებებს); 3. კომპანიათაშორის ვალს (სათავო და შვილობილ კომპანიებს შორის საგარეო ვალდებულებები, მაგალითად: უცხოური ინვესტორის მიერ დაფინანსებული ქართული შვილობილი).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 9.1 მლრდ აშშ დოლარი (24.8 მლრდ ლარი; მშპ-ის 25.8 პროცენტი);

სხვა სექტორების საგარეო ვალმა – 4.9 მლრდ აშშ დოლარი (13.4 მლრდ ლარი; მშპ-ის 14.0 პროცენტი);

კომპანიათაშორის ვალი – 2.7 მლრდ აშშ დოლარია (7.4 მლრდ ლარი; მშპ-ის 7.7 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 87.0 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

წმინდა საგარეო ვალი

საგარეო ვალზე ყურადღების გამახვილებისას, მნიშვნელოვანია აგრეთვე „წმინდა საგარეო ვალი“, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტები უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ ქვეყნის საფინანსო მდგრადობის შესწავლისას, ვიდრე ნომინალურ საგარეო ვალს. მარტივად რომ ვთქვათ, „წმინდა საგარეო ვალი“ არის მთლიანი საგარეო ვალის შემცირებული ვერსია, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ფაქტობრივ საგარეო ვალდებულებებს, ანუ მთლიან საგარეო ვალს აკლდება ის აქტივები, რომლებიც ქვეყანას უცხოურ ვალუტაში აქვს.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 13.8 მლრდ აშშ დოლარი (37.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ის 39.0 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 6.8 მლრდ აშშ დოლარია (18.4 მლრდ ლარი), რაც მშპ-ის 19.2 პროცენტია.

მროვნული ბანკის საგარეო ვალი

2025 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 1.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და მთლიანმა საგარეო ვალდებულებებმა 821.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 477.2 მლნ წარმოადგენს SDR კომპონენტს, რომელიც პრაქტიკულად არ ითვლება გადასახდელად.

რა არის SDR

SDR (სპეციალური გატანის უფლება) – არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შექმნილი სარეზერვო აქტივი და ანგარიშსწორების ერთეული, რომელიც გამოიყენება გლობალურ ფინანსურ სისტემაში ლიკვიდურობის გასაზრდელად და სავალუტო რისკების შესამცირებლად;

შექმნა 1969 წელს, ბრეტონ-ვუდის სისტემის ფარგლებში, როგორც დამატებითი სარეზერვო ინსტრუმენტი.

არ წარმოადგენს ფიზიკურ ვალუტას, მაგრამ მის მფლობელებს (IMF-ის წევრ ქვეყნებს) შეუძლიათ გაცვალონ SDR-ები რეალურ ვალუტებზე, როგორცაა დოლარი, ევრო, იენი და სხვა.

IMF-ის წევრ ქვეყნებს ენიჭებათ SDR-ები მათი კვოტის შესაბამისად, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ წონაზე (მშპ, ვაჭრობა და სხვა).

SDR-ების გამოყენება შესაძლებელია:

საგარეო ვალის გადახდაში;

სავალუტო რეზერვების შევსებაში;

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.


SDR-ით შესაძლებელია სესხის აღება IMF-ისგან, ან გაცვლა სხვა წევრ ქვეყანასთან, რომელსაც სჭირდება ლიკვიდობა.

საქართველოს, როგორც IMF-ის წევრს, აქვს SDR-ით დაფინანსების შესაძლებლობა. მაგალითად, 2022 წელს IMF-მა საქართველოსთვის გამოყო 30 მილიონი SDR, რაც დაახლოებით 38 მილიონი დოლარი იყო.

ამ ყველაფერიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალის მთლიანი მოცულობა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 821.1 მლნ აშშ დოლარს, საიდანაც 477.2 მლნ დოლარი წარმოადგენს IMF-ის მიერ განაწილებულ სპეციალურ ალების უფლებებს (SDR), რომლებიც არ ითვლება გადასახდელ ვალდებულებად. შესაბამისად, ფაქტობრივი საგარეო ვალდებულება, რომელიც ექვემდებარება გადახდას შესაბამისი პირობებით, შეადგენს დაახლოებით 343.9 მლნ დოლარს.

ივლისში ვალი \$103 მლნ-ით შემცირდა, მომავალ წელს მთავრობა \$500 მლნ-ის სმსს იღებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, რომელიც მხოლოდ იმ ვალდებულებებს ასახავს, რაც პირდაპირ საბიუჯეტო პასუხისმგებლობას წარმოადგენს, ივლისში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი შემცირდა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1 აგვისტოსთვის საქართველოს უცხოელი კრედიტორებს მიმართ 9.04 მლრდ დოლარის დავალიანება ჰქონდა, რაც 1 თვეში ვალის 103 მილიონიან კლებას ნიშნავს. კრედიტორების მიმართ არსებული 9.04 მილიარდიანი დავალიანებიდან 8.7 მლრდ მთავრობის



მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ სააგენტოს „ანარმომე საქართველოში“ მიერ შერჩეულ იქნა ზრდის ჰაბების პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისების მიმწოდებლად. აუდიტორული კომპანია „ცოდნისა“, სააგენტოსთან „ანარმომე საქართველოში“ პარტნიორობით მცირე და საშუალო მენარმეებს სთავაზობს კარგ შესაძლებლობას ბიზნესის განსავითარებლად. სააგენტო „ანარმომე საქართველოში“-ს საკონსულტაციო ცენტრების (ზრდის ჰაბების) პროექტის ფარგლებში გთავაზობთ 10,000 ლარამდე დაფინანსებას ბიზნესის საკონსულტაციო სერვისებზე შემდეგი მიმართულებით:

**ფინანსები და ბუღალტერია;
გადასახადები.**

თანადაფინანსების მიღება შეუძლია ნებისმიერ ბიზნესს, რომელსაც:

- აქვს მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;
- უფიქსირდება წლიური ბრუნვა მინიმუმ 30,000 ლარი და მაქსიმუმ 10,000,000 ლარი;
- არ აქვს საგადასახადო დავალიანება.

რაც მოიცავს აღნიშნული საკონსულტაციო სერვისები?

- ფინანსები და ბუღალტერია;
- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
- ფინანსური ანალიზი;
- ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება;
- ბიზნესისთვის დაფინანსების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირება.

გადასახადები:

- საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისობისა და დაბეგვრის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა.

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით – ტელ.: 595 59 02 75; 579 30 71 71.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, მე-4 სართული.

ვალთა. აღნიშნული პორტფელი 1 თვეში 98.4 მლნ დოლარით შემცირდა.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ივლისში საქართველომ ვალის მომსახურებაში 55.5 მლნ დოლარი გადაიხადა, საიდანაც ვალის ძირი თანხის დაფარვაზე 39.2 მლნ, პროცენტზე კი 16.2 მლნ იყო მიმართული. ივლისის პერიოდში კი, ათვისებულმა თანხამ 41.2 მლნ დოლარი შეადგინა.

სახელმწიფო საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი – 6.6 მლრდ დოლარი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სესხებია, ისეთების როგორც არის „აზიის განვითარების ბანკი“, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB), ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), მსოფლიო ბანკი და სხვა.

საქართველოს 500 მლნ დოლარი აქვს ნასესხები ევრობონდების ემისიით, რომელთა დაფარვის თარიღი 2026 წლის გაზაფხულზე დგება. უკვე ცნობილია,

რომ 2026 წლის გაზაფხულზე „ოცნების“ მთავრობა \$500-მილიონიან ახალ ევრობლიგაციას გამოუშვებს. ახალი ფასიანი ქაღალდის გამოშვებით მთავრობა 2021 წელს გამოშვებულ ევრობონდს დაფარავს, შესაბამისად, მის რეფინანსირებას მოახდენს. მთავრობამ ახალი ფასიანი ქაღალდის განთავსების მიზნით სპეციალური კომისია უკვე დააკომპლექტა. საბჭოში შედიან ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე, ასევე ეკონომიკის მინისტრის მოადგილეები და სეპ-ის ვიცე-პრეზიდენტები.

განკარგულების თანახმად, ფასიანი ქაღალდის გამოშვებაში მონაწილეობისთვის მთავრობა მოლაპარაკებებს გამართავს JPMorgan-თან, Citi ბანკთან, Barclays-თან, Goldman Sachs-თან, HSBC-თან და სხვა გლობალურ საფინანსო ორგანიზაციებთან. ასევე მოლაპარაკებები გაიმართება Galt & Taggart-თან და TBC Capital-თან.

საქართველოს მთავრობამ ევრობლიგაცია, რომლის

რეფინანსირებაც მომდევნო წელს უნდა მოხდეს, 2021 წელს გამოუშვა. ფასიანი ქაღალდის კუპონის განაკვეთი 2.75% იყო, შესაბამისად საქართველო მის მომსახურებაზე ყოველწლიურად მთლიანი თანხის 2.75%-ს ხარჯავდა.

ფინანსთა სამინისტროს თანახმად, 2024 წელს ევრობონდის განაკვეთის მომსახურება ბიუჯეტს 37 მილიონი ლარი დაუჯდა.

მნიშვნელოვანია გარემოება, რომ 2025 წელს საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე 2021 წლისგან რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. საქმე ისაა, რომ 2021 წლის ბოლოს და შემდგომ 2022-2023 წლებში მსოფლიოში საპროცენტო განაკვეთები მკვეთრად გაიზარდა რაც დასავლეთში მნიშვნელოვან ინფლაციურ ტალღას უკავშირდებოდა. აქედან გამომდინარე, მსოფლიოში კრედიტის მოზიდვა გაძვირდა.

შედარებისთვის, თუკი 2021 წლის გაზაფხულზე, მაშინ როდესაც საქართველომ 500 მილიონი დოლარის ევრობონდი 2.75%-ის კუპონით განათავსა, აშშ-ის 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციის განაკვეთი 1%-ს შეადგენდა, 2025 წლის ივლისში გამოშვებულ სახაზინო ობლიგაციებზე კი ეს განაკვეთი 4.4%-ია. ანალოგიურად, გერმანიის 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების განაკვეთი 2021 წელს 0%-თან იყო ახლოს, 2025 წლის ივლისში გამოშვებულ სახაზინო ობლიგაციებზე კი განაკვეთი 2.6%-ის ტოლია. შესაბამისად, მაღალი ალბათობით 2026 წელს საქართველო ვერ გამოუშვებს 5.5-6%-ზე დაბალი განაკვეთით ახალ ევრობონდს. შესაბამისად, ახალი ფასიანი ქაღალდის მომსახურების წლიური ღირებულება სავარაუდოდ გაორმაგდება და 37 მილიონი ლარიდან 80 მილიონ ლარს მიაღწევს. ამასთან, ახალი ფასიანი ქაღალდის კუპონის განაკვეთი ასევე დამოკიდებული იქნება იმაზეც, მოხდება თუ არა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ცვლილება S&P Global-ის, Fitch-ისა და Moody's-ის მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის სახელმწიფოს 10,89 მილიარდი ლარის თანხაც აქვს ნასესხები შიდა ბაზრიდან. ბოლო 1 თვეში შიდა ვალის მოცულობა 137 მილიონით შემცირდა.

რაც შეეხება ჯამურ ვალს, შიდა და საგარეო ვალის ჯამით, საქართველოს სახელმწიფოს კრედიტორების მიმართ 35.36 მლრდ ლარი მართებს.

ვისი ვალი აქვს მთავრობას ქვეყნის ბარში?

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით უშუალოდ მთავრობის საგარეო ვალი 8.752 მლრდ დოლარი იყო, აქედან მრავალმხრივი კრედიტორების დავალიანება 6.661 მლრდ დოლარს აჭარბებს, ორმხრივი კრედიტორების კი 1.591 მლრდ დოლარი. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო

ვალდებულება 339.3 მლნ დოლარს შეადგენდა.

2025 წლის აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).

მსხვილი კრედიტორები 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით:

აზიის განვითარების ბანკი (ADB) – 2.124 მლრდ დოლარი;

მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) – 1.751 მლრდ დოლარი;

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) – 1.192 მლრდ დოლარი;

მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) – 434.037 მლნ დოლარი;

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) – 167.659 მლნ დოლარი.

ამასთან, საქართველოს მთავრობას ვალი აქვს საფრანგეთის – 850,976 მლნ დოლარი; გერმანიის – 594,658 მლნ დოლარის; იაპონიის – 121,725 მლნ დოლარის და ა.შ.

გარდა ამისა, მთავრობას ვალი აქვს საქართველოს ყველა მეზობელი ქვეყნის, კერძოდ:

რუსეთი – 3.997 მლნ დოლარი;

თურქეთი – 1.139 მლნ დოლარი;

აზერბაიჯანის – 585 ათასი დოლარი;

სომხეთი – 516 ათასი დოლარი.

დასკვნის სახით

2020 წელს საგარეო ვალი მკვეთრად გაიზარდა, COVID-19-ის პანდემიის გამო მთავრობამ ბიუჯეტისთვის დამატებითი რესურსები მოიძია. მას შემდეგ მდგომარეობა არ გაუარესებულა.

სახელმწიფო საგარეო ვალი: დაახლოებით 11 მლრდ დოლარი, რაც მშპ-ის 32%-ს შეადგენს – მართვადი და სტაბილური ფარდობაა;

გადახდების ისტორიაში არ ყოფილა გადაუხდელობის შემთხვევები, შესაბამისად, საქართველო სანდო გადამხდელად ითვლება საერთაშორისო დონეზე;

ეროვნული ბანკის შეფასებით, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შენარჩუნებულია სტაბილურობის რეჟიმში.

საქართველოს საფინანსო სისტემა მდგრადია და გადაუხდელობის რისკი ამ ეტაპზე არ არსებობს.

მართალია, საერთაშორისო ინსტიტუტები ყურადღებას ამახვილებენ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ არასტაბილურობაზე და ერთ-ერთ მთავარ რისკ-ფაქტორად ხელისუფლების ავტორიტარიზმისკენ გადახრას ასახელებენ, მაგრამ ამ ეტაპზე ქვეყნის საფინანსო სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემები ჯერ არ ეტყობა და არც საგარეო ვალების გადაუხდელობის ხიფათი ჩანს.

თემურ იობაშვილი

ევროპასთან უვიზო რეჟიმის შექმნის საფრთხე საქართველოსთვის

რა გავლენას იქონიებს ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნისთვის

მას შემდეგ, რაც საქართველოს ახლანდელმა ხელისუფლებამ ქვეყნის ევროპული სვლის ვექტორზე უარი თქვა და ჩინეთის მიმართულებით გადაინარა, აგრეთვე რუსეთის სასარგებლო ქმედებები თუ რიტორიკა დაუფარავად გააჩაღა – ევროპასთან ურთიერთობის საკითხები მნიშვნელოვნად გაუთუღდა. გასული წლის განაფხულიდან მოყოლებული, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ წინა წელს პარლამენტში შეტანილი და შემდეგ უკან გაწვეული „გამჭვირვალობის კანონი“ კვლავ პარლამენტში შემოაბრუნა, მერე კი საყოველთაო შიდა თუ საგარეო პროტესტის ფონზე მაინც მიიღო, საპროტესტო აქციები სასტიკად დაარბია და რეპრესიები გაატარა – ევროპის მხრიდანაც საპასუხო რეაქციები გამოიკვეთა. დღის წესრიგში დადგა 2017 წლიდან საქართველოსთვის ამოქმედებული ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შეჩერების საკითხი.

ევროპელი პოლიტიკოსების მოწოდებები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიმართ, რომ ქვეყანა დააბრუნონ ევროპული მიმართულების რელსებზე – მდგომარეობას არ ცვლის. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ ჯერ კიდევ შარშან გამოკვეთა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შეჩერების შესაძლებლობა.

პირველად უვიზო რეჟიმის შესაძლო შეჩერების საკითხი საჯაროდ გამოვლინდა ევროკავშირის ზოგად საქმეთა საბჭომ 2024 წლის დეკემბერში, ბრიუსელში, სამუშაო დოკუმენტის სახით, რომელიც რადიო „თავისუფლებამ“ მოიპოვა და გაავრცელა. დოკუმენტში განხილულია უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის გააქტიურების შესაძლებლობა, როგორც პასუხი საქართველოს მთავრობის „ანტიდასავლურ და ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებზე“.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხად ხან გაკვირვებული ამბობდნენ – გაუგებარია, რა მიზეზით უნდა შეგვიჩერონ უვიზო რეჟიმიო, ხანაც – უვიზო რეჟიმზე მნიშვნელოვანი ჩვენი სუვერენიტეტი და ევროპელებისგან კარნახის გარეშე გადაწყვეტილებების მიღებააო. ასეა თუ ისე, დღემდე მნიშვნელოვნად არაფერი შეცვლილა და დღის წესრიგში კვლავ დგას უვიზო რეჟიმის შეჩერების საკითხი, თუმცა, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ამ მომენტისთვის შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ იმ სავარაუდო გავლენაზე, რაც შეიძლება უვიზო რეჟიმის შეჩერებამ გამოიწვიოს.

ხელისუფლების თავდაპირველი რეაქცია

ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საკითხი დღის წესრიგში 2024 წლის დეკემბერში, ევროკავშირის

გაფართოების ანგარიშის გამოქვეყნების და არჩევნების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული კითხვების ფონზე გააქტიურდა. ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ გასული წლის ოქტომბრის ბოლოს თქვა, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, ყველა ვარიანტი განიხილება. ჰერჩინსკის განცხადებას წინ უძღოდა „ქართული ოცნების“ მიერ „გამჭვირვალობის“, იგივე ე.წ. „რუსული კანონის“ მიღება ქვეყანაში მასშტაბური პროტესტის ფონზე და თანაც, საპროტესტო, მშვიდობიანი აქციების სასტიკი დარბევა და რეპრესიების გატარება. გვანდიაშვილის მომიტინგეების მიზანმიმართული სასტიკი ცემა, დარცვა, დაპატიმრება, ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმები და იმავდროულად, არცერთი მოძალადე პოლიციელი თუ სპეცრაზმელი პასუხისმგებში არ მიუციათ. საქართველოს ხელისუფლებას არ მოუხდენია სამართლებრივი რეაგირება არც პოლიციასთან შეთანხმებულად მოქმედი დამრბევი რაზმების ქმედებაზე, რომლებიც ასევე საპროტესტო აქციების მონაწილეებს სასტიკად უსწორდებოდნენ და მათ არც პოლიცია უშლიდა ხელს.

ამ ყველაფერმა ცხადია ევროკავშირის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებში რეაქცია გამოიწვია და სწორედ ამიტომაც საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკამ იმატა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი, იმის ნაცვლად, რომ არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი მოეძებნათ, იქით შეუტყეს ევროკავშირს. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ 2024 წლის 28 ნოემბერს პარტიის ოფისში განაცხადა, რომ საქართველო 2028 წლის ბოლომდე არ დაიწყებს ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკებებს.

„ჩვენ ვართ ამაყი და თავმოყვარე ერი დიდი ისტორიით. შესაბამისად, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, ევროკავშირში ინტეგრაცია განვიხილოთ როგორც მოწყალეობა, რომელიც ევროკავშირმა ჩვენთვის უნდა გაიღოს“, – განაცხადა კობახიძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ევროპელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები გრანტებსა და სესხებს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟისთვის იყენებენ, რაც მიუღებელია.

ბასულ ზაფხულში ევროპამ „ოცნება“ კიდევ ერთხელ გააფრთხილა

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში, კაია კალასმა 15 ივლისს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს შეხვედრის დასრულების შემდეგ თქვა, რომ საქართველოში დემოკრატიულ უკუსვლას შედეგი

მოპყვება.

„ქართული ოცნების“ მხრიდან დემოკრატიის თავდასხმა უკიდურესად მზარდია. დღეს, ევროკავშირის მინისტრებმა განიხილეს სამოქალაქო საზოგადოების დახმარების საკითხი და სხვადასხვა შესაძლებლობა, რისი გაკეთება შეეკიდლია. ეს მოიცავს უვიზო რეჟიმისა და ასოცირების შეთანხმების შეჩერებას და სანქციებს. საქართველოში დემოკრატიულ უკუსვლას შედეგი მოპყვება“, – განაცხადა კალასმა.

შეხვედრის დაწყებამდე მან თქვა, რომ განიხილება საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის შეჩერება თუ მთავრობა გარკვეულ პირობებს არ დააკმაყოფილებს.

„ჩვენ გავუგზავნეთ საქართველოს მთავრობას წერილი, რომელიც უვიზო მიმოსვლის რეჟიმს ეხება. არის ცალკეული პირობები, რომლებთანაც ისინი თანხვედრაში უნდა მოვიდნენ. თუ ეს პირობები არ იქნება შესრულებული დათქმულ ვადადღე, მაშინ მოგვიწვევს შევაჩეროთ უვიზო მიმოსვლის რეჟიმი“.

კალასმა განაცხადა, რომ ევროკავშირის საქართველოსთან უვიზო რეჟიმი 2017 წლიდან აქვს და ეს არის „დიდი სარგებელი, რასაც ევროკავშირი ქვეყნებს აძლევს“. მისივე თქმით, ამ რეჟიმის პირობებში მთავრობები იღებენ ვალდებულებებს, რომ დაიცავენ ფუნდამენტური უფლებებს, მათ შორის: შეკრებისა და გამონახტვის თავისუფლებას, დისკრიმინაციის არ დაშვებას და ა.შ.

„ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს მთავრობას აქვს, არის ის, რომ უზრუნველყოს და დაიცვას საქართველოს ყველა მოქალაქის ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის შეკრებისა და გამონახტვის თავისუფლება, საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლება, და ასევე დისკრიმინაციის აკრძალვა, ეს მხოლოდ ერთი პუნქტია. კიდევ 8 მსგავსი პუნქტია.“

მათ მიეცათ ვადა აგვისტოს ბოლომდე პირობების შესასრულებლად. შემდეგ ჩნდება კითხვა, რა იქნება ჩვენი რეაქცია თუ ეს რეკომენდაციები არ შესრულდება. როცა გვესმის მაგალითად, რომ 8-დან 7 ოპოზიციონერი ლიდერი დაკავებულია, ეს ნამდვილად არ შეესაბამება იმ პუნქტებს, რაზედაც განვაცხადე. აქამდე ჩვენ გვქონდა პოზიცია, რომ არ გვსურდა ქართველი ხალხისთვის ზიანის მიყენება და უვიზო რეჟიმის წაღებას ნამდვილად ექნება მათზე გავლენა, თუმცა ეს ასევე არის ევროკავშირის სანდოობის საკითხიც. თუ ჩვენ ვაძლევთ სარგებელს, ბონუსს ამ ქვეყანას, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ პირობებს, ამას მოპყვება შედეგები, რათა ხალხმა დაინახოს, რომ მთავრობა ევროპულ გზაზე არ არის და კანდიდატი ქვეყნის სტატუსს სერიოზულად არ უყურებს“, – განაცხადა კალასმა.

ვიზალიზირალიზაციის შესაძლო შემარების გავლენა მკონომიკაზე

ეკონომიკის ექსპერტების თქმით, პირველ რიგში, ვისაც უვიზო რეჟიმის შეჩერება ყველაზე აშკარად შეეხება, ტურისტული ბიზნესია. თუმცა, პირდაპირი

თუ ირიბი გავლენა, სხვა სეგმენტებსაც და ხალხის საკმაოდ ფართო კატეგორიას შეეხება. ამ შემთხვევაშიც, ხელისუფლების პოზიცია ტრადიციულად ირონიული და დემაგოგიით გაჯერებულია.

„ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ვიზალიზირალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი არ არსებობს. როგორც მან 21 ივლისს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში, გადაცემაში „ლამის კურიერი“ თქვა, ვიზალიზირალიზაცია მხოლოდ ტექნიკური საკითხია და ეკონომიკაზე გავლენას არ ახდენს.

„აქ საუბარია ერთადერთ რამეზე: ვიზის რიგში ჩადგები, თუ არ ჩადგები. ვიზალიზირალიზაციას არავითარი კავშირი არ აქვს ეკონომიკურ ზრდასთან ეს არის თავიდან ბოლომდე თითოიდან გამოწოვილი სპეკულაციები. ამას ნებისმიერი ექსპერტი დაადასტურებს“, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას მინუსიც აქვს, მიგრაციის წახალისება, რაც, მისი თქმით, უკვე გამოჩნდა ბალტიის ქვეყნების მაგალითზე.

„ლიტვაში 600 000-ით შემცირდა მოსახლეობა და ლატვიაში 400 000-ით. ვიზალიზირალიზაციის არ არსებობის პირობებში ბევრად მეტი ჩვენი მოქალაქე დარჩებოდა ქვეყანაში, გაიზრდებოდა სამუშაო ძალა და ეს პირდაპირ აისახებოდა ეკონომიკის ზრდის ტემპზე“, – თქვა კობახიძემ.

რადიკალურად განსხვავებული პოზიციაა ტურისტულ ბიზნესში მყოფ ადამიანებში. კომპანია „ტრეფიკ ტრეველ ჯორჯიას“ დამფუძნებელ ცოტნე ჯაფარიძის აზრით, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმება უარყოფითად აისახება როგორც შემომყვან, ისე გამყვან ტურიზმზე, რადგან პირდაპირი ავიარეისების რიცხვი შემცირდება.

„უვიზო რეჟიმის შეჩერება კატასტროფულ შედეგებს მოიტანს – ეს იქნება გაკოტრების ტოლფასი იმ ტურისტული კომპანიებისთვის, რომლებიც მუშაობენ გამყვან ტურიზმზე იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში და ა.შ. მათ მოუწევთ სხვა ბაზრებზე გადაწყობა, მაგრამ სრულად მაინც ვერ გადაწყობიან, რადგან არ არსებობს ალტერნატიული ბაზარი, რომელიც ევროკავშირის ჩანაცვლებს. ამდენად, ვფიქრობ, ქართულ ტურისტულ კომპანიებს საქმიანობაში დიდი პრობლემები შეექმნებათ“, – განაცხადა ცოტნე ჯაფარიძემ.

„გარდა ამისა, ვფიქრობ, საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით გაჩენილი კითხვები, ასევე კრიტიკული სტატიები, რომელიც შეეხება ჩვენი ქვეყნის გავლით სანქციების გვერდის ავლას და ა.შ. უარყოფითად მოქმედებს მაღალგანვითარებული საქართველოში. ასეთი ქვეყნებიდან ტურისტების უძრავლესობა ყოველთვის ფიქრობს იმაზე, რომ არ წავიდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც თავისი დახარჯული ფულით დიქტატორული თუ ავტოკრატიული რეჟიმების

ეკონომიკას შეუწყობს ხელს – რუსეთში, ბელარუსში, ვენესუელაში ასეთი ტურისტები მოგზაურობისგან თავს იკავებენ“; – თქვა ცოტნე ჯაფარიძემ.

2025 წლის ოქტომბერში ევროპარლამენტმა დაამტკიცა უვიზო მიმოსვლის შეჩერების ახალი მექანიზმი, რომელიც ევროკომისიას აძლევს უფლებას, დროებით ან სრულად აღადგინოს სავიზო მოთხოვნები იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არღვევენ ევროკავშირის პრინციპებს ან ქმნიან უსაფრთხოების საფრთხეს.

ახალი მექანიზმი ევროკომისიას ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ დროებით ან სრულად გააუქმოს უვიზო რეჟიმი კონკრეტული ქვეყნისთვის, გადაწყვეტილება მიიღოს მარტივად და სწრაფად, საბჭოს დამატებითი თანხმობის გარეშე.

მიზეზები, რის საფუძველზეც შეიძლება შეჩერება:

ადამიანის უფლებების ან ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევა; გაეროს წესდების უგულვებელყოფა; ევროკავშირის სავიზო პოლიტიკის შეუსაბამობა; დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესება; ევროკავშირის უსაფრთხოების საფრთხე.

თუ ევროკავშირი შეაჩერებს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმს, სამუშაოდ, სასწავლებლად ან სამკურნალოდ წასულ პირებს დასჭირდებათ ვიზის აღება, რაც დამატებით ბიუროკრატიულ და ფინანსურ ბარიერებს შექმნის.

მართალია, უვიზო რეჟიმი ეხება მხოლოდ მოკლევადიან ვიზიტებს – 90 დღემდე, ყოველ 180 დღეში, მენგენის ზონაში, თუმცა, ამ ვიზიტებითაც საკმაო ადამიანი სარგებლობს.

ცხადია, სამუშაო, სასწავლო და სამკურნალო ვიზიტების დიდი ნაწილი ისედაც მოითხოვს ვიზას, თუმცა უვიზო რეჟიმი ხშირად გამოიყენება სასწავლო პროგრამის დაწყებამდე მოსამზადებლად; სამკურნალო კონსულტაციებისთვის; სამუშაოს ძიების ან გასაუბრების მიზნით; კონფერენციებზე, ტრენინგებზე და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას. უვიზოს შეჩერების შემთხვევაში ყველა მოკლევადიანი ვიზიტი (მათ შორის ტურისტული, საქმიანი, სამკურნალო, სასწავლო) დაექვემდებარება სავიზო მოთხოვნას. ვიზის აღება კი მოითხოვს წინასწარ განაცხადს; საბუთების წარდგენას (მოწვევა, ფინანსური გარანტია, დაზღვევა); საკონსულოში ვიზიტს; გადასახადს (დაახლოებით €80); დამატებითი დრო და ხარჯი შეაფერხებს სტუდენტების მობილობას; მცირე ბიზნესის წარმომადგენლების საქმიან ვიზიტებს; პაციენტების სწრაფ წვდომას ევროპულ კლინიკებზე.

ხელისუფლების ოპონენტების თქმით, უვიზო რეჟიმის შეჩერება საქართველოს ეკონომიკაზე მოახდენს მრავალმხრივ უარყოფით გავლენას – განსაკუთრებით ტურიზმზე, შრომით მიგრაციაზე, განათლებაზე და ინვესტიციების მიმზიდველობაზე. ძირითადი ეკონომიკური ზემოქმედებებია:

- ტურიზმი და მომსახურების სექტორი ევროპიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა

შემცირდება, რაც პირდაპირ დაარტყამს სასტუმროებს, რესტორნებს, ტრანსპორტს და გიდების მომსახურებას.

ქართველი ტურისტების ევროპაში მოგზაურობა გაძვირდება, რაც შეამცირებს საერთაშორისო მიმოსვლას და ფულადი ნაკადების ბრუნვას.

- შრომითი მიგრაცია და ფულადი გზავნილები ათიათასობით ქართველი, ვინც მოკლევადიანად მუშაობს ევროპაში (მაგ. სეზონური სამუშაოები), დაექვემდებარება ვიზის მოთხოვნას, რაც:

- გაზრდის ხარჯებს;
- შეამცირებს სამუშაო შესაძლებლობებს;
- ფულადი გზავნილები, რომლებიც მნიშვნელოვან წილს შეადგენს საქართველოს შემოსავლებში, შესაძლოა შემცირდეს.

- განათლება და პროფესიული მობილობა სტუდენტებს და პროფესიონალებს, რომლებიც მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში ან ტრენინგებში, დაეკისრებათ ვიზის ბარიერი, რაც:

- შეამცირებს მობილობას;
- დააზიანებს საერთაშორისო კავშირებს.

- ინვესტიციების მიმზიდველობა

უვიზო რეჟიმი იყო ერთ-ერთი დამატებითი სტიმული უცხოელი ინვესტორებისთვის, რომლებიც აფასებენ ღია და ინტეგრირებულ გარემოს. მისი შეჩერება შეასუსტებს საქართველოს იმიჯს, როგორც ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიმავალ ქვეყანას.

- პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება ევროპასთან ურთიერთობის გაუარესება შესაძლოა გამოიწვიოს სავალუტო ბაზრის რყევა, ინვესტორთა ნდობის შემცირება და საზოგადოებრივი იმედგაცრუება, რაც ეკონომიკურ სტაბილურობას დააზიანებს.

ეკონომისტი ნიკოლოზ ალავიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ათიათასობით მოქალაქე პირადად იგრძნობს ცვლილებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესზე და სოციალურ მობილობაზე აისახება.

„მოკლევადიან პერსპექტივაში მყისიერად დაარტყამს ფულადი სახსრების შემოდინებას, რომელსაც ჩვენ რემიტენსების სახელით ვიცნობთ და მისი ოდენობა წელიწადში 2 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატება. ეს არის ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალურად დასაქმებული ქართველი მოსახლეობის მიერ გამოძუმძავებული თანხა. რემიტენსების წილი ევროკავშირის ქვეყნებიდან დაახლოებით 50%, ეს რა თქმა უნდა, არ განუღდება, მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში არსებობს განახევრების შესაძლებლობა, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – მინიმუმამდე შემცირების.“

საშუალოვადიან პერსპექტივას რაც შეეხება, იმ ხალხს, ვისაც ტურიზმთან შეხების გარდა, საქმიანი ვიზიტები ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნებში, ცხოვრება გაურთულდება. მათ ან ვიზების რიგში მოუწევთ დროის დაკარგვა, ან საერთოდ უარს იტყვიან საქმიან შემოთავაზებებზე. მარტივად დავბრუნდებით იმ საფეხურზე, სადაც ვიზალიბერალიზაციამდე ვიყავით“;

– ამბობს ალავიძე.

მისი თქმით, ვიზალიბერალიზაცია მარტო ვიზაზე წვდომის შეზღუდვა არ არის, ეს გამოწვეულია იმ პოლიტიკური გადაცდომებიდან, რომლებიც ქვეყნის მმართველმა გუნდმა ბოლო წლების განმავლობაში ჩაიდინა.

„ვიზალიბერალიზაციის გაუქმება ასევე გამოიწვევს ჩვენი, როგორც ქვეყნის რეპუტაციულ დაღმასვლას, რაც სუვერენულ რეიტინგზე პირდაპირ აისახება. შეგვეზღუდება დაფინანსების მიღება, როგორც დასავლური საფინანსო ინსტიტუტებიდან, ისე ქვეყნებიდან.

დაგვრჩება მხოლოდ ის რეგულაციები, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოების მიზნით მივიღეთ და აბსოლუტურად უვარგისია, თუ ეს პროცესი შეჩერდა. კვარაუდობ, რომ მინიმუმ 0,5-2%-მდე გაგვიძვირდება იმ სუვერენული სესხების ღირებულება, რომელიც აღებული გვაქვს, უწევს დაფარვა და ამ განახლების საფასური გაიზრდება, რაც ბიუჯეტზე დამატებითი წნეხია. მოკლე ვადაში ეს თანხა ადვილად დათვალადია: წლის ბოლომდე თითქმის 800 მილიონი დოლარის დაფარვა გვიწევს, 2026 წლის I კვარტალში მილიარდ

სამასი ათასის, საიდანაც განახლების ნაწილი თუ მინიმუმ 1%-ით გაგვეზარდა, მარტივად დასათვლელია, ეს ბიუჯეტს რამდენი დოლარით მეტი დაუჯდება.

პირდაპირ ხარჯს ასევე დაემატება ის მიუღებელი შემოსავალი, რომელიც უვიზო მიმოსვლას უნდა დაეგენერირებინა; ასე რომ, უვიზო მიმოსვლის გაუქმება უშუალოდ და პირადად შეეხება საქართველოს ათი ათასობით მოქალაქეს“, – აღნიშნა ნიკოლოზ ალავიძემ.

2025 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ევროკავშირში უვიზო რეჟიმის შეჩერების ახალი მექანიზმი უკვე დაამტკიცა ევროპარლამენტმა და ახლა ევროსაბჭოს საბოლოო თანხმობის მოლოდინშია. ახალი წესები დეკემბერში შევა ძალაში და საქართველოსთვის რეალური რისკი არსებობს. ევროკავშირის შიდა ლოკუმენტებში საქართველოს მიმართ კრიტიკა გამოიკვეთა,მათ შორის:დემოკრატიული უკუსვლა,მედიის თავისუფლების შეზღუდვა, ევროპული ღირებულებების უგულვებელყოფა. შესაბამისად, იმის ალბათობა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკამ გამოიწვიოს უვიზო რეჟიმის შეჩერება და კიდევ უფრო მეტად დააზარალოს რიგითი მოქალაქეები, საკმაოდ მაღალია.

თემურ იობაშვილი

გამოქვეყნდა IFAC-ის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების მორიგი სერია

სახელმძღვანელოების სერიის მიზანია მცირე ფირმებისთვის პრაქტიკული დახმარების განწევა ხმს 1-ის და მასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და ცვლილებების დანერგვაში. პუბლიკაცია შედგება სამი ნაწილისგან და მოიცავს რჩევებს, განხილვებსა და საილუსტრაციო მაგალითებს მცირე ფირმებისთვის და ინდივიდუალურად საქმიანობის განმარტოებული აუდიტორებისათვის პერსონალით ან მის გარეშე. სერია არ მოიცავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საჯაროდ განთავსებული კომპანიების აუდიტორულ მომსახურებასთან ან ქსელში შემავალ ფირმებთან, რათა ყურადღება გამახვილდეს მცირე ფირმებზე. პირველი ნაწილი ფოკუსირებულია საწყის ნაბიჯებზე, ხოლო მომდევნო ნაწილები შეეხება ხარისხის მართვის სისტემის (SOQM) შეფასებას, რათა ფირმებმა შეძლონ პასუხისმგებლობების განაწილება და ხარისხის მართვის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილება.

სახელმძღვანელოები თარგმნილია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ქართული სამთავრობო ობლიგაციებისადმი უცხოელი ინვესტორების ინტერესი შემცირდა

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი კაკაურიძე იმ ფაქტორებს ასახელებს, რამაც საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ობლიგაციების მიმართ უცხოელი ინვესტორების ინტერესი შეამცირა.

საქმე ისაა, რომ 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით არარეზიდენტებს სულ 133 მილიონი ლარის ობლიგაციები ეკუთვნით, მაშინ როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ლარის სამთავრობო ობლიგაციებში არარეზიდენტებს 319 მილიონი ლარი ჰქონდათ დაბანდებული. შესაბამისად, ერთ წელიწადში აღნიშნული პორტფელი თითქმის 2.4-ჯერ შემცირდა.

როგორც კაკაურიძემ BMG-სთან განაცხადა, ინვესტორების გადაწყვეტილება დამოკიდებულია გლობალურ განაკვეთებზე და ასევე, გაცვლით კურსზე.

„აქ ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: ერთი, როდესაც განაკვეთები გაზრდილია მსოფლიო ბაზარზე, რა თქმა უნდა ფედერალური სარეზერვო სისტემის ობლიგაცია იქნება ყოველთვის უფრო მიმზიდველი, ვიდრე საქართველოსი, შესაბამისად ცდილობენ, რომ უფრო იქით გადაიტანონ თანხები ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ჩვენ დოლართან მიმართებაში ნომინალური გაცვლითი კურსი და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გვაქვს გამყარებული და შესაბამისად, როდესაც გამყარებულია კურსი, ამ დროს ნაკლებად აქვთ ხოლმე ინტერესი უცხოელ ინვესტორებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით ჩვენ, როგორც კი დავინახავთ, რომ დიდი წილი მანკც დამოკიდებულია Euribor-ისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის განაკვეთებზე, ამ შემთხვევაში, როგორც კი მათი შემცირება მოხდება და ამ დინამიკას უკვე ვხედავთ, ამის შემდეგ უკვე უფრო აქტიურები იქნებიან საქართველოს ფასიან ქალაქებზე“, – ამბობს მინისტრის მოადგილე.

ქართული თხილის წარმატებულ სეზონს, უმსაძლოა, დიდი წარუმატებლობა მოჰყვას

ინფიცირებული ბაღების მოცულობა ამ დროისთვის 7 000 ჰექტარს აჭარბებს

ქართულ თხილზე მოთხოვნა გაიზარდა

ქართული თხილის საექსპორტო ღირებულება გაიზარდა. ცვლილება ადგილობრივ ბაზარსაც შეეხო და კარგი მოვლის შემთხვევაში, ფერმერებს მოსავლის გაყიდვა 10 ლარად და მეტადაც შეუძლიათ. ასეთი მაჩვენებლით, თხილის ფასი 2010 წლის დინამიკას დაუბრუნდა, რაც რეკორდული ნიშნული იყო. მაშინაც და ახლაც, თხილის ღირებულებაზე გავლენა გლობალურმა ფაქტორმა მოახდინა, კერძოდ, თურქეთში მოსავლის კლებამ, რამაც ევროპაში ქართულ თხილზე მოთხოვნა გაზარდა. შესაბამისად, პერსპექტივაც მეტია, თუმცა ამ ყველაფერს სერიოზული რისკი ემუქრება იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოში თხილის ხეების ხმობის სწრაფი პროცესი დაიწყო. ერთეული შემთხვევა დაფიქსირდა იმერეთშიც, ამდენად დიდი რისკია, რომ ტენდენცია მასობრივი გახდეს, რაც ფერმერებს სამომავლოდ დიდად დააზარალებს.

რაც შეეხება საექსპორტო ფასს და მიღებულ შემოსავალს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2025 წლის 1-ლი აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოდან ექსპორტირებულია 2.9 ათასი ტონა თხილი, საერთო ღირებულებით 24.7 მილიონი აშშ დოლარი. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტის ღირებულება – 36%-ით, 6.6 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში 1 კგ თხილის საშუალო საექსპორტო ფასი 8.46 აშშ დოლარს შეადგენს, რაც 39%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

„ექსპორტის ძირითადი ბაზარი ევროკავშირის ქვეყნებია. ყველაზე დიდი მოცულობით თხილი იტალიაში გავიდა და 1.0 ათასი ტონა შეადგინა. ევროკავშირის ბაზრებიდან ასევე მნიშვნელოვან პარტნიორებად რჩებიან გერმანია (302.1 ტონა), ესპანეთი (197.0 ტონა) და ჩეხეთი (119.4 ტონა). გარდა ევროკავშირის ქვეყნებისა, ქართული თხილი გაიყიდა სომხეთში (119.7 ტონა), რუსეთში (117.5 ტონა), თურქეთში (111.2 ტონა) და სხვა ბაზრებზე“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. ამ ეტაპზე ქართული თხილი 25 ქვეყნის ბაზარზე გადის, ექსპორტიორები კი აქტიურად მუშაობენ ისრაელის ბაზრის ათვისებაზეც.

ქართველი ექსპორტიორების ინფორმაციით, ქართულ თხილზე ფასის ზრდა თურქეთში არსებულმა საგაზაფხულო ყინვებმა გამოიწვია, მცენარეს კვირტები გაყვინა და აქედან გამომდინარე, ქვეყანამ ექსპორტზე

მხოლოდ 600 ათასი ტონა თხილის გატანა შეძლო, რაც მათი პოტენციალის დაახლოებით 60%-ია. თურქული თხილის დეფიციტი აისახა ფასზეც და 1 კილოგრამზე 10 დოლარი შეადგინა, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 6 დოლარს არ აჭარბებდა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში მოსავლის აღება სრულად დამთავრდება, მოსავალი 40 ათას ტონაზე მეტი იქნება. „ნათს ინკორპორეიტედის“ აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე ლათათიას განცხადებით, დღეს საექსპორტო ბაზრებზე თხილის ფასს დიდწილად თურქეთი განსაზღვრავს. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართული თხილის ფასი 25-30 ცენტით იაფად ფასობს. ამის მიზეზი რეპუტაციული ზიანია, რომელიც ჩვენს პროდუქტს რამდენიმე წლის წინ მიაღება ფაროსანას გამანადგურებელი შემოსევების გამო.

იმ ავბედით წლებში ქართული თხილის ხარისხი თითქმის ნულამდე დაეცა, გამოსავლიანობა 10%-ს ჩამოსცდა. იყო შემთხვევები, როდესაც მოსავლის ჩაბარების დროს თხილს საგანგებოდ ამოწმებდნენ (მაგალითად, 20 ცალს გატეხდნენ და მხოლოდ მაშინ იბარებდნენ, თუკი 4-5 ცალი მაინც საღი აღმოჩნდებოდა, თუ არადა, მთელ პარტიაზე უარს ამბობდნენ). სწორედ იმ წლებში ქართული თხილის ფასი კატასტროფულად დაეცა და 1-1.5 ლარამდეც ჩამოვიდა. შემდეგ სახელმწიფოსა და ფერმერების ერთობლივი ძალისხმევით მავნებლებთან ბრძოლამ შედეგი გამოიღო, თხილის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ქართულმა პროდუქტმა რეპუტაცია ბოლომდე ვერ მაინც ვერ აღიდგინა.

„ჩვენი მთავარი გამოწვევა არის ხარისხი. მართალია, მდგომარეობა ამ მხრივ საკმაოდ გამოსწორდა და ამჟამად უკეთესი ვითარებაა, ვიდრე წლების წინ იყო, მაგრამ ქართულმა თხილმა რეპუტაციული ზიანი განიცადა და ამის მიზეზია, რომ მისი ღირებულებაც განსხვავებულია, სხვა ქვეყნების მიერ წარმოებული თხილისგან განსხვავებით, ქართული პროდუქტი 25-30 ცენტით იაფად ფასობს.

ჩვენს კომპანიას თხილი 14 ქვეყანაში გააქვს ექსპორტზე. მოთხოვნის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ტოპ-5 პროდუქტებს შორისაა თხილიც, პირველი ადგილი ფსტას უკავია. მოხმარება იმდენად მზარდია, რომ წარმოება ვერ ეწევა, შესაბამისად, გლობალურ ბაზრებზე, მარშანდელთან შედარებით, ფასმა მნიშვნელოვნად მოიმატა. თხილს დიდი საექსპორტო ღირებულება გააჩნია, ამიტომ ყველაფერი

უნდა გაკეთდეს, რომ ხარისხის გაუმჯობესდეს და რეპუტაციაც აღვიდგინოთ.

ექსპორტის მხრივ და საფასო ნაწილშიც, პერსპექტივა დიდია, ამისკენ არის მწარმოებლების ყურადღებაც მიმართული. ისინი ცდილობენ, რომ პრემიუმ სეგმენტში შეძლონ შესვლა, რასაც ზოგიერთი ახერხებს კიდევ. ნელ-ნელა იცვლება დამოკიდებულება და ახლო მომავალში მაქსიმალურად შევძლებთ იმ პოტენციალის ათვისებას, რაც ქართულ თხილს გამოარჩევს“, – განაცხადა კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა.

ფაქტს, რომ ხარისხთან დაკავშირებული მდგომარეობა გამოსწორდა, ჩვენთან საუბრისას მეწარმეები და ფერმერებიც ადასტურებენ, თუმცა ყურადღებას ამახვილებენ რისკზეც, რაც თხილის ხეების ხმობამ შეიძლება გამოიწვიოს.

ბარემზულად სრულიად სალი მცენარე შეიძლება 1 ღმეში ბახმს

ზუგდიდში მდებარე თხილის შემნახველი საწარმოს, კომპანია „ჯეო იუესის“ დამფუძნებლის, ლაშა შენგელიას ინფორმაციით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეში მთელი პლანტაციები გახმა. პირველად ამ სოფელში გაჩნდა პრობლემა და სასწრაფოდ მისაღებია ზომები, რომ რეგიონს მასობრივად არ მოედოს დაავადება, როგორც თავის დროზე ფაროსანას შემთხვევაში მოხდა.

გარდა ამისა, ლაშა შენგელიამ ისაუბრა, თუ როგორია ქართული თხილის გამოსავლიანობის მაჩვენებელი და რამდენად შესაბამეა სტანდარტს, რაც ზოგადად პროდუქტის მიმართ მოქმედებს და ფასსაც განსაზღვრავს.

„გამოსავლიანობა ითვლება პროდუქტის სალი გულის რაოდენობის შესაბამისად და სხვადასხვა რეგიონისთვის განსხვავებულია. ამ მხრივ გავლენას ახდენს როგორც კლიმატი, ასევე მოვლის პირობები, რაშიც ფერმერების წვლილი დიდია. ჩვენს საწარმოს 500 ტონა თხილის შენახვის რესურსი აქვს, თუმცა, საშუალოდ, 200 ტონამდე ვიღებთ. თუკი წინა წლებში გამოსავლიანობა 25-27%-ის იშვიათად აჭარბებდა, წელს ეს მაჩვენებელი 38-40%-ის დონეზეა. ჩაბარებული მოსავლის დაახლოებით 80% ასეთია. ევროპულ ბაზრებზე კი სტანდარტი 60-80%-ის ფარგლებშია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფერმერების მხრიდან სამეურნეო უნარ-ჩვევების შესწავლას. ბევრი მიხვდა ამას და რადიკალურად შეცვალა მიდგომა, შედეგიც გაცილებით უკეთესი აქვთ იმ შინამეურნეებისგან განსხვავებით, რომლებმაც თხილის პლანტაციებს ვერ მოუარეს ან ძალისხმევა დააკლდათ. საწარმოში მიღებული პროდუქტის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, ქართული თხილი საშუალოზე დაბალია, ვისაც თხილი შენახული აქვს, 80%-ს ეს პრობლემა არ აქვს.

უნდა ითქვას, რომ ფერმერების უმეტესობა ინფორმირებულია, იციან, როგორ მოუარონ და შეინახონ მოსავალი, ამისთვის მნიშვნელოვანია თანაბარი ტემპერატურა. სამწუხაროდ, მოსახლეობის

უმრავლესობა თხილს ჯერ კიდევ მამაპაპური მეთოდით ამრობს, ამ დროს დანაკარგი 20-30%-ს აღწევს, რაც საგანგაშოა. ვინც სტანდარტის და პროტოკოლის დაცვით მოიყვანა მოსავალი, 1 კილოგრამ თხილს 10 ლარად და მეტადაც ყიდის, თუმცა არაერთ შემთხვევაში, დაბალი ხარისხის გამო, ხალხს გაცილებით ნაკლებ ფასში უწევს თხილის გაყიდვა.

ახლა გაურკვეველი დაავადებაა გავრცელებული, ბაქტერია აზიანებს მცენარეებს და ეს არის მიზეზი, რომ დროზე ვერ აიღეს მოსავალი. მასობრივი სახე თუ მიიღო, საგანგაშო შედეგის წინაშე დავდებით. იმედია, აქამდე არ მივა საქმე და დროულად გატარდება პრევენციული ზომები.

რაც შეეხება დაავადების მახასიათებელს, ძირი ხმება ერთ დღეში. შეიძლება, გარეგანი დათვალიერებით არაფერი ჩანდეს, სალი იყოს ხე და მოულოდნელად დაიწყოს ხმობა, მოსაჭრელი გახდეს“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ლაშა შენგელიამ.

სამეგრელოსგან განსხვავებით, თხილი კახეთში, სულ მცირე, 2 ლარით ძვირია. მიუხედავად იმისა, რომ საფასო სტანდარტი ერთნაირია, ხარისხის გამო პროდუქტის შემსყიდველები კახეთში მიღებულ პროდუქტში გაცილებით მეტს იხდიან. როგორც ლაგოდეხელი ფერმერი ვაჟა ლაღაძეშვილი ამბობს, თხილის ფასს კახეთში განსაზღვრავს მაღალი გამოსავლიანობა, რომელიც 45-50%-ის დონეზეა და საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

„კახეთის კლიმატი თხილს ძალიან მოუხდა. წლებია, რეგიონში მეთხილეობა ვითარდება და საკმაოდ კარგ შედეგს აჩვენებს. პლანტაციებიც უფრო ინტენსიურად იწამლება. შესაბამისად, ფაროსანას პრობლემა არ დგას, რაც სამეგრელოში ჯერ კიდევ ითვლება გამოწვევად.

რაც შეეხება თხილის ხმობის ცალკეულ ფაქტებს, რაც დასავლეთ საქართველოშია, ჯერჯერობით მსგავსი შემთხვევა ჩვენთან არ დაფიქსირებულა, თუმცა გარკვეული რისკი არსებობს. ველოდებით ინსტრუქციას, როცა პროტოკოლი შემუშავდება, ალბათ განისაზღვრება ბაქტერიასთან ბრძოლის საშუალებაც და შესაბამის ზომებს ჩვენც მივიღებთ.

რაც შეეხება წარმოებულ პროდუქტს, თხილის პლანტაცია 1 ჰექტარზე მაქვს გაშენებული. სამეგრელოსგან განსხვავებით, ჩვენთან მავნებლის პრობლემა არ დგას, რაც ფასზეც აისახა. თუკი ზუგდიდში 1 კგ თხილი, საშუალოდ, 8 ლარი ღირს, ჩვენს შემთხვევაში, 10 ლარია. ეს არის ანაკლიური ჯიშის თხილი, რომელიც საქართველოში ძალიან პოპულარულია. რამდენიმე ძირი „გავაზურაც“ მოვსინჯე, საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა და სტანდარტსაც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას კახელმა ფერმერმა.

თხილის მოსავლის მიმართ დიდი ინტერესია იმერეთშიც, სადაც ფერმერებმა საკმაოდ კარგ წარმატებას მიღწიეს და გამოსავლიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს. ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“ გთავაზობთ ფინანსურ სერვისებს თქვენი ბიზნესისთვის!

ჩვენი სერვისებია:

ფინანსური მენეჯერის/დირექტორის (CFO) აუტოსორსინგი

- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- ფინანსური მოდელირება და სცენარების ანალიზი;
- წლიური, კვარტალური და ყოველთვიური ბიუჯეტირება და გადახრების ანალიზი;
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში და რესურსების მოზიდვაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები.



ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტიკა

- კომპანიის ბიზნეს-პროცესების შესწავლა და ფინანსური მართვის სისტემების გამოვლენა;
- ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯების ანალიზი;
- ბიზნესის ფინანსური შეფასება მომგებიანობის, ლიკვიდურობის, ეფექტიანობის, გადახდისუნარიანობის მიმართულებით;
- კომპანიის ზუსტი ფინანსური დიაგნოსტიკა და სტრატეგიის დაგეგმა მენეჯმენტთან ერთად.

ფინანსური მართვის პროცესების სრული მონერსივება

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესების მონერსივება და რეპორტირების სისტემის გამართვა/ჩამოყალიბება;
- ფინანსური მოდელირება და სტრატეგიული დაგეგმვა;
- ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა და კონტროლი;
- საოპერაციო ხარჯების მართვა და ოპტიმიზაცია;
- ფინანსური დეპარტამენტის მართვის პროცესების და KPI სისტემების დანერგვა;
- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები;
- კომპანიის ლიკვიდურობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

დაგვიკავშირდით: მობ.: 579 30 71 71 // 598 55 53 15
info@levco.ge

ლევან რუხაძემ წელს 6 ტონამდე მოსავალი მიიღო და თხილის პლანტაციების გაფართოებაც შეძლო.

2,5 ჰექტარზე გაშენებული პლანტაციიდან ფერმერი 15 ტონამდე თხილის მიღებას გეგმავს. კარგი მოვლის წყალობით, ლევანმა 1 კილოგრამი თხილის 11,50 ლარად გაყიდა, რაც დღესდღეობით ქართულ ბაზარზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

„ხუთჯერ შევწამლე თხილი, ბოლომდე დავამარცხე ფაროსანა და ყველაფერს ვაკეთებ, რომ პლანტაციებს საფუძვლიანად მოვუარო. ცხადია, რისკებისგან ეს ვერ დამიცავს, თუმცა შემიძლია დანაკარგი შევამცირო და თუკი დროულად მივიღებ ზომებს, სხვა მაგნებლებისა

და ბაქტერიებისგანაც დავიცავთ.

მიუხედავად იმისა, რომ არაფერს ვაკლებ, თხილის ხმობის ერთი შემთხვევა ჩემთანაც დაფიქსირდა. არ ვიცი, რასთან გვაქვს საქმე, ბაქტერია ჯერ კიდევ შემოწმებას გადის, ამიტომ მაინც დავიჭირე თაღარივი და ნარგავები შევწამლე. როცა მეცოდინება, რა მაგნებლებთან გვაქვს საქმე და პროტოკოლი შემუშავდება, შესაბამის ზომებს კიდევ მივიღებ“, – გვითხრა ლევან რუხაძემ.

მისი თქმით, მიღებულ მოსავალს ადგილზე ყიდის, თუმცა სამომავლოდ, როცა წარმოების მნიშვნელოვან ზრდას შეძლებს, ექსპორტზეც მოსინჯავს ძალებს, რის პოტენციალიც რეგიონში საკმაოდ დიდია.

„წელს ამინდი სახარბიელო არ იყო, აქაც შექმნა ტენიანობამ პრობლემა, მაგრამ კარგად მოვუარეთ და მოსავალი გადავარჩინეთ. თურქეთს ამ მხრივ არ გაუმართლა, იქ უფრო მკაცრი კლიმატი დაფიქსირდა, რამაც ქართულ თხილს მეტად გაუხსნა გზა. ჩემს შემთხვევაში,გამოსავლიანობა 45%-ია,ეს საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო შედეგად მიიჩნევა, თუმცა შეგვიძლია კიდევ უფრო გავზარდოთ ეს მაჩვენებელი და ევროპულ სტანდარტს მივუახლოვდეთ“, – განაცხადა ლევან რუხაძემ.

როგორც თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე მერაბ ჭითანავა აცხადებს, დასავლეთ საქართველოში თხილის ხეების ხმობის სავარაუდო მიზეზი ბაქტერია „ფსევდომონაა“, რომლით ინფიცირებული ბაღების მოცულობა ამ დროისთვის 7 000 ჰა-ს აღწევს. დაავადება განსაკუთრებით გურიასა და სამეგრელოშია გავრცელებული.

როგორც ასოციაციაში აცხადებენ, მასთან ბრძოლისთვის ბაღების ოთხჯერ შეწამვლაა საჭირო, ხარჯი ჰა-ზე კი 1300-1500 ლარს აღწევს.

„პირველად 5 წლის წინ მოვახდინეთ ამ დაავადების იდენტიფიკაცია, ეს გამოიხატება ბუჩქების უეცარი ხმობით. ივლისიდან იწყება ფოთლების გაყვითლება და 10 დღეში მთლიანად ხმება. შარშან ჩემი პლანტაციის მაგალითზე 20% გახმა, წელს უკვე ეს მაჩვენებელი 50%-მდე გაიზარდა. სწრაფად ვითარდება, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ გაისხლა ან ნიადაგი დაბუშავდა.

გურიაში ბევრად უფრო მწვავედ არის გავრცელებული ვიდრე სამეგრელოში, თუმცა პრობლემა ძირითადად ამ ორ რეგიონში ვრცელდება.

იტალიელი და თურქი ექსპერტები ჩამოვიყვანეთ სამინისტროსთან თანამშრომლობით, იმდენად სწრაფად ხმება მცენარე, რომ ამ პროცესში სხვა დაავადებაც უჩნდება და ძნელია მიზეზის იდენტიფიცირება, მაგრამ ერთობლივად მივედით დასკვნამდე, რომ ეს არის ბაქტერია „ფსევდომონა“, რომელიც საკმაოდ რთულია. შეჩერება შესაძლებელია სპილენძის მინარევების დაბუშავებით წელიწადში 4-ჯერ, ნოემბერ-დეკემბერში და ასევე გაზაფხულზე 2-ჯერ შეწამვლით. ყველა პროცედურას 1 300 ლარის აგროქიმიკატი სჭირდება 1 ჰა-ზე, რაც ფერმერისთვის რთული გადასახდელია. იმედი გვაქვს, რომ დახმარების მექანიზმი ამოქმედდება. პრობლემა რთულია და ვაღებიც შემცირებულია“, – განაცხადა მერაბ ჭითანავამ.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიული კვლევებით დადგენილია, რომ თხილის ხმობა ბაქტერიული დაავადებით არის გამოწვეული. უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფოს მხრიდან დასავლეთ საქართველოში ათობით ჰექტარზე დაზიანებული თხილის ბაღების მოკვლევა იგეგმება. მომსახურების შესყიდვას სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი აპირებს. ცენტრმა 12 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვა მოითხოვა. მოთხოვნა ამჟამად განხილვის ეტაპზეა. შესყიდვის ღირებულება 15 000 ევროს შეადგენს.

ლოკუმენტის მიხედვით, მიმდინარე წელს დაფიქსირებულია თხილის უეცარი ხმობის შემთხვევები დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის – ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ზუგდიდის, ასევე გურიის რეგიონის – ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში.

ლევან ნატროშვილი

დაგროვებითი პენსიით უკვე ისარგებლა 23784-მა პირმა, პენსიის სახით გაიცა 105.8 მილიონი ლარი

საქართველოს საპენსიო ფონდი სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. 30 სექტემბრის სტატისტიკური მონაცემებით, საპენსიო სქემაში განეწვევებულ მონაწილეთა რაოდენობა 1,676 მლნ ადამიანია. ამასთან, დაგროვებითი პენსიით ისარგებლა 23784-მა პირმა, მათზე პენსიის სახით კი გაიცა 105.8 მილიონი ლარი.

საპენსიო ფონდის ინფორმაციით, საპენსიო აქტივების ღირებულება კი შეადგენს 7.7 მილიარდ ლარს, მათ შორის დაგენერირებულმა ამონაგებმა 2.0 მლრდ ლარს გადააჭარბა.

საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პორტფელების 2025 წლის სექტემბრის თვის შედეგებსაც აქვეყნებს.

„სექტემბერი საპენსიო ფონდის პორტფელებისათვის წლის მეორე საუკეთესო თვე აღმოჩნდა. დადებითი დინამიკა საერთაშორისო აქციების ბაზრების ძლიერმა ზრდამ განაპირობა, რასაც ხელი შეუწყო ფედერალური რეზერვის მიერ საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ და სტაბილურმა გეოპოლიტიკურმა გარემომ.

დინამიკური პორტფელი, რომელშიც საერთაშორისო აქციების წილი, სხვა პორტფელებთან შედარებით, ყველაზე მაღალია, სექტემბერში 2.56%-ით გაიზარდა, ხოლო დაბალანსებულმა და კონსერვატიულმა პორტფელებმა შესაბამისად 1.98% და 1.47%-იანი ზრდები დააფიქსირეს.

წლის დასაწყისიდან დღემდე შემოსავლიანობა სამივე პორტფელისთვის საკმაოდ მაღალია:

- დინამიკური – 12.0%;
- დაბალანსებული – 10.3%;
- კონსერვატიული – 8.9%.

აღსანიშნავია, რომ დინამიკური პორტფელი შექმნის დღიდან (2023 წლის 6 აგვისტო) განლიურებული შემოსავლის კუთხითაც ლიდერობს და მისი შემოსავლიანობა 14.5%-ს აღწევს, ხოლო დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელებისათვის შესაბამისი მაჩვენებლები 13.2% და 11.9%-ს შეადგენენ.

საქართველოს საპენსიო ფონდის აქტივებმა სექტემბრის ბოლოსთვის 7.7 მილიარდ ლარს, ხოლო დაგენერირებულმა ამონაგებმა – 2.0 მილიარდ ლარს გადააჭარბა, – აღნიშნულია საპენსიო ფონდის მონაცემებში.

2024 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 76 მლრდ ლარს გადააჭარბა

აზარტული თამაშების საქმიანობებით დაკავებულ საწარმოთა ბრუნვამ 2024 წელი მორიგი რეკორდული მაჩვენებლით დაასრულა. გასული წელი სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 76.155 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 12.161 მლრდ ლარით მეტია 2023 წელთან შედარებით.

საქსტატის მონაცემებით, 2023 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა შეადგენდა 63.994 მლრდ ლარს, 2022 წელს – 52.647 მლრდ ლარს, 2021 წელს – 47.938 მლრდ ლარს, 2020 წელს კი 32.091 მლრდ ლარს. მთლიანად კი გასულ წელს სათამაშო ბიზნესის წილი ბიზნესსექტორის მთლიან ბრუნვაში 32.3% იყო. ცნობისათვის, 2023 წელს ეს მაჩვენებელი 31.2% იყო, 2022 წელს – 29%-ს, 2021 წელს – 32%-ს, 2020 წელს კი 28%-ს.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში აზარტული თამაშები კვლავ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და მისი ბრუნვა ყოველწლიურად რეკორდულად მატულობს.

ამასთან, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2024 წელს აზარტულ ბიზნესში სულ 13195 ადამიანი იყო დასაქმებული, საშუალო ხელფასი კი 3392 ლარს შეადგენდა. ამასთან, შარშან ამ სექტორში 74.4 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საქართველოში მთლიანად ბიზნეს-სექტორის ბრუნვამ 228.5 მლრდ ლარი შეადგინა, ამაში სათამაშო ბიზნესის წილი კი თითქმის 33.3% შეადგენს.

საქართველოში ყველაზე დიდი ბრუნვის 10 კომპანიიდან, 8 აზარტული საქმიანობაშია ჩართული

საქართველოში ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე ტოპ-10 კომპანიიდან, 8 აზარტული საქმიანობით არის დაკავებული, – ამის შესახებ საქსტატის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მიწოდებული ინფორმაციიდან ჩანს.

ის ფაქტი, რომ ქვეყანაში სათამაშო ბიზნესის მოგება წლიდან წლამდე იზრდება, ახალი არ არის, თუმცა აქამდე ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიების ათეულში, მათ რაოდენობას 8-მდე არასდროს მიუღწევია.

უფრო კონკრეტულად, საქსტატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიებია: „კავკასიის ავტოიმპორტი“, „ორი ნაბიჯი“, „ევროპაბეთი“, „ბეთლაივი“, „ავიატორ“, „მარსი“, „ფულ ჰაუსი“, „ასვლა“, „ლიდერ-ბეთ სლოტი“, „პრინციეს ბათუმი“.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ინფორმაციას აღნიშნული კომპანიების მესაკუთრეების შესახებ.

- „კავკასიის ავტოიმპორტი“ (ავტობიზნესი) – სამენარმეო რეესტრის მიხედვით, კომპანიის 34.875% ეკუთვნის საქართველო-აშშ-ის ორმაგ მოქალაქეს გიორგი სურგულაძეს, 27.225% – გიორგი გულაშვილს, 27.9% – ლევან სურგულაძეს, 10% – დავით გულაშვილს.

- „ორი ნაბიჯი“ (ქსელური მარკეტები) – ოფიციალური მონაცემებით, კომპანიის 33.34% ეკუთვნის გოჩა ცქიტიშვილს, 33.33%-ანი წილები კი გიორგი ჩხეიძესა და კახი ბექაურს.

- „ევროპაბეთი“ (აზარტული ბიზნესი) – ბოლო მონაცემებით, კომპანიის 100% ეკუთვნის შვედეთში რეგისტრირებულ კომპანიას Betsson Perch Investments AB.

- „ბეთლაივი“ (აზარტული ბიზნესი) – მენარმეთა რეესტრის მიხედვით, კომპანიის წილების 38% ეკუთვნის სულიკო ვარსემაშვილს, 19% ნანა ჯანაშიას, 3% თამაზ ხარაიძეს, ხოლო 40% შპს „აიტი ვენჩარი“-ს. თავის მხრივ, ამ უკანასკნელის წილებს 4 სხვა კომპანია ფლობს. ესენი შპს „რონექს“, შპს „რემიქს ჯგუფი“, შპს „ალფა 2“ და შპს „მმ ტექნოპარკი 350“.

- „ავიატორ“ (აზარტული ბიზნესი) – სამენარმეო რეესტრის მიხედვით, კომპანიის მესაკუთრეა შპს „ატლას ჰოლდინგსი“. ეს უკანასკნელი კი ეკუთვნის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოში რეგისტრირებულ კომპანიას TSE Holdings Limited-ს.

- „მარსი“ (აზარტული ბიზნესი) – კომპანიის 100% ეკუთვნის შპს „ენტეინ ჯორჯიას“. სამენარმეო რეესტრის მონაცემებით, ამ უკანასკნელის მფლობელი მალტაში რეგისტრირებული კომპანია „ბენ ჰოლდინგს (მალტა) ლიმიტიდი“-ია.

- „ფულ ჰაუსი“ (აზარტული ბიზნესი) – სამენარმეო რეესტრის მიხედვით, კომპანიის 35%-ის მესაკუთრეა თემურ მიქელაძე, 16.67% – გიგი ლევაი-ვეის (ისრაელი), 16.67% – ნორბერტ ფრანც ტეუფელბერგერს (ავსტრია), 16.66% – მანფრედ ბოდნერს (ავსტრია), 2.5%-ანი წილების მფლობელები კი არიან: გურამ დოლიძე, ბაკურ ხარჩილაძე, გიორგი ბარნაბიშვილი, მიჰალი გლოვაცკი (პოლონეთი) და კლაუს გემალ რასმუსსენ (დანია).

- „ასვლა“ (აზარტული ბიზნესი) – სამენარმეო რეესტრის თანახმად, კომპანიის მფლობელი კვიპროსში რეგისტრირებული შპს „ენგური ვენჩერს ლიმიტიდი“-ია.

- „ლიდერ-ბეთ სლოტი“ (აზარტული ბიზნესი) – ოფიციალური მონაცემებით, კომპანიის 40%-ს მესაკუთრეა ქართლოს დიასამიძე, 30% – ბესიკ ხოკერაშვილს, 15%-ანი წილები კი აკაკი შუბითიძესა და დავითი ჩხიტიანიძეს.
- „პრინცესს ბათუმი“ (აზარტული ბიზნესი) – მენარმეთა რეესტრის მიხედვით, კომპანია თურქეთის მოქალაქეებს ეკუთვნის. კერძოდ, 99%-ის მფლობელია ანიბალ ენის ოზქანი, 1% ღურმუშ იათმაზი.

შარშან საშუალო ხელფასი 1971 ლარამდე გაიზარდა

საქსტატის მონაცემებით, შარშან დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 204 ლარით – 1970.8 ლარამდე გაიზარდა. წლიური ზრდა ჯამში 11.5%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქსტატი საშუალო ხელფასს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით თვლის, რაც ნიშნავს, რომ შარშან რეალური საშუალო ხელფასი 1577 ლარი იყო.

2024 წელს წინა წელთან შედარებით ხელფასების ზრდა ყველა სექტორში დაფიქსირდა.

საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი შემდეგ დარგებში იყო:

- ინფორმაცია და კომუნიკაცია – 3 923 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2%-ით);
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა – 3 677.6 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 14%-ით);
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 2 823 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 12.6%-ით).

ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 166 ლარი შეადგინა, ხოლო კაცებში – 241 ლარი. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების საშუალო თვიური ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების საშუალო თვიურ ხელფასს.

რაც შეეხება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებს, მათი საშუალო თვიური ხელფასი 436 ლარით (20.6%) ნაკლები იყო არასახელმწიფო სექტორში დაქირავებულების საშუალო თვიურ ხელფასთან შედარებით. 2023 წელთან შედარებით სახელმწიფო სექტორში ხელფასი 13%-ით, ხოლო არასახელმწიფო სექტორში 11%-ით გაიზარდა და შესაბამისად 1 680 და 2 116 ლარი შეადგინა.

2024 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სამენარმეო (ბიზნესის) სექტორში 197.2 ლარით (11%) გაიზარდა და 2 024 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი ინფორმაცია და კომუნიკაციის (4 007 ლარი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1.2%-ით), ასევე პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (3 147 ლარი, წინა წელთან შედარებით გაზრდილია 12%-ით) დარგში ფიქსირდება.

2024 წელს არასამენარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 217 ლარით (13.2%) და 1 867 ლარს შეადგენს. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის სფეროში დასაქმებულებს.

რა ეტაპზეა საქართველოს SEPA-ში განწევრების საკითხი – მოლდოვა სისტემას შეუერთდა

2022 წლის 20 სექტემბერს საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და რეგიონში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ევრო გადახდების სივრცეში – SEPA-ში გაერთიანების განაცხადი შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად შესაძლოა საქართველო მზად იყოს ამ სისტემის ნაწილი გახდეს, მესამე წელი გადის, როცა ევროპული გადახდების საბჭოს, ჯერ საქართველოს წევრობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს.

საქართველოს განწევრების მიმდინარეობის შესახებ ცენტრალურ ბანკს დიდი ხანია არანაირი განცხადება ან ინფორმაცია აღარ გაუვრცელებია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნათია თურნავამ 11 ივნისს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ანგარიშის წარდგენისას თქვა, რომ საქართველოს SEPA-ში განწევრიანებისთვის მოთხოვნების ძირითადი ნაწილი შესრულებული აქვს.

ნათია თურნავამ SEPA-ში განწევრიანების საკითხზე მიმდინარე თვეშიც ისაუბრა, SWIFT-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფინანსურ კონფერენციაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს SEPA-ში განწევრიანება ახალ ფინანსურ პერსპექტივებს უხსნის.

საბოლოო გადაწყვეტილებას SEPA-ში ამა თუ იმ ქვეყნის განწევრების შესახებ, ევროპის საგადახდო საბჭო იღებს. „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძეს მიაჩნია, რომ საქართველოს მიღების საკითხს ქვეყნის ხელისუფლების ევროკავშირთან გართულებული პოლიტიკური ურთიერთობა აფერხებს. ის არ გამორიცხავს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას ეროვნული ბანკიც „ისე აღარ ინდომებდეს“.

„ტექნიკურად საქართველო რა თქმა უნდა, გაცილებით წინ არის და უფრო მომზადებული შეიძლება იყოს SEPA-ში განწევრებისთვის, ვიდრე მოლდოვა. ყველა პარამეტრში ვჯობნიდით ჩვენ წლების განმავლობაში მოლდოვას და უკრაინას, მაგრამ რა თქმა უნდა აქ გასათვალისწინებელია პოლიტიკური კონტექსტი. ერთი, რომ არ გამოვრიცხავ, რომ ეროვნული ბანკიც ისე აღარ ინდომებდეს ამ მიმართულებით, მით უმეტეს, რომ კარგა ხანია უკვე კომენტარის გაკეთებასაც ერიდებიან SEPA-სთან დაკავშირებით; და მეორე, რა თქმა უნდა ევროკომისიის რეკომენდაციას საჭირო ხომ? ამ მიმართულებით ახლა ქვეყანა, რომელიც დღე და ღამე ევროპულ დიპლომატებს ლანძღავს, ევროკავშირს

ლანძლავს და საბჭოთა კავშირს ადარებს, რა თქმა უნდა, მათ არ ექნებათ სურვილი, რომ ასეთი ქვეყანა მათ ნებისმიერ რაიმე სივრცეში იყოს. თან SEPA-ში განევრებით, ევროკავშირზე მეტ სარგებელს საქართველო იღებს ხომ?!...“, – აცხადებს გიორგი კეპულაძე.

SEPA ერთიანი ევრო გადახდის სისტემაა, რომელიც ევროპის მასშტაბით ევროს ელექტრონული გადახდების პროცესის ჰარმონიზებას ახდენს და აუქმებს ტექნიკურ, სამართლებრივ და საბაზრო ბარიერებს წევრი ქვეყნებისთვის. მომხმარებელს საშუალება აქვს ერთი და იმავე პრობემით ელექტრონულად გადაიხადონ ევროში, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებიან – თავიანთ ქვეყანაში თუ მის მიღმა. შესაბამისად, საჭირო აღარ არის SEPA-ს ქვეყნებთან გადარიცხვებისთვის საკორესპონდენტო ბანკის ანუ შუამავლის გამოყენება.

SEPA-ს გეოგრაფიულ არეალში ჩართვისთვის ქვეყანა ევროპული გადახდების საბჭოს რამდენიმე თემატურ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორის აპლიკანტმა უნდა დაამტკიცოს, რომ ქვეყანას, რომელსაც ის წარმოადგენს, ევროკავშირთან მჭიდრო ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობა აქვს.

SEPA დღეს ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოს, ევროპის ეკონომიკური ზონის 3 და ევროპის ეკონომიკური ზონის 6 არანევრ ქვეყანას აერთიანებს და 7 ოქტომბრიდან ამ სისტემის ნაწილია მოლდოვაც, რომელმაც საქართველოზე გაცილებით გვიან 2024 წელს მიმართა საბჭოს განევრების განაცხადით.

ევრობონდების რეფინანსირებისას განაკვეთი გაძვირდება

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი კაკაურიძე ამბობს, რომ 2026 წელს დაგეგმილი ევრობონდების რეფინანსირებისას განაკვეთის გაძვირებაა მოსალოდნელი. როგორც მან BMG-სთან განაცხადა, ეს გლობალურად არსებულ ვითარებას უკავშირდება.

2026 წელს საქართველო ევრობონდების გამოშვებით \$500 მილიონს ისესხებს და 2021 წელს გამოშვებულ ბონდს დაფარავს. საუბარია 2021 წელს გამოშვებული ევრობონდის რეფინანსირებაზე, რისთვისაც 2026 წლის ბიუჯეტში 1.37 მილიარდი ლარის საგარეო კრედიტის აღებაა გათვალისწინებული.

კაკაურიძემ პარლამენტში, კომიტეტზე ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ BMG-სთან მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტში სიახლე სწორედ ევრობონდების რეფინანსირებაა, რომელიც წლის დასაწყისში იგეგმება.

„ერთი სიახლე, რაც გვაქვს 2026 წლის ბიუჯეტში, განსხვავებით წინა წლების ბიუჯეტებისგან არის ევრობონდების რეფინანსირება. ჩვენ მომდევნო წლის დასაწყისში ვგეგმავთ, რომ ახალი ევრობონდების ემისია გავაკეთოთ და შესაბამისად მოხდეს 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირება“, – აცხადებს კაკაურიძე.

2021 წელს, 500 მლნ აშშ დოლარის 5-წლიანი ევრობონდების ემისიისას, კუპონის განაკვეთმა 2.75% შეადგინა. კაკაურიძის თქმით, მსოფლიო ბაზარზე განაკვეთები გაზრდილია და საქართველოსთვისაც სესხის გაძვირებაა მოსალოდნელი.

„განაკვეთის გაძვირება რა თქმა უნდა მოსალოდნელია, გამოდინარე იქიდან, რომ 2021 წელსთან შედარებით მსოფლიო ბაზარზე განაკვეთები გაზრდილია, როგორც Euribor-ის ნაწილში, ასევე ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ობლიგაციების ნაწილში. ეს რა თქმა უნდა იქონიებს გავლენას ევრობონდის გამოშვების დროს, თუმცა თვითონ რისკის ნაწილში, რაც არის, ანუ განსხვავება თუნდაც ფედერალური სარეზერვო სისტემის განაკვეთთან შედარებით, ამაში დიდი სხვაობა, ვფიქრობ, რომ არ იქნება“, – თქვა მინისტრის მოადგილემ.

მოგების, დღგ-სა და აქციზის გადასახადების 9 თვის გეგმა არ შესრულდა

9 თვის მონაცემებით, რამდენიმე ძირითადი გადასახადის შესრულება გეგმას ჩამორჩება. კერძოდ მოგების გადასახადში გეგმასთან ჩამორჩენა 211 მილიონი ლარია. ასევე გეგმას 101 მილიონი ლარით ჩამორჩება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) შესრულება, აქციზის გადასახადის შესრულება კი – 22 მილიონი ლარით. ასევე 6 მილიონი ლარით ჩამორჩება გეგმას იმპორტის გადასახადის შესრულებაც.

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი კაკაურიძის თანახმად, მოგების გადასახადის ნაწილში ჩამორჩენა ბანკების პროგნოზირებულზე ნაკლებ მოგებას უკავშირდება, დღგ-ის ნაწილში კი მინისტრის მოადგილე დანაკლისის მიზეზად იმპორტის ნაკლებ ზრდას ასახელებს.

„მთლიანობაში საგადასახადო გეგმასთან ჩამორჩენა არ გვაქვს ხოლმე ზოგადად, არც წელს არ გვაქვს ჩამორჩენა და დაგეგმილი მაჩვენებელი 100%-ზე მეტით არის შესრულებული, თუმცა გარკვეული სახეების მიხედვით არის განსხვავება. თითოეულ სახეს აქვს სხვადასხვა განმარტება“, – განაცხადა კაკაურიძემ. მისი თქმით, მოგების გადასახადის დანაკლისის მიზეზი ბანკების პროგნოზირებულზე ნაკლები მოგებაა; დღგ-ის ნაწილში ნაკლები შემოსავლის მიზეზი იმპორტის დაგეგმილთან შედარებით ნაკლები ზრდა და ასევე შემცირებული იმპორტის გამოც იმპორტის დღგ შემცირდა; რაც შეეხება აქციზიდან შემოსავლის დანაკლისს, კაკაურიძის თქმით, რადგან შარშან აქციზის განაკვეთები გაიზარდა თამბაქოზე, მოხდა გარკვეული მარაგების ფორმირება კომპანიების მიერ.

„წლის პირველ ნახევარში იყო იმპორტი უფრო ნაკლები, თუმცა წლის მეორე ნახევარში ვხედავთ, რომ დაახლოებით ყოველთვიურად 250 მილიონ ლარზე მეტია აქციზის ნაწილი, შესაბამისად, წლის ბოლომდე აქ რაიმე დანაკლისს არ ველოდებით“, – ამბობს კაკაურიძე.

9 თვეში მნიშვნელოვანი – 289 მილიონიანი გადაჭარბებით შესრულდა ბიუჯეტის „სხვა გადასახადების“ მუხლი, სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ბიუჯეტის საგადასახადო გეგმა 21 მილიონი ლარის გადაჭარბებით შესრულდა.

2026 წლის ბიუჯეტში საარბიტრაჟო დავების მიმართულებით 30 მილიონი ლარია გათვალისწინებული

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი კაკაურიძე ამბობს, რომ 2026 წლის ბიუჯეტში საარბიტრაჟო დავების მიმართულებით გადასახდელი თანხის სახით 30 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

როგორც მან განაცხადა, ანაზღაურებები თითოეული საქმიდან გამომდინარე, შეთანხმების შესაბამისად იქნება. ის ასევე აღნიშნავს, რომ ეს თანხები მთლიანად ერთი წლის ბიუჯეტის წნეხი არ იქნება.

„ამ ეტაპზე 30 მილიონი ლარია გათვალისწინებული მსგავსი მიმართულებით. ჩვენ რაც არ უნდა გვექონდეს გადასახდელი, ეს არ იქნება ერთიანი გადახდა და ეს არ იქნება, რომ ერთი წლის ბიუჯეტს დაანვეს სრულად მსგავსი ანაზღაურებები. ამიტომ, კონკრეტული ქეისის მიხედვით, რა შეთანხმებაც იქნება მეორე მხარესთან, იმის მიხედვით მოხდება ანაზღაურება“, – თქვა კაკაურიძემ.

2026 წლის ბიუჯეტს თანდართულ ფისკალური რისკების დოკუმენტში წერია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟებში 8 მიმდინარე დავის ფარგლებში სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა შეადგენს დაახლოებით 4,8 მლრდ აშშ დოლარს. რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული დასრულებული დავების სტატისტიკას, მიმდინარე 7 დავიდან 4 დავა დასრულდა სახელმწიფოს გამარჯვებით, ხოლო 3 დავაზე სახელმწიფოს დაეკისრა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

2025 წლის 21 აგვისტოს მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების გადაწყვეტის ცენტრმა (ICSID) საქართველოს აპელაცია არ დააკმაყოფილა Inter Rao-ს საარბიტრაჟო სარჩელთან დაკავშირებით და ძალაში დატოვა 2022 წლის 27 ოქტომბერს მიღებული განაჩენი, რომლითაც საქართველოს კომპანიის მიმართ 76 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. მაშინ საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ აპელაციის გზით ამ განაჩენის ანულორებას მიაღწევდა, თუმცა როგორც ირკვევა არბიტრაჟმა მთავრობის პოზიცია კიდევ ერთხელ არ გაიზიარა და ძალაში დატოვა პირვანდელი განაჩენი. მეტიც, თუკი 2022 წლის 27 ოქტომბერს მიღებული განაჩენი 76 მილიონი დოლარის კომპენსაციას ითვალისწინებდა, ამჟამად მისი ღირებულება გაზრდილია და უკვე 94 მილიონ დოლარსაც აღემატება, რადგანაც თავდაპირველად მიღებულ განაჩენში ეწერა რომ იქამდე, სანამ საქართველო განაჩენის აღსრულებას არ მოახდენდა, დავით დაკისრებულ კომპენსაციას ანუ 76 მილიონ დოლარს ზემოდან პროცენტის სახით SOFR+2% დაერიცხებოდა. რაც 2022, 2023, 2024 და 2025 წლების ჯამით დამატებით 18 მილიონ დოლარს აღწევს.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მსხვილი საარბიტრაჟო დავა საქართველომ გასული წლის ბოლოს წააგო. კომპანია Enka Renewables-მა საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟში 383.2 მილიონი დოლარი მოუგო, რაც საქართველომ გაასაჩივრა და ამჟამად საქმე აპელაციის ეტაპზეა.

როგორც „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე აუდიტის სამსახურის მოხსენებაშია აღნიშნული, 2024 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო \$3.3 მილიარდის საარბიტრაჟო დავებშია ჩართული.

სექტემბერში ექსპორტი 14%-ით, \$701 მილიონამდე გაიზარდა

საქსტატმა საგარეო ვაჭრობის ამსახველი წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, რომელთა მიხედვითაც გასული თვის განმავლობაში საქართველოს ექსპორტი წლიურად 87 მილიონი დოლარით, ანუ 14%-ით გაიზარდა და მან 701 მილიონი დოლარი შეადგინა.

მთლიანად, 2025 წლის 9 თვეში კი ექსპორტი 5.15 მილიარდი დოლარი იყო, რაც წლიურად 7.7%-ით არის გაზრდილი.

რაც შეეხება იმპორტს, სექტემბერში საქართველოში 1.44 მილიარდი დოლარის საქონელი შემოვიდა, რაც წლიურად 4 მილიონი დოლარით, ანუ 0.3%-ით არის შემცირებული.

მთლიანად 9 თვეში იმპორტი 13.4 მილიარდი დოლარი იყო, რაც წლიურად 9.7%-ით გაზრდილია.

ქუთაისის აეროპორტის გაფართოებისთვის სახელმწიფო 58,500 კვ.მ მიწის ექსპროპრიაციას გეგმავს

ეკონომიკის მინისტრმა მარიამ ქვრივიშვილმა მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს გამოცემული განკარგულებით, საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას ქუთაისის აეროპორტის გაფართოების პროექტის განხორციელებისთვის 58,500 კვადრატული მეტრის იძულების ნუსით გამოსყიდვის უფლება მისცა. ცნობისთვის, კომპანია ამჟამად 240 მილიონ ლარად ქუთაისის აეროპორტისთვის ახალ ასაფრენ-დასაფრენ ბილიკს აშენებს.

ექსპროპრიაციის შესახებ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ აეროპორტის გაფართოება ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტია, ხოლო „აეროპორტების გაერთიანებასა“ და კომპანია „ალმის“ შორის აეროპორტის მომიჯნავედ არსებულ მიწის ნებაყოფლობით ნასყიდობაზე შეთანხმება ვერ შედგა, ამიტომაც სახელმწიფო 58,551

კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთს იძულების წესით გამოისყიდის.

„აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ მომართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყების შუამდგომლობით და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება მოითხოვა“, – ნათქვამია ეკონომიკის მინისტრის განკარგულებაში.

ცნობისთვის, ქუთაისის აეროპორტის ახალი ზოლის მშენებლობა 2024 წლის ბოლოს დაიწყო. გასულ პროექტზე 50 მილიონი ლარი დაიხარჯა; 2025 წელს მასზე 70 მილიონი ლარია გათვალისწინებული, 2026-სა და 2027-ში კი 60-60 მილიონი ლარი. პროექტს სამშენებლო კომპანია „ანაგი“ აშენებს.

წელს საქართველომ \$165.6 მილიონის ღვინო გაყიდა

მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში საქართველომ 165.6 მლნ დოლარის ყურძნის ნატურალური ღვინოები გაიტანა ექსპორტზე, რაც წლის წრეში 15.8%-იანი კლებაა. ღვინო საქართველოს ადგილობრივ ექსპორტში მეორე უმსხვილესი სასაქონლო კატეგორიაა.

ღვინის ექსპორტის კლება ძირითადად რუსეთის ბაზართან არის კავშირში. 2025 წლის 8 თვეში, ღვინის ექსპორტში 103 მილიონი დოლარი, ანუ 62% რუსეთზე მოდიოდა. გასულ წელს რუსეთში აქციზის ზრდის ფონზე, წელს ამ მიმართულებით ღვინის ექსპორტი 24%-ით არის შემცირებული.

ღვინის 10 ძირითადი საექსპორტო ბაზარი ასე გამოიყურება:

- რუსეთი – \$103.3 მლნ;
- პოლონეთი – \$11.5 მლნ;
- უკრაინა – \$8.2 მლნ;
- ჩინეთი – \$6.5 მლნ;
- ყაზახეთი – \$5.9 მლნ;
- ბელარუსი – \$5.5 მლნ;
- აშშ – \$4.1 მლნ;
- გერმანია – \$3.7 მლნ;
- ლატვია – \$3.1 მლნ;
- ლიეტუვა – \$1.8 მლნ.

რაც შეეხება ღვინის უმსხვილეს ექსპორტიორებს, საქსტატის მონაცემებით TOP-10 ექსპორტიორი შემდეგი კომპანიებია (დალაგებული არაა რეიტინგის მიხედვით):

- სს ბადაგონი;
- სს თბილღვინო;
- სს თელიანი ველი;
- სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქარხანა;
- შპს ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი;
- შპს ასკანელი ძმები;
- შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია;
- შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა;
- შპს კახური ღვინის მარანი;
- შპს შალვინო.

2025 წლის 9 თვეში საქართველოში ტურისტული ვიზიტები 8%-ით გაიზარდა

2025 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და 4.3 მილიონს გადააჭარბა. ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

სტატისტიკის მიხედვით, 9 თვეში:

- საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა შეადგინა 6,109,755 – ზრდა წინა წელთან შედარებით +5.4%;
- საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა – 4,307,094 ვიზიტი – ზრდა +7.9%.

2025 წლის III კვარტლის (ივლისი-სექტემბერი) შედეგები ასეთია:

- 2,956,014 საერთაშორისო მოგზაური – წლიური ზრდა +6.6%;
- 2,036,731 საერთაშორისო ტურისტი – ზრდა წინა წელთან შედარებით +9%.


ამასთან, Galt & Taggart-ის შეფასებით, 2025 წლის სექტემბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები არ შეცვლილა და ისევ 470 მლნ დოლარი იყო. საინვესტიციო ბანკი წელს ტურიზმიდან ჯამში 4.5 მლრდ დოლარის შემოსავლებს ელოდება, ანუ დაახლოებით 100 მლნ დოლარით მეტი 2024 წლის მაჩვენებელზე.

ამ დროისთვის ეროვნულ ბანკს ტურიზმის შემოსავლების კუთხით მხოლოდ ორი კვარტლის მონაცემები აქვს გამოქვეყნებული, რომლის მიხედვითაც, ქვეყანას საერთაშორისო მოგზაურობიდან 1.9 მილიარდი დოლარის შემოსავალი აქვს მიღებული. 2024 წელთან შედარებით ზრდა თითქმის 4%-ია.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

პითხვა-პასუხი

პითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს ვასცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ მ კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.

(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კომპანია „ააფ ინტეგრითის“ დირექტორი ნიკოლოზ ედიბერიძე.

პითხვა: თუ ქართული კომპანია სესხს იღებს უცხოური არასაბანკო კომპანიისაგან, ვალდებულია თუ არა ამ სესხის მისაღებად (სესხის ოდენობა დიდია) აიღოს ნებართვა ან საქართველოს ეროვნული ბანკისგან, ან იუსტიციის სამინისტროსაგან, ან რომელიმე სხვა დაწესებულებისაგან? მაგალითად, ტაჯიკეთში, ასეთი ნებართვა მოითხოვება.

პასუხი: არც საქართველოს სამოქალაქო და არც საბანკო კანონმდებლობით, ასეთი ნებართვა არ მოითხოვება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ დაწესებულია მხოლოდ რამდენიმე სახის შეზღუდვა სესხებზე, რომლებიც განსაზღვრულია 625-ე მუხლით, მათ შორის, მისი მე-7 ნაწილით:

„7. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, 200 000 (ორასი ათას) ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხის გაცემის შედეგად მსესხებლის ჯამური ვალდებულებები ამავე გამსესხებლის მიმართ 200 000 (ორასი ათას) ლარს აღემატება. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლარით გაცემულ სესხად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული სესხი“.

შენიშვნა. სეპ-ის პრეზიდენტის 2025 წლის 21 ივლისის №176/04 ბრძანებით, სესხის გამცემი ორგანიზაციებისათვის ეს ზღვარი გაიზარდა 750 000 ლარამდე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქართულ ბანკს, სადაც თანხა უნდა ჩაირიცხოს, შეიძლება თავისი შიდა რეგულაციებით დაწესებული ჰქონდეს დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნები ამ სესხთან დაკავშირებით (მაგალითად, მოითხოვოს სესხის წერილობითი ხელშეკრულება).

კითხვა: ჩვენს კომპანიას მიღებული აქვს ლიზინგით აპარატურა. ვალდებული ვარ დაფაროვოთ ცვეთა?

პასუხი: დიახ, უნდა დაარიცხოთ. ლიზინგით ანუ ფინანსური იჯარით მიღებული აპარატურა წარმოადგენს კომპანიის ძირითად საშუალებას (სრული ფასს-ების მიხედვით – აქტივის გამოყენების უფლებას). ბალანსზე მისი აყვანის/აღრიცხვის შემდეგ, მას უნდა დაერიცხოს ცვეთა ჩვეულებრივი წესით, იმ თვიდან, როდესაც ექსპლუატაციაში შევიდა. მაგალითად, მსს ფასს-ის 20.12 მუხლში მითითებულია: „ფინანსური იჯარის პირობით აღებულ აქტივს მოიჯარე ცვეთა უნდა დაარიცხოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისი განყოფილების მიხედვით, რომელიც შეეხება ამ ტიპის აქტივს. მაგალითად, მე-17 განყოფილება – „ძირითადი საშუალებები“, მე-18 განყოფილება – „არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა“, ან მე-19 განყოფილება – „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“.

ანალოგიურად, მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის 10.7 მუხლში აღნიშნულია:

„10.7. საიჯარო აქტივის შემდგომი შეფასება – მოიჯარე იჯარით აღებულ აქტივს ცვეთა უნდა დაარიცხოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისი განყოფილების მიხედვით“ (როგორც წესი, ეს არის მე-7 განყოფილება „გრძელვადიანი აქტივები“).

იგივე მიდგომაა სრულ ფასს-ებშიც: ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ „31. მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებაზე ცვეთის დასაბუთებლად უნდა გამოიყენოს ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“, წინამდებარე სტანდარტის 32-ე პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით“.

კითხვა: 2019 წლიდან ჩვენს შპს-ში წილებს ფლობდნენ ბიძა (55%) და მისი ძმისშვილი (45%). 2025 წლის ივნისში წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებით, ბიძის კუთვნილი წილი სრულად გადაფორმდა სხვა ძმისშვილზე. წილის უსასყიდლოდ დათმობა დასაბეგრი ოპერაციაა ხომ არ არის ფორმისთვის?

პასუხი: შპს-ის პარტნიორებს შორის მომხდარი წილების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები (როდესაც ისინი გარიგებაში შედიან უშუალოდ ერთმანეთთან და არა შპს-ის „გავლით“ ანუ მისი თანხების გამოყენებით) საერთოდ არ წარმოადგენს შპს-ის ოპერაციას. ის არ აისახება ფორმის ბუღალტერიაში.

ფიზიკური პირის მიერ წილის გასხვისება (გაყიდვა, გაჩუქება) დღე-ით არ იბეგრება და არც საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება, რადგან ამ წილს მისი მესაკუთრე 2 წელზე მეტი ვადით ფლობდა. რაც შეეხება წილის მიღები ფიზიკური პირის შესაძლო დაბეგვრას, აღნიშნული ოპერაცია არც მისთვის არის დასაბეგრი, რადგან ეს 55% წილი ბიძამ აჩუქა ძმისშვილს, რომელიც არის მისი II რიგის მემკვიდრე, სსკ 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად კი:

„1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:...

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება“.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გბ“ პუნქტის მიხედვით:

„გ) ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II, III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები:...

გ.ბ) II რიგის მემკვიდრეებად – და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები“.

კითხვა: შპს-ის ბალანსზე გვაქვს ბორბლებიანი ტრაქტორი. შევიძინეთ საბურავების მთლიანი კომპლექტაცია და გამოფუცვალეთ მას 4-ვე საბურავი, რისი საერთო ღირებულება 5000 ლარამდეა. ვფიქრობ, 21*-ანგარიშებს მივაკუთვნო ეს თანხა. თქვენ რას გვირჩევთ? შპს მუშაობს მსს ფასს-ის მიხედვით.

პასუხი: საბურავები ავტომანქანისათვის არის ექსპლუატაციის პროცესში ბუნებრივად ცვეთადი ნაწილი, რომელიც რეგულარულად (ა/მ-ის განარბენიდან გამომდინარე) საჭიროებს შეცვლას. მსს ფასს პირდაპირ არ

იძლევა დასმულ საკითხზე განმარტებას, მის 17.5 მუხლში წერია:

„17.5. ისეთი ელემენტები, როგორცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი“.

სათადარიგო და დამხმარე ნაწილები უმეტეს შემთხვევაში აღიარდება როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და მათი მოხმარებისას ასახვა (აღიარება) ხდება საწარმოს მოგება-ზარალში. ჩვენ სწორედ ასეთ რეკომენდაციას ვიძლევი, რომ აღნიშნული საბურავები (თითოეული საბურავის თვითღირებულება 1250 ლარია, რაც არ არის დიდი თანხა) მიეკუთვნოს მიმდინარე პერიოდის ხარჯებს, ანუ არ აღიარდეს ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში.

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა მოცემული სრულ ფასს-ებშიც (შევნიშნავთ, რომ მსს ფასს მე-10 განყოფილების 10.6 პუნქტის თანახმად, თუ მსს ფასს-ში არაა მოცემული ნათელი მითითებები, საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს ფასს-ების სრული ვერსიის მოთხოვნები და მითითებები). კერძოდ, ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ მე-12 მუხლის თანახმად, ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების (აქ სიტყვა „ყოველდღიური“ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს შესაბამისი მომსახურება მართლაც ყოველდღე გაიწვევას. იგულისხმება, რომ მომსახურების გაწვევა ხდება რეგულარულად) დანახარჯები, რომელშიც შეიძლება შედიოდეს მცირეფასიანი ნაწილების ღირებულებაც, აისახება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯები – ძირითადი საშუალებების საქესპლუატაციო ხარჯები.

პითხვა: A კომპანიამ 6 წლის ვადით იჯარით გადასცა B კომპანიას ფართი.

A კომპანიამ B კომპანიისაგან გარანტიის სახით მოითხოვა 50000 \$, რომელსაც უკან დაუბრუნებს მას 6 წლის შემდგომ, თუ B კომპანია არ დაარღვევს გადახდის პირობებს და დროზე ადრე არ გავა ფართიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საგარანტიო თანხა დარჩება A კომპანიის საკუთრებაში.

იჯარის ხელშეკრულებაშიც დევს ეს პუნქტი და B კომპანია თანახმაა ამ პირობაზე.

უნდა დაიბეგროს თუ არა ეს საგარანტიო თანხა დღგ-ით? და თუ დაიბეგრება, მაშინ როგორ დაგებრუნებთ ამ დღგ-ს, მოიჯარისთვის თანხის (50000 \$-ის) დაბრუნების შემდეგ?

პასუხი: გარანტიის თანხა დღგ-ით არ უნდა დაიბეგროს. როგორც კითხვის პირობებიდან ჩანს, იჯარის ხელშეკრულებაში A კომპანიის მიერ ჩადებულია პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა B კომპანიისგან, თუ ის დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს (მაგალითად, არ გადაიხდის დროულად, ან ნაადრევად ცალმხრივად შეწყვეტს იჯარას), ხოლო ეს 50000 \$ არის სწორედ ამ პირგასამტეხლოს უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა. ეს საგარანტიო თანხა არ არის საქონლის/მომსახურების მიწოდების საზღაური და არ იბეგრება დღგ-ით. ვინაიდან პირგასამტეხლოს თანხები ასევე არ იბეგრება დღგ-ით, ამიტომ არც იმის საგადასახადო რისკი არსებობს, რომ ზემოაღნიშნული საგარანტიო თანხა დღგ-ით დაბეგრის მიზნით პირგასამტეხლოდ გადაკვალიფიცირდეს.

დღგ-ით დაბეგრის რისკი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ იჯარის მსვლელობის პროცესში საგარანტიო თანხა მიმართული (ჩათვლილი) იქნება იჯარის საფასურის ანაზღაურებაში. ამან შეიძლება უბიძგოს საგადასახადო ორგანოს საგარანტიო თანხის იჯარის ავანსად გადაკვალიფიცირებაში დღგ-ით დაბეგრის მიზნებისათვის. სხვა შემთხვევაში, ამგვარი გადაკვალიფიცირება მოსალოდნელი არ არის, კონკრეტული მოცემულობებიდან გამომდინარე.

თუმცა, აქ არის ასეთი საყურადღებო საგადასახადო ნიუანსი: მართალია, გარანტია არ იბეგრება დღგ-ით, მაგრამ რადგან ასეთი გადახდა მოთხოვნილია იჯარის ხელშეკრულებით, ხოლო გარანტიის გადახდილი თანხა A კომპანიის თავისუფალ განკარგვაშია, გამოდის, რომ გარდა თავად იჯარის საფასურისა, მეიჯარე მოიჯარისაგან ითხოვს და ფაქტობრივად იღებს 6-წლიან უპროცენტო სესხს. აღნიშნულის გამო, საგადასახადო ორგანომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ ამ სესხით სარგებლობის საბაზრო პროცენტი შინაარსობრივად წარმოადგენს იჯარის დამატებით საზღაურს და მისი გაანგარიშებითი თანხა ყოველთვიურად ჩართული უნდა იქნეს დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში, როგორც დამატებითი საიჯარო გადასახდელი.

პითხვა: ჩვენმა კომპანიამ ვებგვერდის შექმნისთვის რუსულ კომპანიას გადაუხადა რუბლები. კონტრაქტი არ გვაქვს, საიტი დამზადებულია რაღაც საქონლის გაყიდვებისთვის.

ეს გადახდა არარეზიდენტის დღგ-ით და საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან უნდა დაგებგროთ?

პასუხი: საქართველოს კომპანიის ინდივიდუალური დაკვეთით ვებგვერდის დამზადება რუსული კომპანიის მიერ (რომელსაც არ აქვს ფიქსირებული დაწესებულება საქართველოში) დღგ-ით დაბეგრის მიზნებისათვის წარმოადგენს საქართველოში გაწეულ მომსახურებას, სსკ 162¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის უნდა დაიბეგროს საშემოსავლო დასრულების თვეში (ან უფრო ადრე, თუ არარეზიდენტი

კომპანიისთვის თანხები გადახდილია ავანსის სახით) უკუდაბეგვრის დღე-ით, სსკ 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად.

არარეზიდენტის სამემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა შევავსოთ, რა სახის გადახდასთან გვაქვს საქმე. როგორც დასმული კითხვიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რუსულმა კომპანიამ საქართველოს კომპანიის დაკვეთით დაამზადა კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფა (ვებგვერდი), ანუ შეასრულა დამკვეთის დავალება, რის შედეგადაც შეიქმნა ამ დამკვეთის კუთვნილი პროდუქტი. ასეთ შემთხვევაში, ეს შემოსავალი საგადასახადო მიზნით არ აკმაყოფილებს როიალტის განმარტებას (აქ შევნიშნავთ, რომ როიალტი მუდამ არის ცალკე თავად განმარტებული „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმებებში, რომლებიც უფრო მაღლა მდგომი დოკუმენტებია, ვიდრე საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მაგრამ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის წლების წინ გაფორმებული ასეთი ხელშეკრულება არ არის სამართლებრივად მოქმედი ანუ ძალაში შესული), რომელიც მოცემულია სსკ მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტში. ამიტომ ამ მომსახურებისთვის გადახდილი საზღაური არ ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად და არ დაიბეგრება გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის სამემოსავლო გადასახადით (მიუხედავად იმისა, რომ საზღაურს იხდის საქართველოს რეზიდენტი კომპანია). ეს გამოდინარეობს იქიდან, რომ ამ მომსახურებას არ ესადაგება არც სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.თ“ პუნქტი: „მომსახურების გამწვევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწვევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწვევის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწვევა საქართველოში გასწია მომსახურება“; და არც ამ მუხლის რომელიმე სხვა პუნქტი.

კითხვა: შპს-ის საწესდებო კაპიტალის დარეგისტრირება სამეწარმეო რეესტრში საგადასახადოა თუ არა?

პასუხი: ამჟამად მოქმედი საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ არ შეიცავს საწესდებო კაპიტალის ცნებას. მისი შემცვლელი ტერმინია: განთავსებული კაპიტალი, რომელიც განმარტებულია მის 28-ე მუხლში:

„მუხლი 28. სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცნება

სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა. განთავსებული კაპიტალი უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამის ტოლი, ხოლო თუ სამეწარმეო საზოგადოებას განთავსებული აქვს აგრეთვე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი უნდა აღემატებოდეს განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს. თუ სამეწარმეო საზოგადოებას (გარდა საქციო საზოგადოებისა) განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით“.

ამ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია:

„5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ წილების ოდენობას, რომლებიც გასცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა ამ სამეწარმეო საზოგადოებას საზღაური (განთავსებული წილი), აგრეთვე კაპიტალში პარტნიორთა წილობრივ მონაწილეობას. ისინი გამოხატული უნდა იყოს პროცენტებით და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 100 პროცენტს;

ბ) არსებობის შემთხვევაში – დაფუძნების მომენტისთვის კაპიტალის მაქსიმალურ ოდენობას, რომლის ფარგლებშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია მომავალში მიიღოს წილების განთავსების შესახებ გადაწყვეტილება (ნებადართული კაპიტალი);

გ) არსებობის შემთხვევაში – დაფუძნების მომენტისთვის გამოშვებული წილების ოდენობას, აგრეთვე ინფორმაციას მათი განთავსების შემთხვევაში კაპიტალში პარტნიორთა არსებული წილებისა და პროცენტული მონაწილეობის ხელახალი გადანაწილების თაობაზე;

დ) არსებობის შემთხვევაში – წილების ნომინალურ ღირებულებას“.

ამავე კანონის 134-ე მუხლის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალის“ თანახმად:

„1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს განთავსებული კაპიტალი.

2. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების მქონე წილები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს ნომინალური ღირებულების მქონე წილების ჯამს. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას განთავსებული აქვს როგორც ნომინალური ღირებულის

მქონე წილები, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა აღემატება ნომინალური ღირებულების მქონე წილების ჯამს. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალი ეროვნულ ვალუტაში უნდა გამოისახოს.

4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალის თავდაპირველი ოდენობა განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით. განთავსებული კაპიტალის ოდენობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას პარტნიორები იღებენ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი: ზოგადად, შპს-ს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს განთავსებული კაპიტალი, მაგრამ თუ პარტნიორთა წილების ნომინალური ღირებულებები განსაზღვრულია, მაშინ მას აქვს განთავსებული კაპიტალი, რომელიც ამ წილების ნომინალური ღირებულებების ჯამის ტოლია, და ეს წარმოადგენს პარტნიორთა შეთანხმების საგანს.

ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლში „რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია“ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „1. ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს“, სრულიად აშკარაა, რომ თუ შპს-ს აქვს განთავსებული კაპიტალი, მისი თავდაპირველი და შემდგომი (ცვლილებების შემდეგ, თუ ცვლილება მოხდა) სიდიდეები ასახული უნდა იყოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

ამ ფონზე, საკვირველია, რომ ზოგიერთი ამტკიცებს (თუმცა გაუგებარია რის საფუძველზე), რომ თითქოს შპს-ისთვის განთავსებული კაპიტალის (როცა ის აქვს შპს-ს) რეგისტრაცია რეესტრში არ არის სავალდებულო. ისინი რეესტრში, შპს-ის სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამის გრაფაში არეგისტრირებენ: „განთავსებული კაპიტალი – არ არის განსაზღვრული“, რაც შეუსაბამოა კანონთან, რადგან ეს ფაქტობრივად იგივეა, რომ განთავსებული კაპიტალი 0-ის ტოლად არის გამოცხადებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადად, შპს-ს შეუძლია ჰქონდეს ნულოვანი განთავსებული კაპიტალი, მაგრამ როცა განთავსებული კაპიტალი ნულის ტოლი არ არის და რეესტრში კი რეგისტრირებულია „განთავსებული კაპიტალი – არ არის განსაზღვრული“, ეს არასწორია!

ამ კანონის მე-13 მუხლის თანახმად:

„6. მეწარმის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია ამ კანონით გათვალისწინებული გამოსაქვეყნებელი მონაცემების რეესტრისთვის მიწოდებისთვის. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით“.

შესაბამისი პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177¹⁶ მუხლით:

„1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე გამოსაქვეყნებლად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი მონაცემების მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის გაფრთხილებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილებით განსაზღვრული მოთხოვნის გაფრთხილებიდან 1 თვის განმავლობაში შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება –

გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

3. ჯარიმის გადახდა შესაბამის სუბიექტს არ ათავისუფლებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულებისგან. ერთიან ელექტრონულ პორტალზე ქვეყნდება აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

4. სამეწარმეო საზოგადოების, საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის უფლებამოსილების შეწყვეტა პირს არ ათავისუფლებს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან.

5. უფლებამოსილი პირის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ფაქტის დადგენის წესი დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით“.

პიიის ვა: სამედიცინო საერთაშორისო ჰოლდინგში შემავალი ფირმების მედიკამენტებს საქართველოში უფასოდ გარეგისტრირებთ ჩვენ (ამ ჰოლდინგში შემავალი ერთ-ერთი ფირმის ფილიალი საქართველოში),

რაზეც ვინდით მოგების გადასახადს. სარეგისტრაციო მომსახურებას გვიწევს რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელსაც ყოველთვიურად ვუნდით მომსახურების საფასურს, რასაც ვბეგრავთ საშემოსავლო გადასახადით.

თუ მედიკამენტების რეგისტრაციის მომსახურებაზე (6110 ანგარიშზე გატარებით) ვინდით მოგების გადასახადს, მაშინ ფიზიკური პირი რომ გვემსახურება რეგისტრაციისთვის, ის ხარჯიც იგივე პრინციპით ხომ არ უნდა გატარდეს და დაიბეგროს მოგების გადასახადით?

პასუხი: როგორც ცნობილია, სსკ 98³ მუხლის მიხედვით, უსასყიდლოდ გაწეული მომსახურება, თუ ის გაწეულია არარეზიდენტებისათვის, ა(ა)იპ-ებისათვის და ფიზიკური პირებისთვის (ასევე, იმ კერძო სამართლის იმ რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელით“), იბეგრება მოგების გადასახადით. სწორედ ამიტომ ბეგრავთ თქვენ მოგების გადასახადით მედიკამენტების რეგისტრაციის მომსახურებას, რომელსაც უფასოდ უწევთ აღნიშნულ არარეზიდენტ კომპანიებს (გარდა საკუთარ სათაო ოფისს). დასაბეგრი თანხა ასეთ შემთხვევაში განისაზღვრება სსკ 97-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად:

„7. ამ კოდექსის 98¹-98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადასახადების/განაკვეთების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მწოდებელი საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით, ხოლო თუ მწოდებელი საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი დამატებული ღირებულების გადასახადს მოიცავს – საბაზრო ფასით, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე“.

მოცემულ შემთხვევაში, მომსახურების მასშტაბის სიმცირიდან და ზუსტი ანალოგების არარსებობიდან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, თუ რა არის ამ მომსახურების საბაზრო ფასი (რა კომპონენტები უნდა იქნეს მასში გათვალისწინებული), თუმცა დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ფასი არ უნდა იყოს უფრო ნაკლები თქვენ მიერ ამ მომსახურების შესრულებისთვის გაწეული პირდაპირი ხარჯებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ამ ფიზიკურ პირს თქვენ ქირაობთ მედიკამენტების სარეგისტრაციო მომსახურების გასაწევად, მაშინ მისი დაქირავების დანახარჯები (ხელფასი და 2% სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანი, თუ ის დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეა) უნდა დაემატოს მოგების გადასახადით დასაბეგრ ბაზას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფიზიკური პირი, თავის მხრივ, იბეგრება საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან.

კითხვა: ძირითად საშუალებას (შენიშნავს) ვარიცხავთ ფინანსურ ცვეთას. მას შემდეგ, რაც მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულება გაუტოლდა 100000 ლარს, 2017 წლიდან ვარიცხავთ 2500 ლარს (40 წელი) წრფივი მეთოდით, რათა არ მოხდეს შემოსავლებზე წელიწადში დაახლოებით 30000 ლარით ხარჯების გადაძვება. შემოსავლების აბსოლუტური უმეტესობა გაიცემა ხელფასად. გადავწყვიტეთ, ავაფასოთ შენობა. შეგვიძლია თუ არა ფინანსური ცვეთა გაგზარდოთ და როგორ? თუ შესაძლებელია მოგვაწოდოთ რეკომენდაცია, იგივე პრინციპით (40 წელი) ხომ არა, ან ხომ არ შეგვიძლია გადავიდეთ საგადასახადო ცვეთის დარიცხვაზე ნარჩენ ღირებულებაზე ცვეთის დარიცხვის გამოყენებით?

პასუხი: ძირითადი საშუალების ცვეთის მეთოდი და სასარგებლო სამსახურის ვადა (რაზეც არის დამოკიდებული ცვეთის სიდიდე) წარმოადგენს საწარმოს გადასაწყვეტ საკითხს, ანუ მისი სააღრიცხვო შეფასებაა, რომელიც შეიძლება გადაინიშნოს პერიოდულად. შესაბამისად, ზოგადად თუ ვიტყვით, საწარმოს უფლება ჰქონდა მოეხდინა ხელახალი სააღრიცხვო შეფასება და თუ იმ დროს, როდესაც ამ ძირითადი საშუალების (შენიშნის) ნარჩენი ღირებულება (აქ ძირითადი საშუალების ნარჩენ ღირებულებაში იგულისხმება თვითღირებულება მინუს ცვეთა) 100000 ლარი გახდა, მისი ცვეთა გაეგრძელებინა ამ თანხიდან წრფივი მეთოდით იმდენი ხნის განმავლობაში (ამ შემთხვევაში – 40 წელი), რა ვადითაც, მისი გონივრული განსჯით, ის კვლავ იქნებოდა ექსპლუატაციაში.

რაც შეეხება ქონების აფასებას, ამის უფლება საწარმოს აქვს მაშინ, თუ ის ძირითადი საშუალებების აღრიცხვის გადაფასების მოდელზეა (ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი თუ გადაფასების მოდელი, ეს არის საწარმოს არჩევანი ანუ მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია). თუ თვითღირებულების მეთოდზეა, მაშინ მას ამის უფლება არ აქვს (არსებობს გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც საწარმო პირველად გადადის მსს ფასს-ზე ან სრულ ფასს-ზე, თუმცა ეს ალბათ არ არის მოცემული სიტუაციის შესაბამისი). გადაფასების მოდელის გამოყენების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ახალი (გადაფასებული) საბალანსო ღირებულება უნდა იყოს მისი სამართლიანი ღირებულება და კომპანიის მოტივაციასთან, თუ რამდენად უნდა მას ცვეთის თანხის გაზრდა, არ არის შემხებლობაში.

ე.წ. „საგადასახადო ცვეთის“ (სსკ III-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული) მეთოდი ფინანსურ აღრიცხვაში გამოსაყენებლად მიუღებელია, თუმცა შეგიძლიათ გამოიყენოთ ცვეთის დარიცხვის კლებად ნაშთთა მეთოდი (რომელიც მას წააგავს), რომლის შესახებ აღნიშნულია მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების 17.22 და ბასს 16-ის 62-ე მუხლებში.

პიიხპა: ვართ დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი სამშენებლო კომპანია (შპს). კომპანია ჩართულია პროგრამაში „ქალაქი ბარაკების გარეშე“. კომპანიამ 2022 წელს დაიწყო მოლაპარაკება მიწის ერთ-ერთ საკადასტრო კოდზე, სადაც განთავსებულია ბარაკები და რომლებშიც ცხოვრობდა 30 ე.წ. მოსახლე (ერთ საკადასტრო კოდზე). 2023 წლის დეკემბრის თვიდან 2024 წლის ივლისის თვის ჩათვლით პერიოდში კომპანიას ყველა მოსახლემ გაუფორმა თავისი წილი საკუთრებაში საჯარო რეესტრში. შესაბამისად აღნიშნულ მოსახლეებთან აღნიშნულ პერიოდში გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობისა და სანაცვლო ქონების გადაცემის შესახებ“ (ე.წ. ბარტერის) ხელშეკრულებები და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. აღნიშნულ ბარტერის ხელშეკრულებებში არის ასეთი პუნქტები:

1) მხარეები ვთანხმდებიან, რომ კომპანიის მიერ ნასყიდობის საგანზე საცხოვრებელი კორპუსის აშენებამდე, მისი საცხოვრებელ პირობებამდე მიყვანამდე და მოსახლისთვის გადმოცემამდე, მოსახლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ფართი რჩება ამ მოსახლის სარგებლობაში და ის თავისუფლად იცხოვრებს აღნიშნულ ფართში;

2) მხარეები ვთანხმდებიან, რომ კომპანია ყოველგვარი თანხის გადახდის გარეშე სრულად უზრუნველყოფს მოსახლის სამშენებლო მასალების სრულად ატანას ახალაშენებულ გადმოსაცემ ბინებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისთვის;

3) მხარეები ვთანხმდებიან, რომ კომპანიის მიერ ახალაშენებული საცხოვრებელი სახლის საცხოვრებელ პირობებამდე მიყვანისთანავე მოსახლეს საკუთრების უფლებით გაუფორმდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართები, რა დროსაც მოსახლე გალდებულია თავისუფალ მდგომარეობაში ჩააბაროს მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებები კომპანიას. მოსახლეს უფლება აქვს უძრავ ქონებებს მოხსნას ყველა სახის მოძრავი ნივთები და წაიღოს (მათ შორის კარები, ფანჯრები, სახურავი, ხის ყველა სახის მასალა და „ბაღკები“).

აღნიშნულ პუნქტებთან მიმართებაში, რამე საგადასახადო რისკი ხომ არ წარმოექმნება სამშენებლო კომპანიას?

პასუხი: 1)-2) დასმული კითხვის ამ ნაწილში მითითებულ მომსახურებებს ჩვენ არ განვიხილავთ კომპანიის მხრიდან უსასყიდლოდ გაწეულ/გასაწევ მომსახურებად (რასაც შეიძლება დასაბეგრი ბაზა წარმოემთა), არამედ ვთვლით, რომ ეს არის მხარეთა შორის გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობისა და სანაცვლო ქონების გადაცემის შესახებ“ (ე.წ. ბარტერის) ხელშეკრულებების ანუ ბარტერული გარიგების შემადგენელი ნაწილი. ამ ხელშეკრულებებში აღნიშნული ეს მომსახურებები: „საცხოვრებელი კორპუსის აშენებამდე, მისი საცხოვრებელ პირობებამდე მიყვანამდე და მოსახლეზე გადმოცემამდე, მოსახლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ფართით სარგებლობა/ცხოვრება“ და „მოსახლის სამშენებლო მასალების სრულად ატანა ახალაშენებულ გადმოსაცემ ბინებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისთვის“ არ წარმოადგენს ისეთ მომსახურებას, რომლებიც ბარტერული გარიგების მიღმა უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, კომპანიას არ ევალება მათი ცალკე შეფასება მოგების გადასახადით ან/და დღგ-ის დაბეგვრის მიზნით. ამ მომსახურებების გაწევა არის კომპანიის ვალდებულება, რომელიც მას დაეკისრა ბარტერის ხელშეკრულებით და რომლის საფასური მეორე მხარეს (ანუ, მოსახლე ფიზიკურ პირებს), მისაღები ახალაშენებული საცხოვრებელი კორპუსის ბინების საფასურთან ერთად, უკვე სრულად გადახდილი აქვთ თავიანთი ფართების კომპანიის საკუთრებაში გადაცემის გზით. კომპანიას რამე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება და საგადასახადო რისკებს ვერ ვხედავთ.

თუმცა, არის ერთი ნიუანსი, რომელზეც გვსურს ყურადღება გავამახვილოთ: თუ მოსახლემ თავისი კუთვნილი ფართი სამშენებლო კომპანიას გადაუფორმა 2024 წლის 1 იანვრამდე (როცა ბარტერული გარიგებების დროს არაფულადი მიწოდებიდან წარმოშობილი ავანსი არ ითვლებოდა დღგ-ით დასაბეგრი ობიექტად, რაც შეიცვალა 2024 წლის 1 იანვრიდან), მაშინ კითხვის პირველ ნაწილში გაწეული მომსახურების (ამ ფართში თავისუფლად ცხოვრების უფლება) შემთხვევაში მისი საბაზრო ფასი დასაბეგრია დღგ-ით განცალკევებით, რაც შემდგომ გათვალისწინებული იქნება სამშენებლო კომპანიის მიერ ამ მოსახლისთვის ახალი საცხოვრებელი ფართის საბოლოო მიწოდების დღგ-ით დაბეგვრისას.

3) ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც კითხვის მოცემულობიდან ვასკენით, მხარეთა შორის გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობისა და სანაცვლო ქონების გადაცემის შესახებ“ (ე.წ. ბარტერის) ხელშეკრულებები მოიცავდა შეთანხმებას მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით და მოძრავ ქონებაზე არ ვრცელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოძრავი ქონება ამ ფიზიკურ პირებს არც გაუსხვისებიათ და თუ ისინი იმ ქონებას წაიღებენ თან, ეს მათ საკუთრებაში დარჩენილი ქონების წაღებას ნიშნავს. ეს ბუნებრივია და ცხადია, ამის გამო რამე საგადასახადო რისკი არ წარმოიშობა.

რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

რუბრიკის სპონსორები:



www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში



საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის / თბილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბავი

საზღვარგარეთის ამბავი - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახსრებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

„მუზიკობიანი“ ნეპალი - კიდევ ერთი წითელი ალამი პლანეტაზე

დაუსჯელობით გათამამებულ ელიტას ზუმერთა თაობა აუჯანყდა

პლანეტის ათიდან 8 უმაღლეს წერტილამდე მისასვლელი უმოკლესი გზით ცნობილ ქვეყანას სექტემბრის დასაწყისში შიდა არეულობათა ტალღამ გადაუარა. 30-მილიონიანი ნეპალის ახალგაზრდა, ე.წ. Gen Z თაობამ, რომელსაც „ზუმერებსაც“ უწოდებენ, სოციალური ქსელების აკრძალვის მცდელობა გააპროტესტა და სამთავრობო ელიტის წაღვევა გადაწყვიტა. მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია - ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე მთავრობას უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. ადგილობრივ ექსპერტთა მტკიცებით, დროებითმა მთავრობამ პარლამენტის დათხოვნასთან ერთად, ნეპალის კონსტიტუციის რამდენიმე პრობლემური მუხლის შეცვლაც უნდა უზრუნველყოს.

ხელისუფლების მიერ გამოცხადებული საბოლოო მონაცემებით, ე.წ. ზუმერთა რეეოლუციისას 72 ადამიანი დაიღუპა. მთავრობის მდივნის ეკნარაიან არიალის თქმით, მათგან 59 დემონსტრანტი, 10 ციხეებიდან გამოქცეული პატიმარი, 3 კი პოლიციელი გახლავთ. გამოცემა Online Khabar არიალის სხვა ინფორმაციასაც ავრცელებს: „შეტაკებებისას 134 მომიტინგე და 57 პოლიციელი დაიჭრა“.

განსაკუთრებული რეზონანსი ახლავს პატიმართა მასობრივ გაქცევას: ოფიციალური ცნობით ციხეებს თავი 13,5 ათასმა ტუსაღმა დააღწია, რომელთაგან 12 ათასზე მეტი ჯერ კიდევ ძებნაშია. მათი უმეტესობა ინდოეთის საზღვრის გადალახვით ცდილობს სამშვიდობოს დარჩენას.

როგორ აინთო ცეცხლი?

ნეპალის პრემიერ-მინისტრი ხადგა პრასად შარმა ოლი (Khadga Prasad Sharma Oli), ჩინეთში გამართული შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (Shanghai Cooperation Organisation, SCO) წევრი ქვეყნების მორიგი შეხვედრიდან 2 სექტემბერს დაბრუნდა. ქვეყნის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იქ ერთმანეთის მიყოლებით პირისპირ შეხვდა მასპინძელ სი ძინპინს და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. SCO-ს რევით 25-ე სამიტის მთავარი თემა იყო „საერთაშორისო ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება“.

4 სექტემბერს ნეპალის მთავრობამ გამოსცა მთელი

რიგი სოციალური ქსელების (YouTube, X, Reddit, LinkedIn, WhatsApp, Facebook, Instagram) და საიტების ბლოკირების განკარგულება. მიზეზი - ისინი არ დარეგისტრირდნენ აგვისტოს ბოლოს გამოქვეყნებული ნეპალის კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი წესების შესაბამისად.

კრიტიკოსთა რწმუნებით, მთავრობის „დემარში“ უფრო გამოსატყვის თავისუფლებაზე თავდასხმად, განსხვავებულ აზრზე ცენზურის დაწესების მცდელობად იქნა აღქმული. ზემოთ ჩამოთვლილ სოცქსელებში კარგა ხანია ვრცელდებოდა ფოტო და ვიდეომასალა, რომლებიც ქვეყნის პოლიტელიტის შვილების მდიდრულ, თავაშვებულ ცხოვრებას ასახავდა. ყველაფერს თან ერთოდა ჰეშთეგი #nepokids და იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა „წარუმატებელი ზუმერული“ თაობის აბსოლუტურ უმრავლესობაში. ქუჩებში გამოსული არასამართლებრივი ნეპოტიზმით აღშფოთებული ახალგაზრდები არ მალავდნენ უსამართლობის უამრავი ფაქტებით უკმაყოფილებას.

„გვინდა ნეპალში კორუფცია დასრულდეს. ქვეყნის ლიდერები არჩვენებამდე რასაც გვპირდებიან, არასდროს ასრულებენ. ისინი პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, მათ მხოლოდ გვიქმნიან. სოციალური ქსელების აკრძალვამ ჩემი განათლების პროცესი შეაფერხა - აღარ მაქვს წვდომა ონლაინ-ლექციებსა და სხვადასხვა სასწავლო რესურსებზე“, - უთხრა BBC-ს 19 წლის ბინუ ქეისიმ.

Z თაობის მშვიდობიანი პროტესტი 8 სექტემბერს, დედაქალაქ კატმანდუში მდებარე ფედერალური პარლამენტის შენობასთან დაიწყო. ათასობით ახალგაზრდამ იქ ბარიკადები მოაწყო და პოლიციას სხვადასხვა საგნები დაუშინა. სამართალდამცველებმა მათ ხელკეტები, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები დაუპირისპირეს. „პროტესტანტებმა“ პარლამენტის ეზოში შეაღწიეს და პოლიციამ მათ უკვე ცეცხლი გაუხსნა. პროტესტის პირველ დღეს 19 დემონსტრანტი დაიღუპა. შს მინისტრმა დღის ბოლოს პოსტი დატოვა, რითაც მორალური პასუხისმგებლობა იკისრა.

9 სექტემბერს სოციალური ქსელების ბლოკირება მოიხსნა, ხოლო პრემიერი შარმა ოლი თანამდებობიდან გადადგა. მომიტინგეები ამან არ დააკმაყოფილა - ისინი სისტემურ რეფორმებსა და ხალხის მიმართ ერთგვარ

ანგარიშვალდებულებას ითხოვდნენ. არეულობისას ცეცხლი გაუჩნდა პარლამენტს, უზენაეს სასამართლოს და ყოფილი პრემიერის რეზიდენციას. ქვეყნის მაღალჩინოსანთა სახლებზე თავდასხმებისას აშკარად გამოჩნდა, რომ მათ უსაფრთხოებაზე ვინმეს უნდა ეზრუნა.

ნეპალის არმიამ დაზარალებული რაიონებიდან პოლიტიკოსთა ევაკუაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ისინი (მათ შორის იყო მოქმედი პრეზიდენტი რამ ჩანდრა პაუდელი და ექსპრემიერი შარმა ოლი) ქვეყნის უმთავრეს, ტრიბჰუვანის (ნეპალის მეფე 1911-1955 წწ.) სახელობის საერთაშორისო აეროპორტში გადაიყვანეს და ისე განარიდეს „ზუმერებს“.

არაერთმა სხვა მინისტრმა და პარლამენტის წევრთა ნაწილმა თანამდებობები საკუთარი ნებით დატოვეს. არმიის სარდალმა აშოკ რაჯ სიგდელმა (Ashok Raj Sigdel) ტელევიზიით მიმართა ქვეყნის მცხოვრებთ და ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდა. როცა პოლიციამ ვერ შეძლო წესრიგის დამყარება, არმიამ ნეპალი კიდევ უფრო დიდ სისხლისღვრას გადაარჩინა.

ამიტომაც არავის გაკვირვებია, როცა მხარეთა საბოლოო მორიგების შეხვედრა, 11 სექტემბრის დილით, ნეპალის არმიის ბჰადრაკალის შტაბში შედგა. მოლაპარაკებებს პრეზიდენტი რამ ჩანდრა პაუდელი (Ram Chandra Paudel), გენერალი სიგდელი და მომიტინგეთა წარმომადგენლები აწარმოებდნენ. ონლაინ რეჟიმში ჩატარებული არჩევნების შედეგად, ნეპალელმა „ზუმერებმა“ ხმათა უმრავლესობით, პრემიერ-მინისტრის დროებით კანდიდატურად უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე (2016-2017) სუშილა კარკი (Sushila Karki) დაასახელეს.

კონსულტაციები მეორე დღესაც გაგრძელდა. საბოლოო შეთანხმება სწორედ 73 წლის შანკარპურელ იურისტ კარკზე შედგა. მან კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ფიცი დადო და პირველი ქალი გახდა, ვინც ნეპალის პრემიერის პოსტი დაიკავა. სუშილა კარკის ასევე საჯარო თხოვნით, ქვეყნის პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვა.

ნეპალის უახლოეს პოლიტიკურ მომავალს ქვემოთ დავუბრუნდებით. ახლა კი, ამ ქვეყნის ეკონომიკურ წარსულსა და აწმყოს შევხებით.

**ღარიბი ძველის
მკონომიკური „მიღწევა“**

გაეროს კლასიფიკაციით, ნეპალი ეკონომიკურად ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს განეკუთვნება; აქ მცხოვრებთა (2024 წლის მონაცემებით 31,122 მილიონი) მესამედი სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებობს. განვითარების დაბალი დონეს ქვეყნის იზოლირება, ფეოდალური გადმონაშთები, ფინანსური რესურსების ნაკლებობა და ბუნებრივი პირობები განაპირობებენ.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2024 წელს ნეპალის მშპ-მა 42.91 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ერთ სულ მოსახლეზე 1379 დოლარია. ამ ქვეყნის

მშპ-ის ხვედრითი წილი მსოფლიო ეკონომიკაში 0,04 პროცენტია. 1960-2024 წლებში ნეპალის საშუალო მშპ 9,51 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამ პერიოდში ისტორიული მინიმუმი 1963 წელს იყო – 0,5 მილიარდი, ხოლო მაქსიმუმი შარშანდელი მონაცემია.

ნეპალი უპირატესად აგრარულ ქვეყნად ითვლება. ეკონომიკის სტრუქტურაში მომსახურების სფერო (მშპ-ის 59,5%, საიდანაც 8% ტურიზმის წილადაა) ჭარბობს, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ის 27%, მრეწველობის – 13,5%.


აღსანიშნავია, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის 69% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, მომსახურების სფეროში – 19%, ხოლო მრეწველობაში – 12%.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება 1955 წლიდან სახელმწიფო გეგმის საფუძველზე ხდება. პირველი 4 გეგმის ძირითადი სამიზნე ინფრასტრუქტურა (მეტწილად ტრანსპორტი და ენერგეტიკა) იყო. 1970-იანი წლების შუამდე უპირატესი ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განვითარებას. თუმცა მომავალ ათწლეულში მკვეთრად იმატა კერძო მეწარმეობისა და უცხოური ინვესტიციების წახალისების ტემპებმა.

1991 წლის მაისიდან ნეპალის მთავრობამ, უცხოური ინვესტიციების წახალისების ხარჯზე ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე აიღო კურსი. სუბსიდირების მასშტაბების, სახელმწიფო მოხელეთა ოდენობის კლების, სამრეწველო ობიექტების პრივატიზაციისა და არაპერსპექტიული პროექტების შეჩერების მეშვეობით მოხდა სახელმწიფო ხარჯების შემცირება.

ნაკლებგანვითარებული, თუმცა ევზოტიკური ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელ მხოლოდ რამდენიმე სექტორს შევხებით. ზემოთ ავლინებით, რომ სოფლის მეურნეობაში ნეპალის შრომისუნარიანი ადამიანების უმრავლესობაა დასაქმებული, თუმცა ისინი ჯამური მშპ-ის ბევრად ნაკლებს გამოიმუშავენ. ეს ყველაფერი, გარდა იმისა, რომ ამ სფეროს არქაულობაზე (აქ ავტომატიზაციას რომ თავი დავანებოთ, მექანიზაციაც საკმაოდ უცხო ხილია) მეტყველებს, ქვეყანაში დასაბუთებული მიწის ფართობის სიმწირითაა განპირობებული. თავად განსაჯეთ – სახნავ-სათესი ფართობის მოსაპოვებლად (!) სასწაული ტემპებით იჩენება ტყეები. სწორედ ამის გამო, ნეპალი ტყის გაკაფვით სახელმწიფოთა შორის სამხრეთ აზიაში პირველ ადგილზეა – წლიურად 4%. იმის ნაცვლად, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს შეემატოს რამე, ორიოდე წელი და ტყეების ამ გზით განადგურება ნიადაგის ეროზიას და მეწარულ პროცესებს იწვევს. შედეგად, ქვეყანა წელიწადში 70 ათას ჰექტარამდე ნაყოფიერ ნიადაგს კარგავს, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ დაბლობ დასახლებებში იზრდება წყალდიდობათა საშიშროება.

ნეპალს მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პოტენციალი აქვს (დაახლოებით 83 ათასი მეგავატი „დადგმული“ სიმძლავრე). ქვეყანა ამჟამად წლიურად 2000 მეგავატ



ელექტროენერჯის გამოიმუშავებს. ზამთრის მშრალ სეზონში, როცა მდინარეებში წყლის დონე იკლებს, თითქმის ამდენივე მოცულობის ელექტროენერჯია ქვეყანას ინდოეთიდან მიეწოდება.

ინდოეთი ნეპალის მთავარი სავაჭრო პარტნიორია. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ნეპალელთა ექსპორტში მეზობელი ქვეყნის ხვედრითი წილი 50% იყო; თუმცა აქ იგულისხმებოდა წინასწარ მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული კონტრაბანდული პროდუქცია. მხარეთა შორის დადებულია 1996 წლის სავაჭრო შეთანხმებამ ცხადყო, რომ ინდოეთი ნეპალიდან იმპორტის ლიბერალიზაციის გზას დაადგა – მისთვის კონტრაბანდული საქონლის მიღება არახელსაყრელი იყო. საუკუნის ბოლოსთვის, ნეპალის ექსპორტში ინდოეთის წილი 75% გახდა.

თითქოს გასაკვირი უნდა იყოს ნეპალისთვის, განსაკუთრებით ექსპორტის სექტორში ჩრდილო მეზობლის ჩინეთის პასიური როლი, მაგრამ ამას ობიექტური გეოგრაფიული მიზეზები აქვს. ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობა რეგიონულ დონეზე ნებისმიერი ქვეყნისთვის პრიორიტეტულთა შორისაა. აქ საქმეს სერიოზულად ართულებს ტიბეტის გავლით ტვირთების გადაზიდვის მაღალი ღირებულება. ხშირ შემთხვევებში ჩინეთი უპირატესობას საზღვაო გადაზიდვებს ანიჭებს. ნეპალისთვის განკუთვნილი საქონელი კალკუტის პორტში იცლება, საიდანაც მეტწილად სავაჭრომობილო გზით მიემართება დანიშნულების ადგილისკენ. ეს მარშრუტი კი განსაკუთრებულად იზიდავთ სახმელეთო პირატებს, რომლებიც ჩინურ პროდუქციას მონატრებულ ინდოეთისა და ბუტანის მოსახლეობაზე ზრუნავენ.

ნეპალიდან საქსპორტოდ გატანილი პროდუქციიდან ყველაზე მეტი (40%) ხელნაკეთ ხალიჩებზე მოდის.

მათ გარდა დიდი მოთხოვნებია აქაურ მზა ტანსაცმელზე, ტყავზე, ჯვალოს ნაწარმზე, საკვებ მარცვლეულზე, ზეთოვან თესლებზე, სამკურნალო მცენარეებზე, სანელებლებზე. თუ 2002 წელს ექსპორტიორი ქვეყნების მოწინავე სამეული იყო ინდოეთი (47,5%), აშშ (27,6%) და გერმანია (7,5%), 2024 წლისთვის იგი ასე გამოიყურება: ევროკავშირი (46,13%), აშშ (17,4%), ინდოეთი (7,1%).

იმპორტის ძირითადი შემადგენლებია ოქრო, ნავთობპროდუქტები, მინერალური სასუქები, ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქცია, ჩარხები, ელექტრომოწყობილობა, კვების პროდუქტები. ამ სექტორში მთავარი პარტნიორები არიან ინდოეთი (47,5%), არაბთა გაერთიანებული საამიროები (11,2%), ჩინეთი (10,7%), საუდის არაბეთი (4,9%) და სინგაპური (4%).

საგარეო ვაჭრობის დისბალანსის მასშტაბი ქვეყნის განვითარების დონის შესაბამისია: 2024 წლის მონაცემებით, ნეპალში შემოტანილი იმპორტული პროდუქციის საერთო ღირებულება 16 მილიარდ დოლარს შეადგენდა; ქვეყნიდან ექსპორტზე გატანილი პროდუქცია კი 3,2 მილიარდი დოლარისა იყო.

პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნები დანიშნა

დასასრულს, ისევ პლანეტის ახალი ცხელი წერტილის პოლიტიკურ ბატალიებზე. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნა ერთგვარი კომპრომისი იყო, თუმცა ნეპალის წამყვანი 8 პოლიტიკური პარტიის მესვეურები პაუდელისგან ქვედა პალატის აღდგენას ითხოვს. მათ ერთობლივ განცხადებაში წერია:

„პრეზიდენტის ეს ნაბიჯი არაკონსტიტუციურია და

ქვეყნის სასამართლო პრეცედენტებს ეწინააღმდეგება. ქუჩის მოძრაობის წარმომადგენელთა მოთხოვნების გათვალისწინებითაც კი, ასეთი პრობლემები მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული ინსტიტუტით უნდა გადაწყდეს“.

პრემიერი სუშილა კარკი აღნიშნავს, რომ დროებითი მთავრობა ხელისუფლებაში 6 თვეზე მეტს არ დარჩება და იგი აუცილებლად პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ 5 მარტს უზრუნველყოფს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

„რასაც მომიტინგეთა საინიციატივო ჯგუფი ითხოვს: კორუფციის დასასრული, ქვეყნის ღირსეული მართვა და ეკონომიკური თანასწორობა, – ჩვენ ვაღიარებთ ვართ ეს უზრუნველგყოთ“, – აცხადებს კარკი, რომელმაც 8-10 სექტემბრის აქციებისას დალუპულთა ოჯახებისთვის

დახმარების სახით თითო მილიონი ნეპალური რუპიის (დაახლოებით 7000 დოლარი) გამოყოფის შესაბამის სამთავრობო განკარგულებას მოაწერა ხელი.

პრეზიდენტმა რამ ჩანდრა პაუდელმა თავის მხრივ ყველას მოუწოდა, რომ ამ შანსით მაქსიმალური სარგებელი მიიღონ, რათა სიტუაციისგან ბოძებული ეს შესაძლებლობა მშვიდობიანი არჩევნებისთვის იქნეს გამოყენებული. თუმცა პარლამენტის დათხოვნის იურიდიული შეფასებასა და ძველი შემადგენლობით პარლამენტის აღდგენის შესაძლებლობაზე კომენტარისგან მან თავი ისევ შეიკავა. არადა, დანიშნულ არჩევნებამდე ამ საკითხების კვლავ წინა პლანზე წამოწევა ნამდვილად მოსალოდნელია.

ფრიდონ კერვალიშვილი

აშშ-ის ხაზინა დონალდ ტრამპის გამოსახულებით 1-დოლარიან საკოლექციო მონეტას გამოუშვებს

ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტმა დაადასტურა, რომ ტრამპის გამოსახულებიან საკოლექციო მონეტაზე მუშაობს. საუბარია სპილენძის 1 დოლარიანზე, რომელიც 2026 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 250 წლის აღსანიშნავად გამოვა.

შტატების ხაზინამ მონეტის დიზაინიც გაასაჯაროვა. დონალდ ტრამპი მის ორივე მხარეს იქნება გამოსახული. ავერსზე ტრამპის პროფილს და წარწერებს: „LIBERTY“ (თავისუფლება), „IN GOD WE TRUST“ (ჩვენ გვნამს ღმერთის) ვიხილავთ. მონეტის ქვედა ნაწილზე კი დატანილი იქნება თარიღები 1776-2026.

რაც შეეხება რევერსს, ტრამპი მასზეც იქნება გამოსახული. ოღონდ, ამჯერად მისი გამომეტყველება იმ სურათს მოგვაგონებს, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატს 13 ივლისს, ლიკვიდაციის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ გადაუღეს. ამავე თარიღს უკავშირდება მონეტის ზედა ნაწილზე დატანილი წარწერა „FIGHT. FIGHT. FIGHT“ (იბრძოლეთ, იბრძოლეთ, იბრძოლეთ) – ანუ სიტყვები, რომლებიც ფეხზე წამომდგარმა ტრამპმა მხარდამჭერებს განუცხადა. რაც შეეხება მონეტის ქვედა ნაწილს, მასზე ვხვდებით წარწერებს „United States of America“ (ამერიკის შეერთებული შტატები) და ლათინურ ენაზე დანერილ ქვეყნის სლოგანს „E Pluribus Unum“, რაც ნიშნავს – ერთი, შედგენილი მრავლისაგან.

ამერიკის სახელმწიფო ხაზინის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ტრამპის მომხრეები დადებითად შეხვდნენ და საკოლექციო მონეტას „ამერიკული შეუპოვრობისა და სიძლიერის“ გამოსახულება უწოდეს. რაც შეეხებათ კრიტიკოსებს, ისინი მიიჩნევენ, რომ ხაზინა აქამდე არსებულ ნორმებს არღვევს. საუბარია რეგულაციაზე, რომელიც მონეტაზე ცოცხალი ადამიანის გამოსახულების დატანას ზღუდავს. საკითხზე ხაზინის იურისტები უკვე მუშაობენ და უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, შევა თუ არა ცვლილებები არსებულ დიზაინში.

სპილენძის 1-დოლარიანი საჯარო მოხმარებაში არ ჩაეშვება და მას მხოლოდ სიმბოლური დანიშნულება ექნება, რათა მრავალი წლის შემდეგ ადამიანებს ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდი და დამოუკიდებლობის დღის 250 წლის იუბილე შეახსენოს.

აშშ და ჩინეთი ერთმანეთის სავაჭრო გემებს გადასახადებს უწესებენ

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა ერთმანეთის სავაჭრო გემების და კომერციული დანიშნულების ტანკერების წინააღმდეგ ახალი გადასახადები დააწესეს.

ანალიტიკოსების შეფასებით, ახალი რეგულაცია სანავთობო ტანკერების გლობალური ფლოტის 13%-ს და საკონტინენტო ხომალდების 11%-ს შეეხება.

უშუალოდ გადასახადი პორტში გემის შესვლას, მის მომსახურებას და გაცილებას უკავშირდება, რაც ტონაჟის, გემის ზომისა და დანიშნულების მიხედვით განსხვავებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადი პირველად პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დააწესა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩინეთი გლობალურ ვაჭრობაში არასამართლიან პრაქტიკებს მიმართავს, ამიტომ ის უნდა დაისაჯოს. ვაშინგტონის საპასუხოდ, ოფიციალურმა პეკინმა ზუსტად ანალოგიური გადასახადი აამოქმედა ამერიკული გემების და ამერიკული კომპანიების მფლობელობაში არსებული ხომალდების წინააღმდეგ.

ექსპერტების აზრით, დამატებითი გადასახადების ამოქმედება მსოფლიოს მასშტაბით ლოგისტიკურ ხარჯებს გაზრდის, რაც აბსოლუტურად ყველა ქვეყანას შეეხება, რომელთაც ეკონომიკური კავშირებით ამერიკასთან ან ჩინეთთან აქვს, რაც თითქმის მთელ პლანეტას მოიცავს.

ოქროს ფასმა ახალ რეკორდულ ფასს – 4,180 დოლარს მიაღწია

ძვირფასი მეტალების ბაზარზე აღმასვლის მკვეთრი ტენდენცია გრძელდება – ოქროს ფასი დამატებით 3.5%-ით გაიზარდა და უნცია მეტალის ლირებულებამ 4,180 დოლარს მიაღწია, რაც რეკორდული მაჩვენებელია და ისტორიულ შედეგს წარმოადგენს. საერთო ჯამში, ერთწლიან პერიოდში ოქრო 55%-ით არის გაძვირებული, ხოლო ბოლო ერთ თვეში მატება 12.5%-ს აღწევს.

აღმასვლის მკვეთრი დინამიკა ფიქსირდება ვერცხლთან მიმართებითაც, რომელიც ერთ თვეში 20%-ით არის გაძვირებული და კილოგრამის ფასი 1,600 დოლარს აღწევს. თუკი ერთწლიან პერიოდს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ვერცხლის ფასი 63%-ით არის გაზრდილი და ის ამჟამად 15-წლიან მაქსიმუმს უახლოვდება.

ბოლო პერიოდში ოქროს გაძვირება პრეზიდენტი დონალდ ტრამპის განცხადებას უკავშირდება, რომელიც ჩინეთს დამატებითი ტარიფების დაწესებით და სავაჭრო ომის ესკალაციით ემუქრება. ამ განცხადების ფონზე, ინვესტორები ფიქრობენ, რომ აშშ-ჩინეთის გეოპოლიტიკური ურთიერთობა დაიძაბება, რაც ოქროს, როგორც სადაზღვევო აქტივის, გაძვირებას გამოიწვევს.

JPMorgan-მა აშშ-ში \$1.5 ტრილიონის პროექტების დაფინანსება გადაწყვიტა

პლანეტის უმსხვილესმა ბანკმა, JPMorgan Chase-მა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1.5 ტრილიონი დოლარის მოცულობის სტრატეგიული პროექტების დაფინანსება გადაწყვიტა.

როგორც ბანკის ხელმძღვანელი, ჯეიმი დაიმონი აცხადებს, კრიტიკული მინერალების, ენერგეტიკული რესურსების, წარმოებისა და პროდუქციის მიმართულებით ქვეყანა ზედმეტად არის დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაზე, რაც ჩინეთის მსგავს სახელმწიფოებს აშშ-ის წინააღმდეგ ძლიერ ბერკეტს აძლევს. დაიმონის აზრით, ეს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რაც დაუშვებელია.

JPMorgan-ის დირექტორის თქმით, ბანკი საკუთარ თავზე აიღებს ამ საპასუხისმგებლო მისიას და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების დაცვისთვის ის ისეთ სტრატეგიულ პროექტებს დააფინანსებს, რომელთა მიმართ კომერციულ ბანკებს ინტერესი არ აქვთ.

დაფინანსებას თავდაცვის ინდუსტრიაში, კიბერუსაფრთხოების სექტორში, მინოდების ჯაჭვში, კრიტიკული რესურსების წარმოებასა და მოპოვებაში ჩართული კომპანიები მიიღებენ, რომელთაც შეღავათიანი კრედიტები, გრანტები და ინვესტიციები გადაეცემა.

რუსული გაზი, შესაძლოა, თურქეთმაც აღარ იყიდოს

რუსული ბუნებრივი აირი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით დიდად მოთხოვნილი პროდუქტი არ არის, შესაძლოა, თურქეთშიც აღარ გაიყიდოს.

მიზეზი პრეზიდენტი დონალდ ტრამპია, რომელიც NATO-ს წევრი ყველა ქვეყნისგან, მათ შორის თურქეთისგან მოითხოვს, რომ სრულად შეწყდეს რუსული ენერგეტიკული რესურსების შესყიდვა.

ამასთან, პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი აცხადებს, რომ თურქეთს ადგილობრივი წარმოების განვითარება და ამერიკიდან თხევადი გაზის იმპორტის გაზრდა სურს, რაც ქვეყანას რუსეთის სრულად ჩანაცვლების საშუალებას მისცემს.

ამჟამად რუსეთი თურქეთის ენერგეტიკული მოთხოვნის 37%-ს აკმაყოფილებს, რაც მას ქვეყნის უმსხვილეს მიმწოდებლად აქცევს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადრე ეს წილი 60%-ს აჭარბებდა.

თუკი თურქეთი მართლაც შეძლებს რუსული გაზის ჩანაცვლებას, მაშინ მოსკოვი კიდევ ერთ სტრატეგიულ ბაზარს დაკარგავს და ის სრულად გახდება დამოკიდებული ორ ქვეყანაზე: ინდოეთსა და ჩინეთზე.

რუსეთის ეროვნული რეზერვის მოცულობა რეკორდულად გაიზარდა

რუსეთის ცენტრალური ბანკის მფლობელობაში არსებული აქტივების საერთო მოცულობა 723 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს ოფიციალური უწყების ინფორმაციით, 9.2 მილიარდი დოლარით გაზრდილი მაჩვენებელია და რეკორდულ შედეგს წარმოადგენს, რასაც, თავის მხრივ, რუსული რუბლის გამყარება და საბაზრო დინამიკა განაპირობებს.

როგორც მარეგულირებელი განმარტავს, ზრდის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი საერთაშორისო ბირჟაზე ოქროს გაძვირებაა, რომელსაც რუსულ რეზერვში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, კერძოდ, საუბარია თითქმის \$250 მილიარდის ოქროზე და მის ციფრულ სერტიფიკატებზე.

სავალუტო რეზერვის მოცულობას რაც შეეხება, ის დაახლოებით 420 მილიარდ დოლარს შეადგენს, აქედან \$390 მილიარდი კი უცხოურ ვალუტაზე მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული პორტფელის თითქმის ნახევარი დასავლურ იურისდიქციაშია გაყინული და ცენტრალურ ბანკს მასთან წვდომა არ აქვს, თუმცა ის ფინანსურ ანგარიშგებაში მაინც აღირიცხება და რუსეთის მთავრობის ბალანსზე რჩება.

ჩინეთი ზედმეტად აგრესიული ხდება, ქვეყნებს ექსპორტის შეზღუდვებით ემუქრება – ტრამპი

აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა Truth Social-ზე დაწერა, რომ ჩინეთი ზედმეტად აგრესიული ხდება და ქვეყნებს წერილებს უგზავნის, რომელშიც მათ ექსპორტით შეზღუდვებით ემუქრება.

„ჩინეთში ძალიან უცნაური მოვლენები ხდება! ისინი ზედმეტად აგრესიულები ხდებიან და მთელ მსოფლიოში ქვეყნებს უგზავნიან წერილებს, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ ექსპორტის კონტროლის დაწესება წარმოების ყველა იმ ელემენტზე სურთ, რომელიც იშვიათ ნიაღისეულთანაა დაკავშირებული და პრაქტიკულად ყველაფერზე, რაც კი მოაფიქრდებათ“, – დაწერა ტრამპმა სოციალურ ქსელში.

„არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ჩინეთს უფლება, რომ მსოფლიო „ტყვედ“ ჩაიგდოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ამას დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდნენ, დაწყებული „მაგნიტებით“ და სხვა ნიაღისეულით, რომლებიც ფარულად მონოპოლიური პოზიციის შესაქმნელად მოაგროვეს – საკმაოდ ბნელი და მტრული ნაბიჯია, რბილად რომ ითქვას.

თუმცა, შეერთებულ შტატებსაც აქვს მონოპოლიური პოზიციები – ბევრად უფრო ძლიერი და შორსმხედველი, ვიდრე ჩინეთს. მე უბრალოდ ვარჩიე, რომ აქამდე ისინი არ გამოიყენებინა – ამის მიზეზი არასდროს ყოფილა – აქამდე!“ – დაწერა ტრამპმა.

ტრამპის თქმით, ჩინეთის პასუხზე იქნება დამოკიდებული, გახდება თუ არ ის იძულებული, რომ პეკინის წინააღმდეგ ფინანსური ნაბიჯები გადადგას. ერთ-ერთ ასეთ ნაბიჯად ტრამპი ჩინურ იმპორტზე მაღალი ტარიფის დაწესებას ასახელებს.

რუსეთის ბიუჯეტში ნავთობი-გაზის შემოსავალი 25%-ით შემცირდა

რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ 3 ოქტომბერს განაცხადა, რომ სექტემბრის თვეში ქვეყნის ფედერალურ ბიუჯეტში ნავთობსა და ბუნებრივ აირზე გადასახადებიდან 582.5 მილიარდი რუბლი (\$7.1 მილიარდი) შევიდა, რაც 25%-ით ნაკლებია წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

პარალელურად, რუსეთში მზარდია ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტიც, რამაც Kyiv Independent-ის ცნობით, აგვისტოს ბოლოსთვის 4.19 ტრილიონი რუბლი (\$49.4 მილიარდი) შეადგინა, რაც უკვე აღემატება რუსეთის მთავრობის მიერ მიმდინარე წლისთვის განსაზღვრულ წლიურ სამიზნე მაჩვენებელს.

იანვრიდან მოყოლებული, ნავთობიდან და ბუნებრივი აირიდან მიღებული ჯამური შემოსავლები 1.7 ტრილიონი რუბლით (\$20.7 მილიარდი) დაეცა და 6.6 ტრილიონი რუბლი (\$80.4 მილიარდი) შეადგინა. ამასთან, ეს კლება თანდათანობით დაჩქარდა და 2025 წლის პირველ ცხრა თვეში კლების მაჩვენებელმა 21% შეადგინა.

ამ ფონზე 24 სექტემბერს რუსეთის ფინანსთა სამინისტრო დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) 20%-დან 22%-მდე გაზრდის ინიციატივით გამოვიდა.

სამინისტროს მიხედვით, რუსეთის მთავრობისთვის წარდგენილი საბიუჯეტო კანონპროექტი „ძირითადად თავდაცვისა და უსაფრთხოების საჭიროებების დაფინანსებას“ ემსახურება.

ილონ მასკი პირველი ადამიანია, რომლის ქონებამ \$500 მილიარდს გადააჭარბა.

1 ოქტომბერს, Tesla-ს აქციების ფასი 4%-ით გაიზარდა, რამაც მასკის ქონება \$9.3 მილიარდით გაზარდა. კომპანიის ღირებულება ამჟამად \$191 მილიარდს შეადგენს. გარდა ამისა, მასკი ასევე ფლობს SpaceX-ის 42%-ს, რაც 168 მილიარდს შეადგენს და 113 მილიარდის ღირებულების X-ის (ყოფილი Twitter) 53%-ს. Forbes-ის რეალურ დროში განახლებადი ინდექსის მიხედვით, მასკის ქონება \$500.1 მილიარდია.

ორი წლის წინ, 2023 წელს, როდესაც მასკმა ყველაზე მდიდარი ადამიანის სტატუსი დაიბრუნა, მისი ქონება \$187.1 მილიარდს შეადგენდა. ანალიტიკოსების შეფასებით, თუ ეს ტემპი შენარჩუნდება, მასკი შესაძლოა გახდეს პირველი ტრილიონერი 2033 წლამდე.

ბირჟაზე ნავთობის ფასი მკვეთრად შემცირდა

საერთაშორისო ენერჯეტიკულ ბირჟაზე ნავთობის ფასები მცირდება და ერთკვირიან პერიოდში კორექცია 5.5%-ს აღწევს. 14 ოქტომბრის მდგომარეობით ბარელი Brent-ის ფასი 62 დოლარს შეადგენს, ხოლო WTI-ის ფასი დაახლოებით 58 დოლარია; რუსულ ნავთობს რაც შეეხება, ბარელი Urals-ის ფასი 59 დოლარს შეადგენს, რაც 4%-ით შემცირებული მაჩვენებელია.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ნავთობის გაიაფება აშშ-ჩინეთის დაპირისპირებას უკავშირდება. ინვესტორები შიშობენ, რომ ვაშინგტონსა და პეკინს შორის მოლაპარაკების პროცესი ჩიხში შევა, რაც პრეზიდენტ ტრამპს ჩინეთის წინააღმდეგ ტარიფების დაწესებას აიძულებს, რასაც აუცილებლად მოჰყვება საპასუხო ზომები.

ცხადია, პლანეტის უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების დაპირისპირება აჩენს მოლოდინს, რომ ვაჭრობა შეიზღუდება, ეკონომიკური ზრდის ტემპი დაეცემა და ნავთობზე მოთხოვნა შემცირდება, რაც ფასების შემცირებას იწვევს.

უცხოური ვალუტის კურსები

სექტემბრის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3,1740** ლარი

ვალუტა	სექტემბერი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1,6073	1,6148	1,6029	1,6060	1,6055	1,6102	1,6102	1,6102	1,6149	1,6184	1,6107	1,6095	1,6190	1,6190	1,6190
10 დანიური კრონი	4,2118	4,2305	4,1988	4,2070	4,2059	4,2189	4,2189	4,2189	4,2293	4,2391	4,2195	4,2160	4,2439	4,2439	4,2439
1 ევრო	3,1438	3,1579	3,1336	3,1397	3,1394	3,1492	3,1492	3,1492	3,1492	3,1575	3,1651	3,1502	3,1473	3,1679	3,1679
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6264	3,6436	3,6077	3,6136	3,6240	3,6310	3,6310	3,6310	3,6411	3,6556	3,6450	3,6387	3,6599	3,6599	3,6599
100 ისლანდიური კრონი	2,1984	2,2022	2,1822	2,1865	2,1864	2,1993	2,1993	2,1993	2,2081	2,2074	2,1997	2,2040	2,2153	2,2153	2,2153
100 სერბიული დინარი	2,6828	2,6950	2,6742	2,6797	2,6795	2,6874	2,6874	2,6874	2,6951	2,7012	2,6890	2,6866	2,7038	2,7038	2,7038
10 ნორვეგიული კრონი	2,6766	2,6925	2,6927	2,6858	2,6698	2,6808	2,6808	2,6808	2,6967	2,7009	2,7119	2,7114	2,7333	2,7333	2,7333
10 პოლონური ზლოტი	7,3677	7,4225	7,3466	7,3837	7,3838	7,4061	7,4061	7,4061	7,4253	7,4439	7,3909	7,3749	7,4457	7,4457	7,4457
10 რუმინული ლეი	6,1973	6,2250	6,1688	6,1812	6,1841	6,2018	6,2018	6,2018	6,2254	6,2376	6,2085	6,2059	6,2477	6,2477	6,2477
100 უნგრული ფორინტი	0,7918	0,7988	0,7922	0,7979	0,7987	0,8016	0,8016	0,8016	0,8023	0,8051	0,8006	0,8006	0,8103	0,8103	0,8103
10 შვედური კრონი	2,8438	2,8641	2,8489	2,8547	2,8513	2,8616	2,8616	2,8616	2,8692	2,8767	2,8798	2,8721	2,8954	2,8954	2,8954
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3586	3,3700	3,3489	3,3529	3,3482	3,3545	3,3545	3,3545	3,3842	3,3931	3,3751	3,3695	3,3892	3,3892	3,3892
10 ჩეხური კრონა	1,2849	1,2923	1,2804	1,2847	1,2844	1,2894	1,2894	1,2894	1,2963	1,3018	1,2922	1,2892	1,3030	1,3030	1,3030
1 აშშ დოლარი	2,6946	2,6940	2,6935	2,6971	2,6936	2,6930	2,6930	2,6930	2,6925	2,6921	2,6920	2,6939	2,7002	2,7002	2,7002
1 კანადური დოლარი	1,9594	1,9610	1,9554	1,9539	1,9493	1,9529	1,9529	1,9529	1,9495	1,9499	1,9424	1,9399	1,9509	1,9509	1,9509
1 ავსტრალიური დოლარი	1,7588	1,7662	1,7537	1,7604	1,7560	1,7628	1,7628	1,7628	1,7735	1,7811	1,7778	1,7793	1,7946	1,7946	1,7946
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5548	0,5548	0,5551	0,5552	0,5548	0,5547	0,5547	0,5547	0,5586	0,5609	0,5593	0,5590	0,5606	0,5606	0,5606
1 თურქული ლირა	0,0655	0,0655	0,0654	0,0655	0,0654	0,0653	0,0653	0,0653	0,0652	0,0652	0,0652	0,0652	0,0653	0,0653	0,0653
100 იაპონური იენი	1,8307	1,8312	1,8128	1,8139	1,8168	1,8181	1,8181	1,8181	1,8212	1,8379	1,8256	1,8206	1,8269	1,8269	1,8269
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7,3364	7,3346	7,3332	7,3430	7,3335	7,3319	7,3319	7,3319	7,3305	7,3294	7,3292	7,3343	7,3515	7,3515	7,3515
10000 ირანული რიალი	0,6416	0,6414	0,6413	0,6422	0,6413	0,6412	0,6412	0,6412	0,6411	0,6410	0,6410	0,6414	0,6429	0,6429	0,6429
10 ისრაელის შეკელი	8,0701	8,0418	7,9555	8,0047	8,0083	8,0682	8,0682	8,0682	8,0994	8,0735	8,0712	8,0704	8,1090	8,1090	8,1090
1 სინგაპურული დოლარი	2,0966	2,0988	2,0904	2,0919	2,0902	2,0936	2,0936	2,0936	2,0966	2,1025	2,0979	2,0964	2,1049	2,1049	2,1049
1 ქუვეითური დინარი	8,8174	8,8154	8,8052	8,8141	8,8084	8,8122	8,8122	8,8122	8,8134	8,8208	8,8118	8,8151	8,8415	8,8415	8,8415
10 ჩინური იუანი	3,7776	3,7760	3,7693	3,7741	3,7726	3,7729	3,7729	3,7729	3,7761	3,7804	3,7799	3,7817	3,7916	3,7916	3,7916
10 ჰონკონგური დოლარი	3,4566	3,4552	3,4506	3,4569	3,4540	3,4516	3,4516	3,4516	3,4547	3,4571	3,4562	3,4586	3,4697	3,4697	3,4697
100 ინდური რუპია	3,0548	3,0544	3,0553	3,0626	3,0556	3,0511	3,0511	3,0511	3,0505	3,0552	3,0556	3,0460	3,0587	3,0587	3,0587
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5860	1,5916	1,5776	1,5797	1,5784	1,5827	1,5827	1,5827	1,5967	1,6034	1,5988	1,5967	1,6080	1,6080	1,6080
100 რუსული რუბლი	3,3406	3,3319	3,3397	3,3119	3,3040	3,3035	3,3035	3,3035	3,2717	3,2300	3,1684	3,1523	3,2114	3,2114	3,2114
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5845	1,5841	1,5839	1,5860	1,5839	1,5836	1,5836	1,5836	1,5833	1,5830	1,5830	1,5841	1,5878	1,5878	1,5878
1 ბელარუსული რუბლი	0,9052	0,9061	0,9065	0,9060	0,9016	0,8978	0,8978	0,8978	0,8947	0,8910	0,8800	0,8735	0,8718	0,8718	0,8718
10 თურქმენული მანათი	7,6989	7,6971	7,6957	7,7060	7,6960	7,6943	7,6943	7,6943	7,6929	7,6917	7,6914	7,6969	7,7149	7,7149	7,7149
10 მოლდოვური ლეი	1,6156	1,6195	1,6177	1,6129	1,6091	1,6066	1,6066	1,6066	1,6099	1,6193	1,6231	1,6211	1,6259	1,6259	1,6259
1000 სომხური დრამი	7,0355	7,0431	7,0418	7,0476	7,0384	7,0381	7,0381	7,0381	7,0355	7,0382	7,0296	7,0353	7,0485	7,0485	7,0485
10 ტაჯიკური სომონი	2,8545	2,8190	2,8200	2,8356	2,8517	2,8298	2,8298	2,8298	2,8308	2,8443	2,8236	2,8256	2,8461	2,8461	2,8461
1000 უზბეკური სუმი	0,2162	0,2161	0,2166	0,2178	0,2170	0,2152	0,2152	0,2152	0,2163	0,2178	0,2178	0,2176	0,2174	0,2174	0,2174
10 უკრაინული გრივნა	0,6516	0,6508	0,6512	0,6519	0,6519	0,6533	0,6533	0,6533	0,6525	0,6547	0,6528	0,6519	0,6538	0,6538	0,6538
100 ყაზახური ტენგე	0,5002	0,5002	0,4989	0,4995	0,4988	0,5009	0,5009	0,5009	0,5035	0,5013	0,4998	0,4992	0,4991	0,4991	0,4991
100 ყირგიზული სომი	3,0853	3,0843	3,0898	3,0939	3,0830	3,0892	3,0892	3,0892	3,0886	3,0789	3,0872	3,0893	3,0881	3,0881	3,0881
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5177	1,5331	1,5205	1,5284	1,5143	1,5250	1,5250	1,5250	1,5340	1,5415	1,5329	1,5357	1,5566	1,5566	1,5566
1 ზრახილიური რიალი	0,4977	0,4962	0,4952	0,4935	0,4941	0,4944	0,4944	0,4944	0,4975	0,4967	0,4950	0,4980	0,5010	0,5010	0,5010
10 კატარული რიალი	7,3920	7,3903	7,3886	7,3997	7,3901	7,3884	7,3884	7,3884	7,3872	7,3853	7,3849	7,3901	7,4069	7,4069	7,4069
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9365	1,9335	1,9305	1,9394	1,9338	1,9370	1,9370	1,9370	1,9378	1,9434	1,9382	1,9343	1,9417	1,9417	1,9417

უცხოური ვალუტის კურსები

სექტემბრის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,7067** ლარი.

ვალუტა	სექტემბერი, 2025 წელი														
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
1 ბულგარული ლევი	1,6230	1,6322	1,6436	1,6554	1,6482	1,6482	1,6482	1,6408	1,6366	1,6295	1,6289	1,6158	1,6158	1,6158	1,6230
10 დანიური კრონი	4,2600	4,2839	4,3062	4,3374	4,3185	4,3185	4,3185	4,3007	4,2881	4,2688	4,2690	4,2330	4,2330	4,2330	4,2521
1 ევრო	3,1798	3,1979	3,2143	3,2376	3,2234	3,2234	3,2234	3,2099	3,2007	3,1860	3,1863	3,1593	3,1593	3,1593	3,1739
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6800	3,6924	3,7053	3,7338	3,7010	3,7010	3,7010	3,6796	3,6638	3,6517	3,6475	3,6151	3,6151	3,6151	3,6374
100 ისლანდიური კრონი	2,2206	2,2330	2,2510	2,2642	2,2541	2,2541	2,2541	2,2477	2,2444	2,2374	2,2374	2,2216	2,2216	2,2216	2,2320
100 სერბიული დინარი	2,7135	2,7285	2,7429	2,7630	2,7509	2,7509	2,7509	2,7393	2,7316	2,7188	2,7185	2,6960	2,6960	2,6960	2,7074
10 ნორვეგიული კრონი	2,7499	2,7563	2,7639	2,7949	2,7679	2,7679	2,7679	2,7455	2,7459	2,7274	2,7274	2,6974	2,6974	2,6974	2,7188
10 პოლონური ზლოტი	7,4842	7,5251	7,5571	7,6071	7,5592	7,5592	7,5592	7,5340	7,5206	7,4632	7,4753	7,3979	7,3979	7,3979	7,4342
10 რუმინული ლეი	6,2792	6,3162	6,3430	6,3874	6,3526	6,3526	6,3526	6,3247	6,3039	6,2723	6,2778	6,2206	6,2206	6,2206	6,2516
100 უნგრული ფორინტი	0,8155	0,8202	0,8244	0,8328	0,8248	0,8248	0,8248	0,8248	0,8231	0,8138	0,8157	0,8064	0,8064	0,8064	0,8114
10 შვედური კრონი	2,9125	2,9254	2,9339	2,9497	2,9200	2,9200	2,9200	2,9065	2,9137	2,8901	2,8860	2,8591	2,8591	2,8591	2,8790
1 შვეიცარიული ფრანკი	3,4031	3,4218	3,4507	3,4703	3,4476	3,4476	3,4476	3,4343	3,4247	3,4101	3,4092	3,3838	3,3838	3,3838	3,3979
10 ჩეხური კრონა	1,3066	1,3152	1,3216	1,3317	1,3277	1,3277	1,3277	1,3234	1,3199	1,3112	1,3124	1,2979	1,2979	1,2979	1,3060
1 აშშ დოლარი	2,7051	2,7080	2,7143	2,7356	2,7405	2,7405	2,7405	2,7258	2,7141	2,7110	2,7113	2,7077	2,7077	2,7077	2,7088
1 კანადური დოლარი	1,9567	1,9675	1,9735	1,9863	1,9847	1,9847	1,9847	1,9742	1,9626	1,9539	1,9513	1,9404	1,9404	1,9404	1,9456
1 ავსტრალიური დოლარი	1,8008	1,8054	1,8115	1,8208	1,8101	1,8101	1,8101	1,7977	1,7924	1,7906	1,7878	1,7662	1,7662	1,7662	1,7781
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5615	0,5628	0,5638	0,5677	0,5689	0,5689	0,5689	0,5654	0,5630	0,5626	0,5634	0,5626	0,5626	0,5626	0,5639
1 თურქული ლირა	0,0655	0,0656	0,0657	0,0662	0,0662	0,0662	0,0662	0,0659	0,0655	0,0654	0,0654	0,0651	0,0651	0,0651	0,0651
100 იაპონური იენი	1,8358	1,8416	1,8562	1,8575	1,8521	1,8521	1,8521	1,8429	1,8370	1,8268	1,8228	1,8065	1,8065	1,8065	1,8223
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,3648	7,3727	7,3899	7,4479	7,4612	7,4612	7,4612	7,4212	7,3893	7,3809	7,3817	7,3719	7,3719	7,3719	7,3749
10000 ირანული რიალი	0,6441	0,6448	0,6463	0,6513	0,6525	0,6525	0,6525	0,6490	0,6462	0,6455	0,6455	0,6447	0,6447	0,6447	0,6450
10 ისრაელის შეკელი	8,1018	8,1005	8,1415	8,1799	8,2149	8,2149	8,2149	8,1413	8,1112	8,0940	8,1097	8,0366	8,0366	8,0366	8,1500
1 სინგაპურული დოლარი	2,1111	2,1188	2,1269	2,1392	2,1345	2,1345	2,1345	2,1246	2,1148	2,1063	2,1044	2,0927	2,0927	2,0927	2,0987
1 ქუვეითური დინარი	8,8605	8,8758	8,8993	8,9692	8,9735	8,9735	8,9735	8,9253	8,8870	8,8740	8,8779	8,8545	8,8545	8,8545	8,8668
10 ჩინური იუანი	3,7984	3,8059	3,8208	3,8498	3,8525	3,8525	3,8525	3,8323	3,8172	3,8049	3,8065	3,7944	3,7944	3,7944	3,8039
10 ჰონკონგური დოლარი	3,4776	3,4796	3,4906	3,5176	3,5242	3,5242	3,5242	3,5077	3,4907	3,4858	3,4859	3,4805	3,4805	3,4805	3,4808
100 ინდური რუპია	3,0664	3,0752	3,0911	3,1040	3,1107	3,1107	3,1107	3,0865	3,0581	3,0565	3,0577	3,0521	3,0521	3,0521	3,0520
1 ახალზელანდიური დოლარი	1,6112	1,6175	1,6226	1,6148	1,6100	1,6100	1,6100	1,5968	1,5913	1,5827	1,5777	1,5588	1,5588	1,5588	1,5668
100 რუსული რუბლი	3,2840	3,2706	3,2694	3,2938	3,2784	3,2784	3,2784	3,2639	3,2404	3,2330	3,2429	3,2376	3,2376	3,2376	3,2580
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5907	1,5924	1,5961	1,6086	1,6115	1,6115	1,6115	1,6028	1,5965	1,5941	1,5949	1,5922	1,5922	1,5922	1,5928
1 ბელარუსული რუბლი	0,8778	0,8909	0,8940	0,8993	0,8987	0,8987	0,8987	0,8958	0,8927	0,8925	0,8924	0,8916	0,8916	0,8916	0,8916
10 თურქმენული მანათი	7,7289	7,7371	7,7551	7,8160	7,8300	7,8300	7,8300	7,7880	7,7546	7,7457	7,7466	7,7363	7,7363	7,7363	7,7394
10 მოლდოვეური ლეი	1,6271	1,6328	1,6403	1,6557	1,6504	1,6504	1,6504	1,6337	1,6321	1,6277	1,6233	1,6165	1,6165	1,6165	1,6201
1000 სომხური დრამი	7,0537	7,0631	7,0869	7,1426	7,1535	7,1535	7,1535	7,1134	7,0827	7,0783	7,0778	7,0605	7,0605	7,0605	7,0634
10 ტაჯიკური სომონი	2,8620	2,8545	2,8613	2,8962	2,9004	2,9004	2,9004	2,8848	2,8812	2,8711	2,8781	2,8767	2,8767	2,8767	2,8719
1000 უზბეკური სუმი	0,2190	0,2193	0,2214	0,2223	0,2224	0,2224	0,2224	0,2222	0,2208	0,2220	0,2221	0,2229	0,2229	0,2229	0,2243
10 უკრაინული გრივნა	0,6559	0,6578	0,6589	0,6630	0,6635	0,6635	0,6635	0,6586	0,6559	0,6543	0,6532	0,6529	0,6529	0,6529	0,6555
100 ყაზახური ტენგე	0,5004	0,5009	0,5012	0,5054	0,5062	0,5062	0,5062	0,5012	0,4983	0,5004	0,4999	0,4968	0,4968	0,4968	0,4937
100 ყირგიზული სომი	3,0936	3,0971	3,1043	3,1287	3,1410	3,1410	3,1410	3,1241	3,1080	3,1072	3,1051	3,1007	3,1007	3,1007	3,1046
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5596	1,5598	1,5616	1,5785	1,5795	1,5795	1,5795	1,5780	1,5677	1,5674	1,5671	1,5500	1,5500	1,5500	1,5668
1 ბრაზილიური რიალი	0,5052	0,5093	0,5124	0,5157	0,5158	0,5158	0,5158	0,5120	0,5087	0,5132	0,5086	0,5048	0,5048	0,5048	0,5069
10 კატარული რიალი	7,4208	7,4294	7,4460	7,5040	7,5179	7,5179	7,5179	7,4784	7,4461	7,4376	7,4380	7,4283	7,4283	7,4283	7,4311
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9492	1,9591	1,9709	1,9738	1,9628	1,9628	1,9628	1,9595	1,9469	1,9364	1,9346	1,9176	1,9176	1,9176	1,9333